ცხრილში 1 მოყვანილია მონაცემები Jurkat უჯრედებში კულტურაში ს(ო)ლ-ის აქტიურობის ცვლილებების შესახებ წყალბადის ზეჟანგის (H<sub>2</sub>O<sub>2</sub>), ნატრიუმის ნიტროპრუსიდის (SNP) და ფენოვინის 24 (დოზით 5,8 მკგ/მლ) საათიანი ზემოქმედების დროს. მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარეობს, რომ წყალბადის ზეჟანგთან (H<sub>2</sub>O<sub>2</sub>) 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში ს(ო)ლ-ის აქტიურობა მცირდება და შეადგენს საკონტროლო მანქუნებლების 20,7%-ს. ფენოვინთან და წყალბადის ზეჟანგთან ერთდროული 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში ს(ო)ლ-ის აქტიურობა იზრდება და შეადგენს საკონტროლო მანქუნებლების 85,3%-ს.

ცხრილი 1

### Jurkat უჯრედების კულტურაში ს(ო)ლ-ის აქტიურობის ცვლილებები

ნიმუში	ს(ო)ლ
Jurkat cell (კონტროლი)	16,4 ± 2,0
Jurkat cell + H <sub>2</sub> O <sub>2</sub>	3,4 ± 1,2*
Jurkat cell + H <sub>2</sub> O <sub>2</sub> + ფენოვინი	14,0 ± 1,8**
Jurkat cell + SNP	11,9 ± 1,0
Jurkat cell + SNP + ფენოვინი	15,0 ± 1,2**

\* - სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საკონტროლო დონესთან შედარებით (p < 0,001). \*\* - ფენოვინის სტატისტიკურად სარწმუნო ეფექტი (p < 0,001)

Jurkat უჯრედების ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან (SNP) 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედებში ს(ო)ლ-ის აქტიურობა მცირდება და შეადგენს საკონტროლო მანქუნებლების 72,6%-ს. ფენოვინთან და ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან (SNP) ერთდროული 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ ს(ო)ლ-ის აქტიურობა იზრდება და შეადგენს საკონტროლო მანქუნებლების 91,5%-ს. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფენოვინი ხასიათდება ანტიოქსიდანტური აქტიურობით.

### ელექტრონული პარამაგნიტური რეზონანსი (EPR)

ცხრილში 2 მოყვანილია მონაცემები Jurkat კულტურაში უჯრედების

თავისუფალი რადიკალების ( $O_2^-$ ,  $LOO^\cdot$ ,  $NO$ ) შემცველობის ცვლილებების შესახებ წყალბადის ზეჟანგის ( $H_2O_2$ ) და ფენოვინთან 24 საათიანი ზემოქმედების დროს.

(ცხრილი 2

**Jurkat უჯრედების კულტურაში თავისუფალი რადიკალების შემცველობის ცვლილებები (მმ/მგ)**

ნიმუში	$O_2^-$	$LOO^\cdot$	$NO$	HbNO
Jurkat cell	$0.2 \pm 0,3$	$0.1 \pm 0,2$	$11.0 \pm 1,3$	-
Jurkat cell + $H_2O_2$	$7.2.0 \pm 0,9^*$	$7.0 \pm 1,0^*$	$13.0 \pm 1,5$	-
Jurkat cell + $H_2O_2$ + ფენოვინი	$4.5 \pm 0,2^{**}$	$2.2 \pm 0,6^{**}$	$10.5 \pm 1,2$	-
Jurkat cell + SNP	$4.7 \pm 1.5^*$	$6.0 \pm 1,5^*$	$17.0 \pm 1,3^*$	$25.0 \pm 1,3$
Jurkat cell + SNP + ფენოვინი	$1.5 \pm 0,2^{**}$	$2.9 \pm 0,4^{**}$	$13.0 \pm 1,4^{**}$	$15.0 \pm 1,3^{**}$


\* -სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საკონტროლო დონესთან შედარებით ( $p < 0,001$ ). \*\* - ფენოვინის სტატისტიკურად სარწმუნო ეფექტი ( $p < 0,001$ )

26829

ცხრილიდან ჩანს, რომ წყალბადის ზეჟანგთან ( $H_2O_2$ ) 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ Jurkat უჯრედების მარჯვენა სექტორში ჩნდება ინტენსიური სუპეროქსიდ- და ლიპოპეროქსიდრადიკალების ინტენსიური მარჯვენა სიგნალები; თავისუფალი NO-ს მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 11,8%-ით იზრდება საკონტროლო მანუვრებლებთან შედარებით. Jurkat უჯრედების ფენოვინთან და წყალბადის ზეჟანგთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ სუპეროქსიდრადიკალების მარჯვენა სიგნალი 37%-ით, ლიპოპეროქსიდების მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 68,6%-ით, თავისუფალი NO-ს მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 19%-ით მცირდება მხოლოდ წყალბადის ზეჟანგისთვის დამახასიათებელ მანუვრებლებთან შედარებით.

Jurkat უჯრედების ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ მარჯვენა სექტორში ვლინდება მაღალი ინტენსივობის სუპეროქსიდრადიკალების და ლიპოპეროქსიდების მარჯვენა სიგნალები, თავისუფალი NO-ს მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 54,5%-ით იზრდება საკონტროლო მანუვრებლებთან შედარებით.

Jurkat უჯრედების ფენოვინთან და ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ სუპეროქსიდრადიკალების მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 3 ჯერ კლებულობს, ლიპოპეროქსიდების მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 52%-ით კლებულობს, ხოლო თავისუფალი NO-ს მარჯვენა სიგნალის ინტენსივობა 24%-ით მცირდება NO-ს დონორთან ინკუბაციისთვის დამახასიათებელ მანუვრებლებთან შედარებით და შეადგენს საკონტროლო მანუვრებლების 118,1%-ს. მაშასადამე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ფენოვინი ხასიათდება თავისუფალი რადიკალების სკავენჯერის უნარით.



### უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის შეფასების (სიცოცხლისუნარიანობის) MTT ტესტი

Jurkat უჯრედების წყალბადის ზეჟანგთან ( $H_2O_2$ ), ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან (SNP) და ფენოვინთან ინკუბაციის დროს უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა შემოწმებულ იქნა MTT ტესტის მიხედვით. როგორც ცხრილში 3 მოყვანილი შედეგებიდან გამომდინარეობს, Jurkat უჯრედების წყალბადის ზეჟანგთან და ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა მნიშვნელოვნად მცირდება ( $K = 0,1$ ;  $K = 0,2$ ). Jurkat უჯრედების საინკუბაციო არეში ფენოვინის დამატებისას ამ უჯრედების სიცოცხლის უნარიანობა მნიშვნელოვნად არ იცვლება საკონტროლო მანქვენებლებთან შედარებით ( $K = 0,81$ ).

ცხრილი 3

### უჯრედების პროლიფერაციული აქტიურობის ცვლილებები

ნიმუში	MTT-ტესტი	K
ნიადაგი	$0,190 \pm 0,15$	
Jurkat cell	$0,460 \pm 0,19$	1,00
Jurkat cell + ფენოვინი	$0,410 \pm 0,14$	0,81
Jurkat cell + $H_2O_2$	$0,210 \pm 0,17$	0,10*
Jurkat cell + $H_2O_2$ + ფენოვინი	$0,480 \pm 0,14$	1,10**
Jurkat cell + SNP	$0,230 \pm 0,19$	0,20*
Jurkat cell + SNP + ფენოვინი	$0,350 \pm 0,14$	0,60**

\* -სტატისტიკურად სარწმუნო ცვლილებები საკონტროლო დონესთან შედარებით ( $p < 0,001$ ). \*\* -ფენოვინის სტატისტიკურად სარწმუნო ეფექტი ( $p < 0,001$ )

Jurkat უჯრედების წყალბადის ზეჟანგთან და ფენოვინთან ერთდროული 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა იზრდება საკონტროლო მანქვენებლების დონემდე ( $K = 1,1$ ). Jurkat უჯრედების ნატრიუმის ნიტროპრუსიდთან და ფენოვინთან ერთდროული 24 საათიანი ინკუბაციის შემდეგ უჯრედების სიცოცხლისუნარიანობა იზრდება და შეადგენს საკონტროლო მანქვენებლების 60%-ს ( $K = 0,6$ ).

მაშასადამე, როგორც ჩანს, ფენოვინი ხასიათდება ანტიტოქსიკური უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის მასტიმულირებელი აქტიურობით. ამასთან, NO-ს დონორის მიერ მიყენებული მიტოქონდრიული დათრგუნვა მეტად შეუქცევად ხასიათს ატარებს (წყალბადის ზეჟანგთან შედარებით), რაც ფენოვინის ზემოქმედების ფონზე უჯრედების დაქვეითებული სიცოცხლისუნარიანობით ვლინდება.

## დასკვნა

ფენოვინი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტიოქსიდანტური აქტიურობით, რაც ოქსიგენური და ნიტროგენული სტრესით ინდუცირებული ჟანგბადისა და ლიპოპეროქსიდების ჰიპერპროდუქციის შემცირებით და ს(ო)ლ-ის აქტიურობის ნორმალიზაციით ვლინდება.

ფენოვინი ხასიათდება პროლიფერაციის მასტიმულირებელი აქტიურობით, რაც უჯრედების სიცოცხლისუნარიანობის მომატებით ვლინდება.

## ლიტერატურა

1. *Галаган М.Е., Киладзе А.Ф., Ванин А.Ф.* Биофизика, 1997, 3, 687-692.
2. *Макаренко Е.В.* Лабораторное дело, 1988, 11, 48-503.
3. *Clement M.V., Pervaiz S.* Redox. Rep., 2001, 6, 211-214.
4. *Crissman H.A., Steinkamp J.A.* J. Cell Biol., 1973, 59 (3), 766-767.
5. *Formigli L., Papucci L., Tani A., Schiavone N., Tempestini A., Orlandini G.E., Capaccioli S., Orlandini S.Z.* J. Cell Physiol., 2000, 182, 41-49.
6. *Hampton M.B., Orrenius S.* FEBS Lett., 1997, 414, 552-556.
7. *Hernandez-Saavedra D., McCord J.M.* Cancer Research, 2003, 159-163.
8. *Kim H., Kim Y.-N., Kim H., Kim C.-W.* doi:10.1038/sj.onc., 2004, 1208, 282.???
9. *Krishan A., Paika K., Frei E.* J. Cell Biol., 1975, 66 (3), 521-530.
10. *Liu W., Jiang A., Guo C.* Zhonghua Xue Ye Xue Za Zhi, 1997, 18 (11), 566-567.
11. *Lowry O.H., Nira J., Rosebroujh R.* J. Biol. Chem., 1951, 193, 265.
12. *Pae H.-O., Choi B.-M., Oh G.-S., Lee M.S., Ryu D.-G., Rhew H.-Y., Kim Y.-M., Chung H.-T.* Mol. Pharmacol., 2004, 122-128.
13. *Sweet M.J., Hume D.A.* J. Leukocyte Biol., 1996, 60, 8-26.
14. *Tabatabaie T., Kotake Y., Wallis G., Jacob J.M., Floyd R.A.* FEBS Lett., 1997, 28, 407 (2), 148-152.

## ИЗУЧЕНИЕ АНТИОКСИДНОГО ЭФФЕКТА ФЕНОВИНА IN VITRO В КУЛЬТУРЕ КЛЕТОК JURKAT

*Н. Гогебаивили, Т. Саникидзе, Л. Джаши, Л. Кипаридзе, Н. Инцирвели*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе; Биофизическая лаборатория оксидационных процессов Института медицинской биотехнологии

### РЕЗЮМЕ

В работе представлен антиоксидный эффект феновина в культуре клеток Jurkat. После инкубации с феновином определены: жизнеспособность клеток Jurkat МТТ тестом по стандартной методике, редокс-параметры оксидационного стресса, супероксидрадикалы, липопероксидрадикалы, окись азота – методом электронно-парамагнитного резонанса и активность антиоксидного фермента – супероксиддисмутазы спектрофотометрическим методом.

Установлено, что феновин характеризуется резко выраженной антиоксидантной активностью, что выражается в снижении гиперпродукции кислорода и липополисахаридов,

индуцированных окислительным и азотистым стрессом и нормализацией активности супероксиддисмутазы. Феновину свойственна также активация пролиферативной активности, о чем свидетельствует повышение уровня жизнеспособности клеток.

## DETECTION OF ANTIOXIDANT EFFECT OF PHENOVIN ON CULTURE OF IN VITRO JURKAT CELLS

*N. Gogebashvili, T. Sanikidze, L. Jashi, L. Kiparoidze, N. Intskirveli*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy; Biophysical laboratory of oxidative processes at Institute of medical biotechnology

### SUMMARY

The present article deals with antioxidant effect of phenovin on culture of in vitro Jurkat cells. Viability of Jurkat cells after incubation period with phenovin using MTT test according to standard methodology; redox-parameters of oxidative stress in culture of Jurkat cells, superoxide radicals, lipoperoxide radicals and nitric oxide (NO) by means of electronic paramagnetic resonance (EPR) method; and activity of antioxidant enzyme superoxiddismutase (SOD) – by means of spectrophotometry have been detected.

It was established that phenovin is characterized by well expressed antioxidant activity revealed by reduction of hyperproduction of oxygen and lipopolysaccharides induced by oxidative and nitrogenous stress and normalization of superoxiddismutase activity.

Along with antioxidant properties, phenovin is characterized by stimulating activity and supports processes of proliferation that have been revealed by increased viability of Jurkat cells.

## ჰემოლიზური მოქმედების ტოქსინების ორმაგი ციტოპათოგენური ეფექტი IN VITRO

გ. გოგინაძე, **ჯ. ბენიაშვილი**, გ. ფირიაშვილი, თ. გოგინაძე

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 03.11.2009

სტატიაში განხილულია ჰემოლიზური მოქმედების ბიოტოქსინის ციტოპათოგენური ეფექტები in vitro. ორმაგი ციტოპათოგენური ეფექტები (ლიზის და ფუზოგენია) დამოკიდებული უნდა იყოს ამ ტოქსინების სხვადასხვა დოზებზე და მათ მიერ სომატური უჯრედების პლაზმურ მემბრანებში განვითარებული ფორების სიდიდეზე. დიდი ზომის ფორების შემთხვევაში ადგილი უნდა ჰქონდეს შეუქცევად ცვლილებებს და ლიზისს, ხოლო შედარებით უფრო მცირე ფორების შემთხვევაში – ფუზოგენურ პროცესებს. დადგენილია, რომ ვიურზას (Vipera lebetina) ჰემოლიზური მოქმედების ტოქსინს განსაზღვრული დოზების და ექსპოზიციის შემთხვევაში შეიძლება აღმოაჩნდეს ფუზოგენური თვისებებიც. კარიოგამული თეორიიდან გამომდინარე, სომატური უჯრედების ურთიერთშერწყმას შესაძლებელია თან ახლდეს სიმსივნური უჯრედის წარმოქმნა და სხვადასხვა ლოკალიზაციისა და პისტოგენეზის სიმსივნეების განვითარება.

საკვანძო სიტყვები: ტოქსინი, ვიურზა, ჰემოლიზი, ფუზოგენია, კარიოგამია

დადგენილია, რომ ზოგიერთ ტოქსინს, სხვადასხვა ინფექციურ ვირუსებს (მაგალითად, გრიპის, წითურის და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსებს) ან კანცეროგენურ აგენტებს სომატურ უჯრედებში ძალუძთ როგორც ციტოლიზური (დესტრუქციული), ასევე ფუზოგენური პროცესების გამოწვევა [2, 4, 5].

ტოქსინების, ვირუსების და კანცეროგენური აგენტების მიერ სომატურ უჯრედებში განვითარებული ასეთი განსხვავებული ეფექტები შესაძლებელია დამოკიდებული იყოს პლაზმურ მემბრანებში წარმოქმნილი ფორების ზომებზე. დიდი ზომების ფორების შემთხვევაში, უჯრედში შესაძლებელია განვითარდეს შეუქცევადი ცვლილებები და ციტოლიზი. მაგალითად, ქიმიური კანცეროგენების მაღალი დოზები იწვევს გიგანტური პოლინუკლეარების (პოლიკარიოციტების) რაოდენობის გაზრდას, თუმცა, ამ დოზების შემდგომმა გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს უჯრედების

მასიური ღიზისი. კანცეროგენების დაბალი დოზების შემთხვევაში უფრო ხშირად ვლინდება მაღალი ონკოგენური პოტენციის მქონე დიკარიონები [3].

ცნობილია სხვადასხვა ბუნების ჰემოლიზური ანემიები. ამ მდგომარეობის ინდუცირება შესაძლებელია ზოგიერთი ეგზოგენური ჰემოლიზური ფაქტორით: სხვადასხვა ორგანული (გველის შხამით, სოკოების ტოქსინებით, ბაქტერიული წარმოშობის ტოქსინებით) და არაორგანული ჰემოლიზური ტოქსინებით (ფენილჰიდრაზინით, დარიშხანით, ტყვიით), სხვადასხვა წამლებით, რადიაციით, ზოგიერთი ინფექციური აგენტით და სხვ. გარდა ბიოტოქსინებისა და არაორგანული ტოქსინებისა, ზოგიერთ შემთხვევაში ჰემოლიზური ანემიის ინდუცირება შესაძლებელია თავისივე საკუთარი ქსოვილებისადმი მიმართული ანტიხსეულების მეშვეობით (აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემია). დადგენილია, რომ აუტოიმუნური ანემიებით შეპყრობილთა 45-47%-ს უვითარდება ლიმფოიდური და მაკროფაგური წარმოშობის ავთვისებიანი სიმსივნეები. კერძოდ, აუტოიმუნური ჰემოლიზური ანემიით შეპყრობილ ავადმყოფებს აღმოაჩნდათ ლიმფოლიმფომები, ავთვისებიანი ლიმფომები, მიელომური დაავადებები და სხვ. [1].

რადგანაც ლეიკოციტების პლაზმური მემბრანების რიგიდულობა ერთორციტებთან შედარებით, უფრო მაღალია, შესაძლებელია, რომ ქიმიური კანცეროგენებით, ზოგიერთი ტოქსინით, ინფექციური ვირუსებით, ანტიბიოტიკებით, ანტიხსეულებით და ა.შ. გამოწვეული ერთორციტების (ან ერთორიდიული რიგის არადიფერენცირებული უჯრედების) დესტრუქციასთან (ღიზისთან) ერთად, ლეიკოციტებში (ან სხვა ტიპის უჯრედებში) ადგილი ჰქონდეს პლაზმური მემბრანების დაზიანებას და მათში გარკვეული ზომის ფორების განვითარებას. ამან კი, პერფორირებული უბნების თანხვედნის შემთხვევაში, შესაძლოა, სომატურ უჯრედებში გამოიწვიოს შერწყმითი პროცესები და ჯერ პრეკანცეროზული, შემდეგ კი ჰემობარიტი სიმსივნური უჯრედის წარმოქმნა.

საინტერესო იქნებოდა დაგვედგინა ფუზოგენური ევექტები ჰემოლიზური მოქმედების ტოქსინების, მაგალითად, გიურზას (*Vipera lebetina*) ტოქსინის შემთხვევაში *in vitro*. მითუმეტეს, რომ არსებობს ეჭვი (შეიძლება საფუძვლიანიც) გიურზას კბენასა და სხვადასხვა ლოკალიზაციისა და პისტოგენეზის კიბოს განვითარების შესახებ.

ამრიგად, ჩვენ მიერ ჩატარებული შრომის მიზანი მდგომარეობდა ჰემოლიზური ბიოტოქსინის (კერძოდ, გიურზას ტოქსინის) ციტოპათოგენური ევექტების დადგენაში *in vitro*.

## მასალა და მეთოდები

ტესტ-სისტემად გამოყენებულ იქნა ფრინველების (ქათმები, მტრედები) სისხლის უჯრედული ელემენტები, კერძოდ, ერთორციტები და ლეიკოციტები. აღნიშნული ტესტ-სისტემის გამოყენება ექსპერიმენტში განაპირობა როგორც ფრინველების ერთორციტებში ბირთვების არსებობამ (რაც მათი მიკროსკოპირების შემთხვევაში საგრძნობლად აადვილებს აღნიშნული სომატური უჯრედების შერწყმის ფაქტის გამოვლენას), ასევე

ენდომიტოზის პროცესის გამორიცხვამ (ფრინველების ერთროციტების ფუნქციურად არააქტიური ბირთვების გამო).

ფრინველების სისხლს ვიდებდით ბრაქიალური ვენიდან ანტიკოაგულანტუ. სისხლის ინკუბაციას ვაწარმოებდით ფიზიოლოგიურ ხსნარში. ამრიგად, შევქმენით ორიგინალური, მოკლევალიანი (24-საათიანი) ტესტ-კულტურა.

მასალას ვსწავლობდით სინათლის, ფაზურ-კონტრასტულ და ტრანს-მისიული ტიპის TESLA-BS-500 ელექტრონულ მიკროსკოპებში. სინათლის მიკროსკოპისთვის ვამზადებდით ე.წ. ნატიურ პრეპარატებს და ნაცხებს. ნატიური პრეპარატების შესწავლა ხდებოდა  $\times 400$  გადიდების ქვეშ. ამისთვის ტესტ-ობიექტის 1 წვეთს ვათავსებდით სასაგნე მინაზე, ვაფარებდით მას საფარ მინას, ხოლო პრეპარატის ჰაერისგან საიზოლაციოდ მის კიდეებს ვფარავდით ვაზელინით ან პარაფინით. ნაცხებს სინათლის მიკროსკოპისათვის ვაფიქსირებდით მაი-გრიუნვალდის ხსნარში (3-5 წთ) და ვღებავდით გიმზას საღებავში (40 წთ). ფაზურ-კონტრასტული მიკროსკოპირებისთვის ვამზადებდით ე.წ. "ცოცხალ წვეთს". ელექტრონული მიკროსკოპისთვის სისხლის უჯრედებს ვაფიქსირებდით გლუტარალდეჰიდის და ოსმიუმის ოთხჟანგის 1%-იან ხსნარებში. მასალას ვყავალიბებდით ეპოქსიდურ ფისებში (ეპონსა და არალდიტში). ულტრაბიხელი ანათლების ვიზუალურ შესწავლას ვაწარმოებდით 3000-5000-8000 ინსტრუმენტული გადიდების ქვეშ.

ფრინველების სისხლს ვუმატებდით გიურზას ჰემოლიზური მოქმედების შხამის სხვადასხვა კონცენტრაციებს (20 მკგ/მლ, 15 მკგ/მლ, 12 მკგ/მლ, 10 მკგ/მლ, 5 მკგ/მლ). ტოქსინთან 0,5-, 1-, 2-, 4-, 8-, 12- და 20-საათიანი ექსპოზიციის შემდეგ, სისხლის ფორმიან ელემენტებს ვრეცხავდით ფიზიოლოგიურ ხსნარში და ვსწავლობდით სხვადასხვა ტიპის მიკროსკოპებში.

შერწყმითი პროცესის სიხშირეს, მის ინტენსივობას, ანუ ე.წ. ფუზოგენობის ინდექსს (IF) ვადგენდით ნაცხებში 100 უჯრედის ანალიზის საფუძველზე.

საკონტროლოდ ვიყენებდით ფრინველების სისხლს, რომელსაც ვუმატებდით ფიზიოლოგიურ ხსნარს.


### შედეგები და მათი განხილვა

გიურზას შხამის ჩვენთვის საინტერესო (ფუზოგენურ) კონცენტრაციას ვადგენდით ემპირულად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმისთვის, რათა დაგვედგინა გიურზას შხამის ფუზოგენური თვისებები, ჯერ ვვიძებდით ამ შხამის ისეთ კონცენტრაციას (ლეტალურ, მაქსიმალურ დოზას), რომელიც უკვე 0,5-საათიანი ექსპოზიციის შემდეგ ერთროციტების დაახლოებით 100%-ში გამოიწვევდა ჰემოლიზს. შემდგომ ამისა, გიურზას შხამის კონცენტრაციას თანდათანობით ვამცირებდით და პარალელურად ვაკვირდებოდით ერთროციტულ და ლეიკოციტურ უჯრედებში განვითარებულ ციტოპათოგენურ ცვლილებებს. გამოირკვა, რომ 100%-იანი, მასიური

ჰემოლიზის გამომწვევი აღმონდა ჰემოლიზური მოქმედების ბიოტოქსინის დოზები - 20 მკგ/მლ-ზე და 15 მკგ/მლ-ზე, რომელნიც უჯრედებთან უკვე 0,5-საათიანი ექსპოზიციის შემდეგ იწვევდნენ შესაბამის (ანუ ჰემოლიზურ) ეფექტებს.

გიურზას შხამის შედარებით უფრო მცირე დოზა - 10 მკგ/მლ-ზე სისხლის ფორმირებასთან 2-საათიანი ექსპოზიციის შემდეგ, იწვევდა სუსტად გამოხატულ ფუზოგენურ ეფექტებს. შერწყმული უჯრედების (ანუ ორ- და ძალზე იშვიათად, 3-ბირთვიანი უჯრედების) რაოდენობა, გადათვლილი 100 ლიმფოციტზე (IF), ტოქსინის ზემოქმედებიდან 2 სთ-ის შემდეგ შეადგენდა 8-9-ს (IF = 8,5%).

ბიოტოქსინის იგივე დოზის (10 მკგ/მლ-ზე) 4-საათიანი ექსპოზიციის შემდეგ აღვილი ჰქონდა ფუზოგენური ეფექტების ინტენსიფიკაციას (სურ. 1). უფრო ხშირად ვლინდებოდა 3- (ტრიკარიონები) და 4-ბირთვიანი (ტეტრაკარიონები) სტრუქტურები. ამ დროს ფუზოგენური ინდექსი შეადგენდა 11-12-ს (IF = 11,5%). შემდგომ ამისა, ფუზოგენის პროცესის ინტენსიფიკაცია წვეს მიერ არ იქნა დაფიქსირებული. მეტიც, 12- და 20-საათიანი ექსპოზიციის შემთხვევაში, IF დაქვეითდა 5%-მდე.



სურ. 1. ბირთვიანი ერთროციტების ფუზოგენური ეფექტები.  $\times 630$ .

შერწყმული ორბირთვიანი უჯრედების ანუ დიკარიონების უმეტეს ნაწილს (დიკარიონებს) გააჩნდა ერთი და იგივე ტიპის ბირთვები, ანუ ისინი წარმოადგენდნენ პომოკარიონებს (სურ. 2). ამ უკანასკნელი ტიპის წარმონაქმნებში ბირთვებს სხვადასხვა ზომები და ფორმა ჰქონდათ (რაც გამორიცხავს ენდომიტოზის პროცესს), ხოლო მათი კარიოლემა ხშირად ინვაზირებული იყო. ტრანსმისიული ტიპის ელექტრონული მიკროსკოპის შედარებით მაღალი ინსტრუმენტული გადიდების მიუხედავად (15000 და ზევით), ბირთვებს შორის არ აღინიშნებოდა პლაზმური მემბრანის ან მისი რუდიმენტების არსებობა (სურ. 3), რაც ფუზოგენის პროცესის რეალურობას ადასტურებს. ზოგიერთ ბირთვში ვლინდებოდა ჰიპერტოფირებული ბირთვაკები, ხოლო ციტოპლაზმაში - მცირე ზომის, ელექტრონულად მკერივი გრანულები.



სურ. 2. ორბირთვიანი უჯრედები ბიოტოქსინის ზემოქმედებიდან 2 სთ-ის შემდეგ.  $\times 5000$ .



სურ. 3. ტრიკარიონები ბიოტოქსინის ზემოქმედებიდან 4 სთ-ის შემდეგ.  $\times 4500$ .

შერწყმული უჯრედების მცირე ნაწილს გაანნდა სხედასხვა ტიპის ბირთვები (ფრინველის ერითროციტის და ლეიკოციტის), ე.ი. ისინი წარმოადგენდნენ ჰეტეროკარიონებს.

ვიურხას შხამის უფრო მცირე კონცენტრაციის (5 მკგ/მლ-ზე) გამოყენებისას, ფუზოგენურ ეფექტებს ადგილი არ ჰქონდა.

საკონტროლო ცდებში ჰომო- და ჰეტეროკარიონების წარმოქმნა არ აღინიშნებოდა არც ერთ შემთხვევაში. ამასთან, უჯრედებს შორის ყველა შემთხვევაში ვლინდებოდა უჯრედშორისი სივრცეები (სინათლის მიკროსკოპშიც კი). იშვიათად აღინიშნებოდა უჯრედების კონტაქტები შერწყმის გარეშე, რასაც ნათლად ადასტურებს ულტრასტრუქტურული ანალიზის შედეგები.

ამრიგად, ეგზოგენური და ენდოგენური გენეზის ჰემოლიზური ანემიების შემთხვევაში, ერითროციტების ჰემოლიზთან ერთად, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს უფრო მაღალი რიგიდულობის პლასმური მემბრანების მქონე სხვა ტიპის სომატური უჯრედების შერწყმით პროცესებს. მაგალითად, ჰემოლიზური მოქმედების შხამის მქონე გველების (*Vipera lebetina*, *Vipera Russellii* და სხვ.) კბენის შემდეგ, ერითროციტების მასიური დესტრუქციის

(ჰემოლიზის) პარაღელურად, სხვა უჯრედებში (მაგალითად, ლიფერენცირების სხვადასხვა სტადიებში მყოფ ლეიკოციტებში ან სხვა ტიპის უჯრედებში) შესაძლებელია ადგილი ექნეს შერწყმით პროცესებს (ფუზოგენიას), სიმსივნური უჯრედების შესაძლო წარმოქმნით. დაახლოებით ასეთივე მოქმედება შეიძლება გააჩნდეს ზოგიერთი ბაქტერიის (სტრეპტოკოკების, ლურჯ-მწვანე ჩირქის ჩხირის), აგრეთვე სოკოების – *Aspergillus flavus*, *Penicillium islandicum*, *Aspergillus ochraceus* და სხვ.) ტოქსინებსაც. კერძოდ, დადგენილია, რომ *Aspergillus flavus*-ის ტოქსინი (აფლატოქსინი) მძიმე ტოქსიკურ მოქმედებასთან ერთად იწვევს ღვიძლის ავთვისებიანი სიმსივნეების (კერძოდ, ჰეპატოცელულური კარცინომების) განვითარებას ექსპერიმენტულ ცხოველებში.

ამრიგად, გიურზას ჰემოლიზური მოქმედების ტოქსინს განსაზღვრული დოზების შემთხვევაში აღმოაჩნდა ფუზოგენური თვისებებიც. კარიოგამული (ჰიბრიდიზაციული, “ორი სინკარიონის”) თეორიიდან გამომდინარე კი, სხვადასხვა ბუნების ჰემოლიზური ანემიების შემთხვევაში სომატური უჯრედების ურთიერთშერწყმას შესაძლებელია თან ახლდეს პირველი სიმსივნური უჯრედის წარმოქმნა და სხვადასხვა ლოკალიზაციისა და პისტოგენეზის სიმსივნეების განვითარება.

## ლიტერატურა

1. *Bataille R., Klein B., Durie B.G.M., Sany J.* Clin. Exp. Rheumatol., 1989, 7, 3, 319-328.
2. *Gogichadze G., Dolidze T., Beniashvili D., Piriaishvili V.* Short-term bioassay for confirmation of carcinogenic properties in various chemical substances. I Conf. Int. Feder. of Soc. of Toxicol. Pathologists. “Current Methods for the Evaluation of Pathology in Toxicology”, 1992, 32. Nagoya, Japan.
3. *Gogichadze G.K., Misabishvili E.V., Gogichadze T.G.* Med. Hypotheses, 2006, 66, 1, 133-136.
4. *Huang R.T., Rott R., Klenk H.D.* Virology, 1981, 110, 243-247.
5. *Vaananen P., Kaarianen L. J.* General Virol., 1980, 46, 467-475.

## ДВОЙНЫЕ ЦИТОПАТОГЕННЫЕ ЭФФЕКТЫ ГЕМОЛИТИЧЕСКИХ ТОКСИНОВ IN VITRO

Г. Гогичадзе, Д. Бениашвили, В. Пириашвили, Т. Гогичадзе

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

Установлено, что некоторые токсины, различные инфекционные вирусы или канцерогенные агенты способны в соматических клетках индуцировать цитолитические и фузогенные процессы. Такие двойные цитопатогенные эффекты, возможно, зависят от различных доз и объема пор, возникающих в плазматических мембранах соматических клеток. Цель настоящей работы заключалась в выявлении цитопатогенных эффектов биотоксина

гемолитического действия – яда гюрзы (*Vipera lebetina*). Было установлено, что яд гюрзы, вместе с гемолитическими, обладает и фузогенными свойствами. Исходя из кариогамной теории канцерогенеза, слиянию соматических клеток в некоторых случаях может сопутствовать формирование опухолевой ткани.

## DOUBLE CYTOPATHOGENIC EFFECTS OF HEMOLYTIC TOXINS *IN VITRO*

G. Gogichadze, D. Beniashvili, V. Piriashvili, T. Gogichadze

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

It is established, that some toxins, different infectious viruses or some carcinogenic agents may induce both fusion processes and cytolytic (destructive) effects in somatic cells. Such different effects of these agents on somatic cells possibly depend on size of plasma membrane pores induced by them. As rigidity of leucocytes' membranes is higher, it is possible that during destruction and perishing of erythrocytes by some agents, in leucocytes damages of plasma membranes and pore of definite size (which may promote process of fusion of somatic cells) may be formed. Aim of this article is to study the cytopathogenic effects of hemolytic toxins, particularly, venom of *Vipera lebetina*. It is established that this venom together with hemolytic action possesses fusogenic ability too. Proceeding from karyogamic theory of carcinogenesis, fusion of somatic cells may be accompanied by formation of true tumor cell.

## არბო- და რიბოვირუსები, რობორც მზოტიმური დაავადებების გამომწვევები

გ. გოგინაძე, ნ. დიდბარიძე, თ. დიდბარიძე,

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 08.12.2009

არბო- და რიბოვირუსები მიეკუთვნება ვირუსების ეკოლოგიურ ჯგუფს, რომელიც ხასიათდება ამაგზნების გადაცემის კომპლექსური ციკლით, მწერების და მღრღნელების ჩათვლით.

სხვადასხვა ვირუსები იწვევს ინფექციურ დაავადებებს, რომლებიც უაღრესად აქტუალურია ამერიკის და აფრიკის ქვეყნებისთვის.

წლების განმავლობაში ასეთ დაავადებათა რიცხვი ფართოდ ვარირებს. არბო- და რიბოვირუსები კლასიფიცირებულია არენავირუსების, ბუნიავირუსების, ფილოვირუსების, ფლავივირუსების, რეოვირუსების და ტოგავირუსების ოჯახებში.

ყოველ კონტინენტს ახასიათებს ინფექციური აგენტის საკუთარი პატერნი. არბოვირუსულ ძირითად ინფექციებს, რომლებიც გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, მიეკუთვნება: ყვითელი ცხელება, ტკიპისმიერი ენცეფალიტი, ჰემორაგიული ცხელება, დენგეს ცხელება, იაპონური ენცეფალიტი, დასავლეთ ნილოსის ცხელება, კიასანური ტყის დაავადება, ცხენების დასავლეთის და აღმოსავლეთის ენცეფალიტები.

რიბოვირუსების ძირითად ინფექციებს მიეკუთვნება ჰანტავირუსული ინფექცია, ლასას ცხელება, სამხრეთამერიკული ჰემორაგიული ცხელებები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში განსაკუთრებით აქტუალურია ჰანტავირუსის პულმონარული სინდრომი, ტკიპისმიერი ენცეფალიტი, აგრეთვე მარბურგის და ებოლის ცხელების სინდრომი, რომელთა გავრცელების წყარო უცნობია, მაგრამ არის ეჭვი, რომ ასეთ როლს მღრღნელები და დამურები ასრულებენ.

საკვანძო სიტყვები: არბოვირუსები, რიბოვირუსები, ინფექციები, კლინიკური სინდრომები

არბოვირუსები (Arthropod-borne viruses) მიეკუთვნებიან ინფექციური აგენტების იმ ჯგუფს, რომელთა გადაცემა ერთი ხერხემლიანი მასპინძლიდან მეორეზე ხდება სისხლისმწოველი ფეხსახსრიანების (მწერების და ობობასნაირების) საშუალებით. ვირუსების გამრავლება მწერების ქსოვილებში მიმდინარეობს ყოველგვარი დაზიანების ან დაავადების გამოვლინების გარეშე. გადამტანი-ფეხსახსრიანი ინფიცირდება დაავადებული

ხერხემლიანის სისხლის წოვის პროცესში. ზოგიერთი არბოვირუსი ფეხსახსრიანებში ტრანსოვარიული გადაცემის მექანიზმის გამო შენარჩუნებულია ხანგრძლივი დროის მანძილზე [2, 7, 11].

არბოვირუსები გაბნეულები არიან ვირუსების სხვადასხვა ოჯახებში: ტოგავირუსები, ფლავივირუსები, ბუნიავირუსები, არენავირუსები და ა.შ. არბოვირუსული ინფექციები მიეკუთვნება ბუნებრივ-კეროვან დაავადებებს, ხოლო ბუნებრივ კერაში არსებულ ეპიდემიურ ჯაჭვში ადამიანიც ჩაერთვება ხოლმე. არბოვირუსები მცირე ზომისანი არიან, ყველა მათგანი რნმ-გენომიანია. არბოვირუსებით გამოწვეული ყველა დაავადება ტრანსმისიული ანთროპოზონოზია [1, 6] (ცხრილი 1).

ცხრილი 1

**ზოგიერთი არბო- და რობოვირუსის ტაქსონომიური სტატუსი**

ტაქსონომიური კლასიფიკაცია	მნიშვნელოვანი არბოვირუსები და რობოვირუსები (გადამტანები)	ვირუსის თვისებები
Arenaviridae გვარი – Arenavirus	ხუნინის, მანუპოს, გუანარიტოს, ღასას, ღიმფოციტური ქორიოშენინგიტის ვირუსები (მღრღნელები)	სფერული 50-300 ნმ დიამეტრის გენომი: ორმაგ-სეგმენტირებული, მინუს ერთაფიანი რნმ. ვირიონი შეიცავს ტრანსკრიპტაზას. ოთხი ძირითადი პოლიპეპტიდი. როული, გარსიანი ვირუსი. რეპლიკაცია: ციტოპლაზმაში. აწეობა: აერთიანებს რიბოსომების მსგავს ნაწილაკებს და პლაზმური მემბრანიდან დაკვირვებით გამოდის
Buniaviridae გვარი – Orthobunivirus	კალიფორნიული ენცეფალიტის გუამა, ღა-კროსი, მოსკიტური ცხელების (ფლვობოტომური, პაპატანის, 3-ღლიანი ცხელებები, ზაფხულის გრიპი), ვირუსები (კოლოები)	სფერული, 80-120 ნმ დიამეტრის. გენომი: სამსეგმენტო მინუს ან პლუს-მინუს ძაფიანი რნმ. ვირიონი შეიცავს ტრანსკრიპტაზას. ოთხი ძირითადი პოლიპეპტიდი. როული გარსიანი ვირუსი. რეპლიკაცია: ციტოპლაზმაში. აწეობა: ენდოპლაზმური რეტისკულუმის გავლით
გვარი – Hantavirus	ჰანტანის ვირუსი (ჰანტავირუსული ფილტვის სინდრომი) (მღრღნელები)	
გვარი – Nairovirus	კონგო-ვირიმის პემორავიული ცხელების ვირუსი	
გვარი – Phlebovirus	პაპატანის ცხელების, რიფტვალის ცხელების ვირუსები. არბოვირუსები (კოლოები, ტკიპები)	

ცხრილი 1 (გაგრძელება)

ტაქსონომიური კლასიფიკაცია	მნიშვნელოვანი არბოვირუსები და რობოვირუსები (გადამტანები)	ვირუსის თვისებები
Filoviridae გვარი – Marburgvirus	მარბურგის ვირუსი	გრძელი ძაფების ფორმა, 80 ნმ სიგანე, სიგრძე მერყეობს (>10000 ნმ), უმრავლეს შემთხვევაში 1000 ნმ. მინუს ერთ-დაფიანი არასეგმენტირებული რნმ. შეიდი პოლიპეპტიდი. რთული გარსიანი ვირუსი.
გვარი – Ebolavirus	ეპოლას ვირუსი	რეპლიკაცია: ციტოპლაზმაში. აწეობა: უჯრედის პლაზმური მემბრანიდან დაკვირვით
Flaviviridae გვარი – Flavivirus	ყითელი ცხელების, იაპონური ენცეფალიტის, დენგეს ცხელების, ტაივის ენცეფალიტის, კიასანურის ტყის დაავადების, დასავლეთ ნილოსის ცხელების, სენტ-ლუისის ენცეფალიტის, ომსკის ჰემორაგიული ცხელების, მიური ვალის (ავსტრალიური) ენცეფალიტის ვირუსი (ტკიპები, კოლოები)	სფერული, 40-60 ნმ დიამეტრის. გენომი: პლუს ერთაფიანი რნმ, სამი ან ოთხი სტრუქტურული პოლიპეპტიდი. რეპლიკაცია: ციტოპლაზმაში. აწეობა: ენდოპლაზმური რეტისკულუმის გავლით. ყველა ვირუსი სეროლოგიურად მსგავსია
Reoviridae გვარი – Coltivirus	ტკიპისმიერი კოლორადოს ცხელების ვირუსი, არბოვირუსები (ტკიპები, კოლოები)	სფერული 60-80 ნმ დიამეტრის. გენომი 10-12 სეგმენტირებული სწორხაზოვანი ორდაფიანი რნმ, მარტივი უგარსო ვირუსი.
გვარი – Orbivirus	კემეროვოს და ორუნგოს ცხელების ვირუსი (ტკიპებით, ნესტის ჭიებით)	10-დან 12-მდე სტრუქტურული პოლიპეპტიდი. რეპლიკაცია და აწეობა: ციტოპლაზმაში.
Togaviridae გვარი – Alphavirus	ჩიკუნგუნია და ონიონგონიონგის, ცხენების აღმოსავლეთ, დასავლეთ და ვენესუელის ენცეფალიტის, სინდბისის, სემლიკის ტყის ცხელების ვირუსები (არბოვირუსები (კოლოები))	სფერული, 70 ნმ დიამეტრის, ნუკლეოკაფსიდს აქვს 42 კავსომერი გენომი: პლუს ერთ-დაფიანი რნმ. რთული გარსიანი ვირუსი. სამი ან ორი ძირითადი სტრუქტურული პოლიპეპტიდი. რეპლიკაცია: ციტოპლაზმაში აწეობა, დაკვირვება მასინძლის უჯრედის მემბრანიდან. ყველა ვირუსი სეროლოგიურად მსგავსია

არბოვირუსების მიერ გამოწვეული ეგზოტიკური ინფექციები (ბერძ. *exoticos* - უცხო) საბუნდუნოდ ჩვენში არ გვხვდება, თუმცა მათი ეტიოლოგიისა და პათოგენეზის ცოდნა აუცილებელია ექიმისთვის და თუ გნებავთ, ნებისმიერი განსწავლული პიროვნებისთვის. ეგზოტიკური ინფექციები არ გვხვდება ამა თუ იმ კონკრეტულ ქვეყანაში იმის გამო, რომ იქ არ გვხვდება ინფექციის წყაროები, გადამტანი ფეხსახსრიანები, ან გავრცელების სხვა აუცილებელი პირობები, თუმცა ასეთი დაავადებები ამ ქვეყნებში (და მათ შორის საქართველოშიც) შეიძლება შეგვხვდეს გარედან შემოტანის შედეგად (ტრანზიტული ავადმყოფობა). საქართველოსთვის ეგზოტიკური ინფექციის ერთ-ერთი მაგალითია ყვითელი ცხელება (უმძიმესი დაავადება, რომელიც შავ ჭირთან და ქოლერასთან ერთად, შეტანილია კონვენციურ ანუ საკარანტინო ინფექციების რიცხვში), რომლის გამომწვევი ვირუსის გადამტანი კოდოები - *Aedes aegypti*, *Aedes simpsoni*, *A. africanus* და *Haemagogus spegazzini* საქართველოში არ ბინადრობენ [1, 19].

გამოყოფილი ვირუსების შესწავლა უნდა მოხდეს შემდეგი გეგმის მიხედვით: 1. უნდა დამტკიცდეს მათი კუთვნილება ტრანსმისიული ვირუსების ჯგუფისადმი. ამ ჯგუფის ძირითადი ნიშნებია: ვირუსული ნაწილაკების მცირე ზომები (10-50 ნმ); ყველა ვირუსი რნმ-გენომიანი; მგრძობიარანი არიან ეთერისადმი; მათი მასპინძლებია სისხლისმწოველი ფეხსახსრიანები; 2. უნდა დადგინდეს ის ანტიგენური ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნის გამოყოფილი ვირუსი და დამტკიცდეს მისი ეტიოლოგიური დამოუკიდებლობა. 3. უნდა დადგინდეს გამოყოფილი ვირუსის ცირკულაცია კერაში ნეიტრალიზაციის რეაქციის საშუალებით [30, 32, 40].

მთელს მსოფლიოში გავრცელებული არბოვირუსული დაავადებების რიცხვში გვხვდება: ყვითელი ცხელება, დენგეს ცხელება, იაპონური ენცეფალიტი, ცხენების დასავლეთის და აღმოსავლეთის ენცეფალიტი, ტაივის (იგივე შორეულ აღმოსავლეთის) ვახაფხულ-ვაფხულის ენცეფალიტი, დასავლეთ ნილოსის ცხელება და ა.შ.

ათასობით ცნობილი არბოვირუსიდან ადამიანის დაავადებების გამომწვევთა პათოგენეზში ძირითადი მნიშვნელობა 100-მდე მათგანს ენიჭება. აღსანიშნავია, რომ ინფიცირებული ადამიანები ვირუსის რესერვუარის და მისი გადაცემის ციკლში უმნიშვნელო როლს თამაშობენ, გამონაკლისია მხოლოდ ქალაქის ტიპის ყვითელი ცხელება და დენგეს ცხელება. ზოგიერთი მათგანის ბუნებრივი ციკლი მარტივია და მოიცავს მხოლოდ ხერხემლიანი მასპინძლის (ძუძუმწოვარი ან ფრინველი, მაგრამ არა ადამიანი) ინფიცირებას, რომელიც მისთვის სპეციფიკური გადამტანის - კოლოს ან ტიკოპის მეშვეობით გადაეცემა (მაგ., ჯუნგლების ყვითელი ცხელება, კოლორადოს ტიკოპისმიერი ცხელება). კომპლექსური ბუნებრივი ციკლი ახასიათებს, მაგალითად, ცენტრალურ ევროპულ ორფახიან მენინგოენცეფალიტს, რომელიც ვითარდება თხის ან ძროხის ნედლი (აუდუღარი) რძის მიღების შედეგად. საკუთრივ მსხვილფეხა პირუტყვის ინფიცირება ხდება ტიკიპით (*Yxodes ricinus*), რომლებსაც საძოვრებზე ბინადარი მღრღნელებიდან გამომწვევი აგენტი გადააქვს ტრანსმისიული გადაცემის მექანიზმით [1, 21].

არბოვირუსული ინფექციების გამომწვევთა სახელწოდება გამომდინა-

რებს დაავადების სპეციფიკიდან (დენგეს ცხელება, ყვითელი ცხელება) ან გეოგრაფიული არეალის დასახელებიდან, სადაც პირველად მოხდა ვირუსის იზოლირება (დასავლეთ ნილოსის ცხელების, სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსი). არბოვირუსები აღმოჩენილია ყველა ზომიერი და ტროპიკული ჰავის ზონებში, მაგრამ ტროპიკულ ზონაში, სადაც დიდია ცხოველების და გადამტანი ფეხსახსრიანების რაოდენობა, მაინც შეიმჩნევა მათი პრევალირება.

არბოვირუსებით გამოწვეული ინფექციები იყოფა სამ კლინიკურ სინდრომად: (1) არადიფერენცირებული ტიპის ცხელებები მაკულოპაპულოზური გამონაყარით კანზე ან მის გარეშე, ართრალგიები, რომელთა პროგნოზი, ჩვეულებრივ, კეთილსამედოა; (2) ენცეფალიტები. საწყის პერიოდში კლინიკა წააგავს გრიპისმაგვარ სინდრომს, თუმცა შემდეგ ვითარდება ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება, რაც ხშირად ლეტალურად მთავრდება, ახასიათებს ასევე ნარჩენი მოვლენები (კუნთების ატროფია, სმენის და მხედველობის დაქვეითება); (3) ჰემორაგიული ცხელებები, რომლებიც ხშირად მიმდინარეობს მწვავედ და მთავრდება ლეტალური გამოსავლით. მძიმე ფორმებს თან სდევს ფართო სისხლჩაქცევები სხვადასხვა ორგანოებში, არტერიული ჰიპოტენზია და შოკური მდგომარეობა. ამასთანავე, თირკმლების დაზიანება ვლინდება მძიმე ფორმებში [45, 46].

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი არბოვირუსული ინფექცია შეიძლება დაკავშირებული იყოს ერთზე მეტ სინდრომთან, მაგალითად, დენგეს ცხელება.

აღამიანის ორგანიზმში ვირუსების გამრავლების ინტენსიუობასა და სამიზნე-უჯრედების ლოკალიზაციაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კლინიკური სინდრომის ხასიათი. ამგვარად, ცალკეული არბოვირუსები ზოგიერთ ავადმყოფებში იწვევს უმნიშვნელო ცხელებით მიმდინარე დაავადებებს, ხოლო სხვები კი – ენცეფალიტებს ან ჰემორაგიულ დიათეზებს. ამასთანავე, როგორც წესი, ეპიდემიურ სიტუაციებში დომინირებს ერთერთი სინდრომი, რომელიც წარმოადგენს სავარუდო დიაგნოზის საფუძველს, ხოლო საბოლოო დიაგნოზი მეტწილად ეფუძნება ეპიდემიოლოგიური და სეროლოგიური კვლევების შედეგებს [23, 41].

არბოვირუსული ინფიცირების შემდეგ, საინკუბაციო პერიოდში ხდება ვირუსის რეპროდუქცია, რომელსაც მოსდევს უცვარი კლინიკური გამოვლინება, ეს კი, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ვირუსულ დისემინაციასთან. სისუსტე, თავის ტკივილი, გულისრევა, ღებინება, მიაღვია – ცხელების თანმხლები სიმპტომებია, ხოლო ეს უკანასკნელი მყარ და ზოგჯერ ერთადერთ სიმპტომს წარმოადგენს. დაავადებას შეიძლება ახასიათებდეს განმეორებები გამონაყარით ან მის გარეშე, ან ჰემორაგიული მანიფესტაციები მეორადი ვასკულური ანომალიებით. ხშირად ვირემიის პერიოდი უსიმპტომოა, თუმცა ენცეფალიტის დასაწყისი მწვავეა, რასაც მოსდევს ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ვირუსის ლოკალიზაცია [22, 43, 44].

არბოვირუსული ენცეფალიტი გვხვდება განსხვავებულ გეოგრაფიულ არეალში და ტრანსმისიული გადაცემის მექანიზმის განხორციელებაში

სხვადასხვა გადამტანები მონაწილეობენ. თითოეულ კონტინენტს ახასიათებს კონკრეტული არბოვირუსული ინფექციები (მაგ., ცხენების ვენესუელის ენცეფალიტი, იაპონური ენცეფალიტი, მიურეი ვალის (ავსტრალიის) ენცეფალიტი და სხვ.). მრავალი ენცეფალიტის გამომწვევი მიეკუთვნება ტოვა- და ფლავივირუსებს, კალიფორნიული ენცეფალიტის გამომწვევები კი ბუნიავირუსებია [6, 8, 16].

არბოვირუსული ინფექციების ეპიდემიებმა მსოფლიოს ზოგიერთ ნაწილში მოიცვა ათასობით დაავადებული პირი, ხოლო ასიმპტომურად მიმდინარე კლინიკის მქონე კიდევ უფრო მეტი პირი იქნა გამოვლენილი [43, 44, 45].

აშშ-ში წლიდან წლამდე შეინიშნებოდა არბოვირუსული ინფექციების შემთხვევათა რაოდენობრივი მერყეობა. 1975 წელს დაფიქსირებულ იქნა არბოვირუსული ენცეფალიტის 4308 შემთხვევა, მათ შორის 340 დამთავრდა ლეტალურად. ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა შტატში. მათ შორის ავადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა სენტ-ლუისის ენცეფალიტით – 42%-ში. სხვა არბოვირუსებით დაინფიცირებამ შეადგინა 7%. აღსანიშნავია, რომ შემთხვევათა 40% არ იქნა იდენტიფიცირებული ლაბორატორიული მეთოდებით [9, 12, 13].

1984 წელს აშშ-ში დაფიქსირდა ცენტრალური ნერვული სისტემის არბოვირუსული ინფექციების 100-ზე მეტი შემთხვევა. მათ შორის 33 სენტ-ლუისის ენცეფალიტის ვირუსით იყო გამოწვეული, 26 შემთხვევა – უშუალოდ კალიფორნიაში. 76 შემთხვევის გამომწვევი იყო კალიფორნიის (ლა კროსი) ენცეფალიტის ვირუსი, 5% – ცხენების აღმოსავლეთის ენცეფალიტის ვირუსი და 2 – ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის ვირუსი. 1987 წელს სენტ-ლუისის ენცეფალიტის მხოლოდ 5 შემთხვევა დაფიქსირდა, ხოლო 37 – ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის [13, 39].

აღსანიშნავია ასევე არბოვირუსულ ინფექციათა რიცხვის თანაფარდობა დაავადებულთა ასაკთან მიმართებაში (ცხრილი 2) [21]. ასევე აღსანიშნავია, რომ ცხენების დასავლეთის ენცეფალიტის ვირუსი უფრო ხშირად იწვევს დაავადებას, ვიდრე ცხენების აღმოსავლეთის ენცეფალიტის ვირუსი, მაგრამ დაავადება ნაკლებ მწვავეა [24, 27]. შემთხვევათა სიხშირის თანაფარდობა 100:1-ზეა. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველწლიურად მერყეობს 5-დან 20-მდე, სიკვდილიანობის დონე უხეში დაანგარიშებით წელიწადში 2%-ია [14, 17, 45].

ყვითელი ცხელება დღესდღეობით მიეკუთვნება განსაკუთრებით საშიშ ინფექციათა რიცხვს, რომელიც გავრცელებულია ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკასა და აფრიკის ზოგიერთ ქვეყნაში. აღნიშული დაავადება არ არის დარეგისტრირებული იმ რეგიონებში, სადაც გავრცელებულია დენგეს ცხელება, როგორც ჩანს, ეს ორი ვირუსი ვიკარული ანუ ურთიერთგამომრიცხავი მიკროორგანიზმებია, რაც, ალბათ, განპირობებული უნდა იყოს გადამტანის (კოლოს) უჯრედული რეცეპტორებისადმი კონკურენციით. ყოველწლიურად ყვითელი ცხელების 200000 შემთხვევაა დაფიქსირებული, რომელთაგან დაახლოებით 30000 ლეტალურად მთავრდება. ეპიდემიურ აფეთქებათა უმეტესობა (90%) მოდის აფრიკაზე. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ყველა ასაკობრივ ჯგუფში გამოვლენილი მგრძობებლობა

ყვითელი ცხელების გამომწვევი ვირუსისადმი. სამხრეთ ამერიკაში ყოველწლიურად 500-მდე შემთხვევაა დაფიქსირებული, ხოლო ამ გამომწვევისადმი მგრძობიარე პირებს წარმოადგენდნენ 15-დან 45 წლამდე მამაკაცები [4, 15, 33, 37].

ცხრილი 2

**არბო- და რობოვირუსული ინფექციების შემთხვევები აშშ-ში**

დაავადება და გამომწვევი	გაერცელება	გადამტანი	შემთხვევათა თანაფარდობა ასაკთან მიმართებაში	გართულება	სიკვდილიანობის სიხშირე %-ში
ცხენების აღმოსავლეთის ენცეფალიტი (Alphavirus)	ატლანტის ოკეანის სამხრეთ სანაპირო (სოფლის)	Aedes, Culex	10:1 (ახალშობილები) 50:1 (შუა ხნის) 20:1 (ხანდაზმული)	+	30-70
ცხენების დასავლეთის ენცეფალიტი (Alphavirus)	წყნარი ოკეანის სამხრეთ-დასავლეთ სანაპირო, მიუბი (სოფლის)	Culex tarsalis, Aedes	50:1 (5 წლამდე) 1000:1 (15 წლამდე)	+	3-7
ცხენების ვენესუელის ენცეფალიტი (Alphavirus)	სამხრეთი და ცენტრალური ამერიკა (სოფლის)	Aedes, Psorophora, Culex	25:1 (15 წლამდე) 1000:1 (19 წლიდან)	±	დეტალური გამოსავალი იშვიათია
სენტ-ლუისის ენცეფალიტი (Flavivirus)	ყველგან (ქალაქის, სოფლის)	Culex	800:1 (9 წლამდე) 400:1 (9-დან 59-მდე) 5:1 (60 წლიდან)	±	3-10 (65 წლამდე) 30 (65 წლიდან)
აღმოსავლეთ ნილოსის ცხელება (Flavivirus)	ყველგან (ქალაქის)	Culex, Aedes, Anopheles	150:1	უცნობი	3-15 <sup>**</sup>
კალიფორნიის ენცეფალიტი – ღა კროსი (Orthobunyavirus)	ჩრდილოეთ ცენტრალური, ატლანტის ოკეანის სამხრეთი (სოფლის)	Aedes triseriatus	თანაფარდობა უცნობია (20 წლიდან)	იშვიათი	დაახლოებით 1
ჰანტავირუსული ფილტვის სინდრომი (Hantavirus)	სამხრეთ-დასავლეთ და დასავლეთ აშშ (სოფლის)	Peromyscus maniculatus	უცნობია	უცნობი	30
კოლორადოს ტიპისმიერი ცხელება (Coltivirus)	წყნარი ოკეანის სანაპირო, მიუბი (სოფლის)	Dermacentor andersoni	თანაფარდობა უცნობია (ასაკი განურჩეველი)	იშვიათი	დეტალურად იშვიათია

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებისთვის დენგუს ცხელება არ არის ენდემური დაავადება, კარიბის და ზოგიერთი ტრო-

ბიკული ტერიტორიებიდან დაბრუნებულ ტურისტებში ბოლო წლებში 100-დან 200-მდე დაავადებული პირი გამოვლინდა. შემთხვევათა მეტი წილი მოდიოდა სამხრეთ და აღმოსავლეთ შტატებზე. აღსანიშნავია, რომ დაავადებულებიდან ადგილობრივი გადაცემის შემთხვევა ჯანმრთელ პირებზე არ დაფიქსირებულა. დაანგარიშებულია, რომ ყოველწლიურად მთელს მსოფლიოში დაახლოებით 20 მილიონი ადამიანი ინფიცირდება ღენგეს ცხელების გამომწვევი ვირუსით. ღენგეს ცხელება ყველაზე ხშირი არბოვირუსული დაავადებაა მთელს მსოფლიოში [3, 4, 18, 25, 36, 38].

2000 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა კოლორადოს ტეიპისმიერი ენცეფალიტის 18 შემთხვევა, ამათგან ერთი დამთავრდა ლეტალურად. 2001 წელს დასავლეთ ნილოსის ენცეფალიტის 48 შემთხვევა დაფიქსირდა. ლეტალურად დასრულდა 5. აღსანიშნავია, რომ 2002 წელს ამ ინფექციის შემთხვევათა რიცხვმა მოიმატა და, შესაბამისად, დაფიქსირდა 4000-ზე მეტი შემთხვევა, 274 ადამიანი დაიღუპა, ვირუსის გავრცელება გაგრძელდა კოლორადოსკენ და უფრო მოშორებითაც. ეს არის ამერიკის შეერთებულ შტატებში არბოვირუსული ინფექციებით გამომწვეული ლეტალური შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი.

2003 წელს დაფიქსირდა 7700 შემთხვევა, რომელთაგან 166 ლეტალური აღმოჩნდა და ვირუსი გავრცელდა კალიფორნიისკენ. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დასავლეთ ნილოსის ენცეფალიტის გამომწვევი ვირუსის მიგრაცია უცნობია, თუმცა ინფიცირებული მოგზაურების ან გადამტანი კოლოების მიერ საჰაერო გზით შემოტანა ხავსებით შესაძლებელი ჩანს [5, 29, 42].

არბოვირუსების მსგავსად რობოვირუსებიც (Rodent-borne viruses) ეგზოტიკურ დაავადებებს იწვევს. ისინი მიეკუთვნება არატრანსმისიული ჰემორაგიული ცხელების გამომწვევი რობოვირუსების ეკოლოგიურ ჯგუფს. რობოვირუსების გადაცემაში უშუალოდ მღრღნელები მონაწილეობენ. საკუთრივ მღრღნელებში ვირუსების გადაცემაში ფეხსახსრიანები არავითარ როლს არ თამაშობენ. მათში გადაცემა ხდება სხეულის სითხეებით ან ექსკრემენტებით, კონტაქტურად.

მღრღნელებით გადამტან დაავადებათა ჯგუფს შეადგენენ ჰანტავირუსული ინფექციები, ღასას ცხელება, სამხრეთ-ამერიკული ჰემორაგიული ცხელება. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე აქტუალური რობოვირუსული დაავადება არის ჰანტავირუსული ფილტვის სინდრომი. ჰანტავირუსები ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული. ისინი მიეკუთვნება არატრანსმისიული ჰემორაგიული ცხელებების ეკოლოგიურ ჯგუფს ანუ რობოვირუსებს. საკმაოდ მნიშვნელოვან დაავადებებს მიეკუთვნება აფრიკის ჰემორაგიული ცხელებები – მარბურგი და ებოლა, რომელთა რეზერვუარი-მასპინძელი უცნობია, მაგრამ ეჭვი აქვთ მღრღნელებზე და დამურებზე. მათ მიერ გამომწვეული ჰემორაგიული ცხელებები ხასიათდება პეტეჩიური ან პურპურული გამონაყარით, გასტროინტესტინური, ნაზალური სისხლდენებით, მეტრორაგიებით, ლეიკოპენიით, ჰიპოტენზიით, შოკით, პროტეინურიით, თრომბოციტოპენიითა და ჩივილებით ცენტრალური ნერვული სისტემის მხრივ. ხშირია ლეტალური გამოსავალიც [10, 20, 26, 35].

1993 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში დაფიქსირდა მწვავე რესპირატორული დაავადებების აფეთქება - პანტავირუსული ფილტვის სინდრომი. მისი გამომწვევი ვირუსი, რომელიც ბუნიავირუსებს ეკუთვნის, პანტავირუსებს შორის პირველად იქნა აღმოჩენილი ჩრდილოეთ ამერიკაში, რომელიც უპირატესად ზრდასრულებში იწვევს რესპირატორულ სინდრომს. პანტავირუსის მიერ გამოწვეული პანტავირუსული თირკმლის სინდრომის 2000 შემთხვევა დაფიქსირდა კორეის ომის დროს საჯარისო ფორმირებებში, მაგრამ მისი გამომწვევი პირველად იზოლირებულ იქნა 1976 წელს. ამჟამად გამოწვევი ვირუსი კვლავ დაბრუნდა კორეაში გადამტანი მღრღნელების - Apodemus agrarius-ის მეშვეობით. ეს მღრღნელი აქამდე ცნობილი იყო, როგორც ეპიდემიური ჰემორაგიული ცხელების გამომწვევი ვირუსის გადამტანი.

1980 წელს პანტავირუსის ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელება თირკმლის სინდრომით დაფიქსირებულ იქნა საფრანგეთშიც.

1993 წელს ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ-დასავლეთში დაფიქსირებული მწვავე რესპირატორული უკმარისობის აფეთქებისას იდენტიფიცირებულ იქნა ახლად აღმოჩენილი პანტავირუსი. აღსანიშნავია, რომ ამჟამად ანალოგიური შემთხვევები ფართო გეოგრაფიულ არეალში ფიქსირდება. ამავე წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღდიო ქონდა პანტავირუსული პნევმონიის აფეთქება. გამოვლინდა მაღალი ლეტალობის მანვენებული (50%-ზე მეტი). ასეთივე დაავადებები დარეგისტრირდა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში [31], სადაც პანტავირუსული ფილტვის სინდრომით 52 პირის ავადობა დადასტურდა, რომელთაგან 32 (60%) დაიღუპა. ლეტალობის ეს დონე საკმაოდ მაღალია სხვა პანტავირუსულ ინფექციებთან შედარებით. აღსანიშნავია პაციენტთა ასაკის მერყეობა 12-დან 69 წლამდე, ხოლო ადამიანებში მგრძობელობა-მიმდებლობა მაღალი იყო განურჩევლად სქესისა. ამ დაავადებას ახასიათებს პროდრომში ცხელება, მიაღვია და სხვა სიმპტომები, ხველის, თავის ტკივის, გულისრევისა და ღებინების ჩათვლით, რომელსაც მოხდევს სწრაფად პროგრესირებადი ფილტვის ედემა. ჰემორაგიის სიმპტომები არ აღინიშნება [34].

1967 წელს ქ. მარბურგში (გერმანია) ლაბორატორიის თანამშრომლებს შორის პირველად იქნა აღმოჩენილი მარბურგის ვირუსი. ისინი აფრიკული მწვანე მაიმუნების (Cercopithecus aethiops) ქსოვილებთან კონტაქტის დროს დაინფიცირდნენ. ეს ცხოველები იმპორტირებული იყვნენ გერმანიასა და იუგოსლავიაში. აღსანიშნავია, რომ სამედიცინო პერსონალს შორის, რომელთაც გამომწვევი შეიძინეს დაავადებული პაციენტებიდან, ლეტალობის მანვენებული საკმაოდ მაღალი იყო [21].

1976 წელს სუდანსა და ზაირში დაფიქსირებულ იქნა მწვავე ჰემორაგიული ცხელების ორი ეპიდემია. მათ გამომწვევ ვირუსს უწოდეს ებოლას ვირუსი (ზაირში მდინარე - Ebola-ს მიხედვით), რომელიც მორფოლოგიურად მარბურგის ვირუსს ჰგავდა, მაგრამ ანტიგენურად განსხვავდებოდა მისგან. აფეთქებამ მოიცვა 500-ზე მეტი ადამიანი, რომელთაგან 400 შემთხვევა ლეტალურად დასრულდა. დაავადებას ახასიათებდა

უეცარი დასაწყისი თავის ტკივილით, ცხელებით, კუნთების ტკივილით, თანმხლები პროფუზული დიარეით და პირღებინებით. საავადმყოფოს თანამშრომლები დაინფიცირდნენ პაციენტებთან მჭიდრო და ხანგრძლივი კონტაქტის შედეგად, ასევე ინფიცირებულთა სისხლით და გამონაყოფებით. ერთ-ერთ ჰოსპიტალში 76 ინფიცირებული პირიდან 41 დაიღუპა [35].

იმდენად, რამდენადაც მარბურგის და ებოლას ვირუსების ბუნებრივი რესერვუარი ჯერ კიდევ უცნობია, აქტიური მონიტორინგის ღონისძიებები ვერ ტარდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ავადმყოფთა მეთვალყურეობა წარმოებს იზოლირებულ პალატებში საგანგებოდ მომზადებული პერსონალის მიერ [21, 35].

1989 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩენილ იქნა ფილოვირუსით გამოწვეული ინფექცია, რომელიც ფილიპინებიდან იმპორტირებული მაიმუნებიდან (*Macaca fascicularis*) იქნა გამოყოფილი. ეს ვირუსი ებოლას ვირუსის მსგავსი იყო. ინფექციური პროცესი მაიმუნებთან 149 კონტაქტირებული პირიდან რამდენიმეს განუვითარდა, მაგრამ არც ერთი მათგანი არ დაზარალდა. აღმოჩნდა, რომ ვირუსი ებოლას ვირუსის მსგავსად ვირულენტური არ იყო.

ლასას ვირუსი უადრესად ვირულენტურია. ორსულ ქალთა 75%-ში იგი ნაყოფის სიკვდილს იწვევს. ორსულობის მესამე ტრიმესტრში დედათა სიკვდილიანობა იზრდება (30%), ხოლო მკვდრადშობადობა ძალიან მაღალია (90%) [20, 28]. დასავლეთ აფრიკაში დაფიქსირებული ოთხი ეპიდემიის დროს ყოველ 100 შემთხვევაზე გამოვლინდა 36-67% სიკვდილიანობის მაჩვენებელი. დასავლეთ და ცენტრალურ აფრიკაში ყოველწლიურად ფიქსირდება 300000 ინფექციის შემთხვევა და 5000 სიკვდილი. ლასას ვირუსი აქტიურია მთელი დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ტერიტორიაზე, სენეგალსა და ზაირს შორის. სიერა ლეონეში სხვა ცხელებებით მიმდინარე დაავადებებს შორის ლასას ცხელებაზე მოდის 10%. ზოგან ამ ვირუსით მოსახლეობის 50% დაინფიცირდა – უფრო მეტი, ვიდრე მალარიით [20, 28].

სუნიის ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელება არგენტინაში, გარკვეული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების არეალში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითად პრობლემას წარმოადგენს. 1958-დან 1980 წლამდე 18000-ზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, რომელთაგან 10-15% არანამკურნალევი პაციენტების სიკვდილიანობის მაჩვენებელს შეადგენდა [21].

მანუსოს ვირუსით გამოწვეული ჰემორაგიული ცხელების აფეთქება პირველად დაფიქსირდა ბოლივიაში 1962 წელს. დაავადდა დაახლოებით 2000-3000 პირი, რომელთაგან 20% დაიღუპა. 1971 წელს კი უმნიშვნელო ნოზოკომიურმა აფეთქებამ მოიცვა 6 პირი, რომელთაგან ხუთი დაიღუპა [21].

გუანარიტოს ვირუსი (ვენესუელის ჰემორაგიული ცხელების გამომწვევი) აღმოჩენილ იქნა 1990 წელს. მის მიერ გამოწვეული დაავადებების სიკვდილიანობის მაჩვენებელი 33%-ია. საბიას ვირუსიც იმავე წელს იქნა გამოყოფილი ბრაზილიაში ფატალური შემთხვევისას. ზემოთ აღნიშნული ორივე ვირუსი იწვევს არგენტინული ჰემორაგიული ცხელების მსგავს დაავადებას და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც სავარაუდოდ მსგავსია.

ლიმფოციტური ქორიომენინგიტის ვირუსი, რომელიც აღმოჩნდა იქნა 1933 წელს, ფართოდაა გავრცელებული ევროპასა და ამერიკაში. მისი ბუნებრივი გადამტანია სახლის თაგვი (*Mus Musculus*). ეს ვირუსი აქტუალურია დაქვეითებული იმუნური სისტემის მქონე პირებისთვის. 2005 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ოთხი რეციპიენტი დაინფიცირდა ღონორიდან ორგანოთა ტრანსპლანტაციის დროს. სამი მათგანი ტრანსპლანტაციიდან 23-27 დღეში დაიღუპა. ვირუსი შეიძლება გადაეცეს ასევე ვერტიკალური გადაცემის მექანიზმით დედიდან ნაყოფზე. ადრეულ ეტაპზე ინფიცირებამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დეფექტები, როგორცაა პიდროცეფალია, სიბრმავე და მკვდრად შობადობა [21].

## ლიტერატურა

1. *ვოიხაძე ვ.* სამედიცინო მიკრობიოლოგია, 2008 წ.
2. *Belshe R.B.* editor: Textbook of virology, ed. 2, St.Louis, 1991, Mosby.
3. *Brandt W.E. J.* Infect. Dis., 1988, 157, 1105.
4. *Bres P.L.* Bull. WHO, 1986, 64, 775.
5. *Briton M.A.* Annu. Rev. Microbiol., 2002, 56, 371 [PMID 12142476].
6. *Burke D.S., Monath T.P.* Flaviviruses. In: Field Virology, 4<sup>th</sup> ed., Knipe D.M. et al. (eds.). Lippincott Williams & Wilkins, 2001.
7. *Calisher C.H., Childs J.E., Field H.E., Holmes K.V., Shountz T.* Clin. Microbiol. Rev., 2006, 19, 531 [PMID 16847084].
8. *Chambers T.J., Monath T.P. (eds.)*. The flaviviruses, vol. 60, Pathogenesis and immunity; Advances in virus research, vol. 61, Detection, diagnoses and vaccine development. San Diego. CA, 2003, Elsevier – Academic Press.
9. *Cohen J., Powderly W.G. (eds.)*. Infectious diseases, ed 2. St.Louis, 2004, Mosby.
10. *Cosgrif T.M. (ed.)*. International symposium on hemostatic impairment associated with hemorrhagic fever viruses. Rev. Infect. Dis., 1989, 1, S669.
11. *Ellner P.D., New H.C.* Understanding infectious disease. St. Louis, 1992, Mosby.
12. *Flint S.J. et al.* Principles of virology: Molecular biology, pathogenesis and control of animal viruses. ed.2, Washington, 2003, American Society for Microbiology Press.
13. *Fulhorst C.F. et al.* Science, 1994, 263, 676.
14. *George S. et al.* Bull. WHO, 1984, 62, 879.
15. *Gorbach S.L., Bartlett J.G., Blacklow N.R.* Infectious diseases, ed.2, Philadelphia, 1997, WB Saunders.
16. *Griffin D.E.* Alphaviruses. In: Fields Virology, 4<sup>th</sup> ed. Knipe DM. et al. (eds.). Lippincott Williams & Wilkins, 2001.
17. *Hahn C.S. et al.* Proc. Natl. Acad. USA, 1988, 85, 5997.
18. *Halstead S.B.* World Health Stat. Q., 1992, 45, 292.
19. *Haukenes G., Haaheim L.R., Pattison J.R.* A practical guide to clinical virology. New York, 1989, John Wiley & Sons.
20. *Holmes G.P. et al.* N. Engl. J. Med., 1990, 323, 1120.
21. *Javetz, Melnick, Adelberg S.* Medical microbiology twenty-fourth edition. Arthropod-borne & Rodent-borne viral disease. 2007, 511-530.
22. *Jonson R.T.* Viral infections of the nervous system. Philadelphia, 1998, Lippincott – Raven.
23. *Knipe D.M., Howley P.M. (eds.)*. Fields Virology, 4<sup>th</sup> ed., New York, 2001. Lippincott-Williams & Wilkins.
24. *Kobbet H.* Adv. Virus Res., 1990, 38, 343-403.

25. Lanciotti R.S. et al. J. Gen. Virol., 1994, 75, 65.
26. Lee H.W., van der Groen G. Med. Virol., 1989, 36, 62.
27. Levine B., Hardwick J.M., Griffin D.E. Trends Microbiol., 1994, 2, 25.
28. Luby S.P. Edpidemiol. Rev., 1979, 1, 55.
29. Mackenzie J.S., Barret A.D.T., Deubel V. Curr. Top. Microbiol. immunol., 2002, 267.
30. Mendell G.L., Bennet J.E., Dolin R. (eds.). Principles and practice of infectious diseases, 6<sup>th</sup> ed., Philadelphia, 2005, Churchill Livingstone.
31. Mills J.N. et al. Hantavirus pulmonary syndrome – United States: Updated recommendation for rich reduction. Centers for Disease Control and Prevention. MMWR Recomm Rep., 2002, 51 (RR-9), 1.
32. Monath T.P. et al. J. Clin. Microbiol., 1984, 20, 784.
33. Monath T.P. Yellow fever vaccine. In: Plotkin S.A. Orenstein WA: Vaccines, 4<sup>th</sup> ed., Philadelphia, 2004, WB Saunders.
34. Nichol S.T. et al. Science, 1993, 262, 914.
35. Peters C.J., Le Duc J.W. (guest eds.). J. Infect. Dis., 1999, 179 (Suppl. 1).
36. Peters C.J., Le Duc J.H. Clin. Diagnostic Lab. Immunol., 2004, 11, 642 [PMID 15242935].
37. Rice C.M. et al. Science, 1985, 229, 726.
38. Sangkawibha N. et al. Am. J. Epidemiol., 1984, 120, 653.
39. Shope R.E., Peters C.J., Davies F.G. Bull. WHO, 1982, 60, 299.
40. Soldan S.S., Gonzalez-Scarano F. J. Neurovirol., 2005, 11, 412 [PMID 16287682].
41. Strauss J.H., Strauss E.G. Viruses and human disease, San Diego, 2002, Academic Press.
42. Suss J. Vaccine, 2003, 21, 51/19 [PMID 12628811].
43. Theiler M., Downs W.G. The Arthropod-Borne Viruses of Vertebrates: An Account of the Rockefeller Foundation Virus Program, 1951-1970. Yale Univ. Press, 1973.
44. Tsai T.F., Monath T.P. Viral diseases in North America transmitted by arthropods or from vertebrate reservoirs. In: Textbook of Pediatric Infectious Diseases, 2<sup>nd</sup> ed. 2 vols. Feigin RD, Cherry JD editors). Saunders, 1987.
45. Tsai T.F. Infect. Dis. Clin. North Am., 1991, 5, 73-102.
46. Warren Levinson, MD, PhD. Review of Medical Microbiology and Immunology. Ninth edition, 301-305.

## АРБО- И РОБОВИРУСЫ КАК ВОЗБУДИТЕЛИ ЭКЗОТИЧЕСКИХ ЗАБОЛЕВАНИЙ

*Г.К. Гогичадзе, Н.Г. Дидбаридзе, Т.Г. Дидбаридзе,*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

Арбо- и робовирусы представляют собой экологическую группу вирусов, которые характеризуются комплексным циклом передачи возбудителя, включая насекомых и грызунов.

Разные вирусы вызывают инфекционные болезни, которые являются особенно актуальными для Северной и Южной Америки и Африки.

Число таких заболеваний широко колеблется с годами. Арбо- и робовирусы классифицированы в семейства аренавирусов, буньявирусов, филовирусов, флавивирусов, реовирусов и тогавирусов.

Каждому континенту характерны собственные экземпляры инфекционных агентов. К основным арбовирусным инфекциям, которые встречаются по всему миру, относятся: желтая лихорадка, клещевой энцефалит, омская геморрагическая лихорадка, лихорадка Денге, японский энцефалит, лихорадка западного Нила, болезнь леса Киассанури, восточный и западный энцефалит лошадей.

К основным рбовирусным инфекциям относятся хантавирусная инфекция, лихорадка Ласса, Южно-Американские геморрагические лихорадки. В США особенно актуальны хантавирусный легочный синдром и клещевой энцефалит, а также лихорадки Марбурга и Эбола, резервуар которых неизвестен, но в этой роли подозревают грызунов и летучих мышей.

## ARTHROPOD-BORNE AND RODENT-BORNE EXOTIC VIRAL DISEASES

*G. Gogichadze, N. Didbaridze, T. Didbaridze,*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

The arthropod-borne viruses represent ecologic grouping of viruses with complex transmission cycles involving arthropods and rodents. These viruses are classified into the Arenaviruses, Byniaviruses and et al. families. Several viruses cause significant human infections in the United States. The number of cases vary widely from year to year. Each continent tends to have its own arboviruses pattern. However, on the given continent there may be a shifting distribution depending on viral hosts and vectors in the given year.

The major arboviruses diseases worldwide are yellow fever, Dengue, Japanese B encephalitis, St. Luis encephalitis, western and eastern equine encephalitis, Russian spring-summer encephalitis, West Nile fever and et al. In the United States the most important arboviral infections are La Crosse encephalitis, West Nile encephalitis, St. Louis encephalitis, eastern equine encephalitis and western equine encephalitis.

Major rodent-borne viral diseases include hantavirus infections, Lassa fever and South American hemorrhagic fevers. In the United States the most important rodent-borne diseases are Hantavirus pulmonary syndrome and Colorado tick fever, also Marburg and Ebola fevers. Their reservoir hosts are unknown, but are suspected to be either rodent or bats.

## **შეუღლებული ექინოკოკოზი (დიავნოსტიკა და მკურნალობა)**

*ნ. გრიგოლია, მ. ნანეიშვილი*

თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი; კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტი; შპს რკინიგზის ცენტრალური კლინიკური საავადმყოფო

მიღებულია 02.12.2009

ქირურგიული კლინიკის მასალით, ავტორების დაკვირვების ქვეშ 1950 წლიდან 2007 წლამდე იმყოფებოდა ადამიანის ექინოკოკოზის გამო ოპერირებული 277 პაციენტი. გართულებული ექინოკოკოზი – სხვადასხვა ორგანოებში ექინოკოკური ცისტების განვითარება (შეუღლებული ფორმები) აღწერილია 45 შემთხვევაში. ავტორები აღნიშნავენ სხვადასხვა ორგანოებში ექინოკოკური ცისტების განვითარებას. სტატიაში განხილულია ადამიანის ექინოკოკოზის დიაგნოსტიკაში გამოყენებული მეთოდები, ექინოკოკური დაავადების ქირურგიული მკურნალობისა და დაავადების გართულებების ანალიზი. დეტალურადაა განხილული და აღწერილი შეუღლებული ექინოკოკოზის შემთხვევები, საინტერესოა ზოგიერთი შემთხვევის სრულად მოყვანა. განხილულია ლეტალური შემთხვევების ანალიზი და მათი მიზეზები. ავტორების მიერ განხილულია კომპიუტერული ტომოგრაფიის მნიშვნელობა როგორც ადამიანის ექინოკოკოზის სადიაგნოსტიკოდ, ასევე ოპერაციის შემდგომ ექინოკოკური ცისტის ნარჩენი დრუს მდგომარეობის განსაზღვრისთვის, ოპერაციის შემდგომ გართულებათა თავიდან ასაცილებლად. უახლოესი და შორეული შედეგების გასაუმჯობესებლად ავტორების მიერ აღწერილია ქირურგიული მკურნალობისთვის კლინიკაში შემუშავებული მეთოდი ნახევრადდახურული ექინოკოკექტომიის მოდიფიკაცია გვირაბისებური კონტრაპერტურით. ექინოკოკური ცისტების ელემენტების მოცილებისა და ნარჩენი დრუს სქოლექსიალური ხსნარებით დამუშავების შემდეგ ღვიძლის ქსოვილში კონტრაპერტურით ნარჩენი დრუს ფსკერზე იდგმება დრენაჟი, ხოლო ნარჩენი დრუს იკერება ფიბროზული კაფსულის შიგნით ჩაბრუნებით (საქართველოს რესპუბლიკის პატენტი სასარგებლო მოდელზე [2]. იგი მოიცავს როგორც დახურული (გაქერვა), ასევე ღია (დრენირება) მეთოდების ელემენტებს.

საკვანძო სიტყვები: ექინოკოკი, შეუღლებული, ცისტა, ქირურგია

ადამიანის ექინოკოკოზი მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული პარაზიტული დაავადებაა. იგი გავრცელებულია ანტარქტიდიდან არქტიკამდე. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საერ-

თაშორისო ეპიზოტიური ბიუროს მიერ ექინოკოზი შეტანილია იმ დაავადებათა ნუსხაში, რომლებიც თხოულობს რადიკალურ აღმოფხვრას [10]. ექინოკოზს ებრძვიან ქირურგები, ვეტერინარები, სანიტარული ექიმები. ექინოკოზი დამარცხებულია მთელ რიგ ქვეყნებში (ისლანდია, ინგლისი, ნორვეგია, ჩრდილოეთ ამერიკის ზოგიერთი შტატი). 1996 წ. იტალიაში ჰეპატობილიალურ ქირურგთა მე-2 საერთაშორისო კონგრესზე გაკეთდა მოხსენება ნორვეგიის შესახებ, სადაც 1982 წლიდან ადამიანის ექინოკოზის შემთხვევები არ აღინიშნა, რისი მიზეზიც არის შინაურ ცხოველებში ექინოკოზის ფართომასშტაბიანი პროფილაქტიკა. წელიწადში 2-3-ჯერ ძაღლებს აძლევენ ანტიპელმინთურ პრეპარატს – დრონიტს (ფირმა Bayer) [9]. ამავდროულად, ექინოკოზი გავრცელებულია არა მხოლოდ სუსტად განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც. ექინოკოზი გავრცელებულია საქართველოშიც. ადამიანის ექინოკოზის ენდემიური კერაა აღმოსავლეთ საქართველო და იგი სამხარეო პათოლოგიაა. აღსანიშნავია, რომ ექინოკოზური დაავადება უფრო მეტად გავრცელებულია სოფლის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ქალებში. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ ქალებს აქვთ უფრო მჭიდრო კონტაქტი ცხოველებთან და ხშირად ღებულობენ მონაწილეობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. ამიტომ ექინოკოზი უფრო მეტად გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში. გამოკვლეულ ავადმყოფთა შორის ჭარბობს მოსახლეობის ახალგაზრდა და საშუალო ასაკი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული პირები, რაც იწვევს მოსახლეობის შრომისუნარიანი, დასაქმებული ნაწილის ინვალიდიზაციას, ეს კი როგორც ოჯახს, ისე სახელმწიფოს დიდ ეკონომიკურ ზიანს აყენებს. ექინოკოზი აღინიშნება ბავშვთა ასაკშიც, რაც ძლიერ შემაშფოთებელია. ასევე გამოვლენილია ექინოკოზის არატიპური დოკალიზაციის და ოჯახური ექინოკოზის შემთხვევები, რომლებიც ასევე იშვიათობას წარმოადგენს. მიუხედავად მეცნიერებაში არსებული მიღწევებისა, დაავადების კლების ტენდენცია არ შეიმჩნევა. გახშირდა დაავადების რეციდივები, სხვადასხვა გართულებები.

1950 წლიდან 2007 წლამდე ჩვენი დაკვირვების ქვეშ იმყოფებოდა ექინოკოზის გამო ოპერირებული 277 ავადმყოფი. ისინი უმეტესად ღვიძლის და სხვა ორგანოთა ექინოკოკიანი პაციენტები იყვნენ (ცხრილი 1).

ცხრილი 1

ავადმყოფთა განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით

სქესი	ასაკი							სულ
	3-16	20-30	31-40	41-50	51-60	61-70	70	
ქალი	10	21	39	43	44	28	6	191
კაცი	7	10	16	18	15	15	5	86
სულ	17	21	54	71	59	59	11	277

გამოკვლეული იყო ახალგაზრდა და საშუალო ასაკის 205 ავადმყოფი (74%). დანარჩენი 70 ოპერირებული (26%) მოდის 20 წლამდე ასაკის ხანშიშესულებსა და მოხუც პაციენტებსზე.

კაცონის რეაქცია ძირითადად გამოყენებული იყო 1950-1975 წწ. 87 (31,4%) შემთხვევაში, ხოლო ბავშვებში იგი არ გამოიყენება [1, 4].

როგორც წესი, გამოკვლევის პირველ ეტაპზე ჩართული იყო რენტგენოლოგიური მეთოდი, შემდგომ ეტაპზე დაემატა ლატექს-აგლუტინაციის რეაქცია, ორგანოთა სკანირება რადიოაქტიური ნივთიერებებით, ხოლო ბოლო პერიოდში ავადმყოფებს უტარდებოდათ ენდოსკოპია, ულტრაბგერითი და კომპიუტერულ-ტომოგრაფიული გამოკვლევა.

გამოკვლევის შედეგად გაირკვა, რომ უფრო მეტად ზიანდება ღვიძლი (207 შემთხვევა). აქედან: მარჯვენა წილში - 135, მარცხენაში - 47, ორივეში - 21 [5, 6], მარცხენაში - 6, მარჯვენაში - 13, ორივეში - 2, ელენტაში - 3, თირკმელებში - 6, მათ შორის მარჯვენაში - 4, მარცხენაში - 2.

გართულებული ექინოკოკოზი აღინიშნა 98 (35,4%) შემთხვევაში, მათ შორის 48 (48,9%) იყო დაჩირქებული ექინოკოკოზი [5].

ექინოკოკოზის კლინიკური სურათი დამოკიდებული იყო პარაზიტის განვითარების სტადიაზე, ცისტების ზომაზე, მათ დოკალიზაციაზე, ორგანიზმებზე ქსოვილებისა და ორგანოების მდგომარეობაზე [3]. ა.ვ. მელნიკოვის კლასიფიკაციით (1956), პირველი კლინიკური სტადია - ლატენტური - ფარული პერიოდია, როცა კლინიკურად არ ვლინდება ექინოკოკოზის სიმპტომები. ექინოკოკოზის მე-2 კლინიკურ სტადიაში უკვე ვლინდება დაავადების პირველი ნიშნები. მე-3 კლინიკური სტადიაა გართულებული ექინოკოკოზი. იგი გამოვლინდა 98 (35,3%) შემთხვევაში [5, 6, 10].

კომპიუტერული ტომოგრაფია გამოიყენებოდა 1990 წლიდან სხივური და ინტერვენციული დიაგნოსტიკის (ამჟამად კლინიკური მედიცინის ს/კ) ინსტიტუტში. კომპიუტერული ტომოგრაფია საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ ზუსტი ტოპოური და დიფერენციალური დიაგნოსტიკა, განვსაზღვროთ ექინოკოკური ცისტების რაოდენობა, მათ შორის 1 სმ-ზე ნაკლები ზომისაც კი, განვსაზღვროთ პარაზიტის ცხოველყოფილობის ფაზა, რასაც განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს ოპერაციული ჩარევის დაგეგმვისას. ოპერაციის სახეები იყო: ღია ექინოკოკექტომია - კაპიტონაჟი - ფლბეს მიხედვით, ექინოკოკექტომია ნარჩენი ღრუს გაკერვით ფიბროზული გარსის შიგნით ჩაბრუნებით, ნახევრადდახურული ექინოკოკექტომია (ბობროფ-სპასოკუეცკის მეთოდით), იდეალური ექინოკოკექტომია (პერიციტექტომია), ღვიძლის აბიპური რეზექცია, სპლენექტომია, ნევრექტომია და ზემოაღწერილი პატენტის ნახევრადდახურული ექინოკოკექტომია გვირაბისებური კონტრაპერტურით [2].

ეს ახალი მეთოდი შეიცავს როგორც დახურული (გაკერვა), ასევე ღია (ღრწინება) მეთოდების ელემენტებს. მისი გამოყენებისას ადეკვატურად ღრწინებულია ნაწილობრივად გაკერილი ნარჩენი ღრუ. ოპერაცია პატარა ზომის ცისტების დროს პუნქციური მეთოდით მკურნალობაა. ოპერაციის შემდგომ პერიოდში ტარდებოდა დაკვირვება კომპიუტერული ტომოგრა-

ფით მე-12, მე-15 და 50-ე დღეს ექინოკოკქტომიის შემდგომი ნარჩენი ღრუს და მისი მიმდებარე ქსოვილების მდგომარეობაზე მკურნალობის შემდგომი ტაქტიკის განსაზღვრისა, უახლოესი და შორეული შედეგების გასაუმჯობესებლად. გამოვლენილ იქნა 2 ორგანოს შეუღლებული ექინოკოკური დაზიანებები: ღვიძლი + ფილტვი - 14; ღვიძლი + ელენთა - 8, ღვიძლი + თირკმელი - 2, ღვიძლი + კოლინჯი - 2, ღვიძლი + მუცლის პრესი - 1, ღვიძლი + დუნდულო - 1, დიაფრაგმა + მუცლის პრესი - 1 (სულ 29). 3 ორგანოს შეუღლებული ექინოკოკოზი: ღვიძლი + ფილტვი + პანკრეასი - 2, ღვიძლი + თირკმელი + ელენთა - 1; ღვიძლი + ფილტვი + ელენთა - 3 (ღვიძლი + ელენთა - 1), სულ 7. შეუღლებადი 4 ორგანოს დაზიანება: ღვიძლი + ფილტვი + თირკმელი + თავის ტვინი - 1.

მოგვყავს შეუღლებული ექინოკოკოზის საინტერესო შემთხვევები.

ავადმყოფი მუსტაფაევი ი.ბ., 26 წლის, 27.3.1997 წ., ისტ. №106. 1991 წელს ჩვენს კლინიკაში ექინოკოკის გამო გაუკეთდა ღვიძლის ექინოკოკქტომია, ხოლო 1996 წელს ბაქოში ელენთის ექინოკოკოზის გამო - სპლენექტომია. თორაკოაბდომინალური განაკვეთით აღმოჩნდა მარჯვენა ფილტვის ექინოკოკური ცისტა 12-8 სმ ზომის, რომლის ქვემო კიდის კედელი 4 სმ-იანი ხვრელით უკავშირდება ღვიძლის გუმბათიდან მე-5-6 სეგმენტში ექინოკოკურ ცისტას, ღვიძლის ამ 2 ცისტას შორის - 2 სმ-იანი დეფექტი. ორივე ფისტურა დაიხურა, ექინოკოკქტომია.

ამრიგად, ადგილი ჰქონდა ღვიძლის მრავლობით რეციდიულ ცისტებს, ფილტვის და ელენთის ცისტებს.

ავადმყოფი ჩარუხიანი გაიკ სუმბათის ძე. 1958 წელს ფილტვის ექინოკოკური ბუშტი; 1960 წელს მარჯვენა თირკმელის ექინოკოკის გამო ნაუტარდა ექინოკოკქტომია. 1962 წ. 12.6. გულმკერდის მე-10 ნეკნის პარალელურად კუნთის ექინოკოკური ცისტა. 1963 წელს რეტროპერიტონეალური ცისტა მე-2 თეძო-სუეის კუნთის სისქეში და მე-3 დიაფრაგმის ცისტა. 1964 და 1966 წწ. ოთხჯერ - რეციდიული კუნთის ექინოკოკის ოპერაცია.

ექინოკოკოზის გართულების ყველაზე ცუდი გამოსავალი - სიკვდილი დაფიქსირდა 3 შემთხვევაში: 1. ავადმყოფი სადიკ-სადიკ ჰუსეინოღლი, 64 წლის, 1953 წ. ისტ. №1809, ღვიძლის და მუცლის ღრუს ყველა მიდამოს მრავლობითი ექინოკოკოზი (ოპერაცია - ექინოკოკქტომია, მარსუპიალიზაცია). სიკვდილის მიზეზი - ფილტვების შეშუპება, ორმხრივი ფილტვის არტერიის თრომბოემბოლია. 2. ავადმყოფი ადამია ვალენტინა, 43 წლის, ეროვნებით - რუსი, ღვენილი აფხაზეთიდან, ისტ. 2886. 1962 წ. 18 აპრილი. ოპერაციის ოქმი №480. ექინოკოკქტომია, ღვიძლის მარცხენა წილის რეზექცია ექინოკოკის ბუშტიურთ. ამ მომენტში ღვიძლიდან განვითარდა სისხლდენა (ქვემო ღრუს ვენის დაზიანება, ტამპონირება, სისხლძარღვის გადაკვანძვა), მაგრამ გული გაჩერდა 3. ავადმყოფი ჩივაძე ზაქარია, ისტ. №1402. 1960 წ. 2 მარტი. კლინიკური დიაგნოზი - ღვიძლის, ელენთის და ზურგის ტვინის ექინოკოკი (ოპერაცია - სპლენექტომია და ღვიძლის ექინოკოკქტომია). 3 წლის წინ ონკოლოგიის ინსტიტუტში გაუკეთდა ოპერაცია ღვიძლის ექინოკოკის გამო. გაკეთდა ღვიძლის რეზექცია, შემდეგ

კი – რელაპარატომია. ავადმყოფი გარდაიცვალა გულ-სისხლძარღვთა ნაკლოვანებით.

ამრიგად, გართულებული ექინოკოკოზის შემთხვევების ანალიზი გვინფერებს, თუ რამდენად სახიფათოა ადამიანის შეუღლებული ექინოკოკოზი. საჭიროა კომპლექსური დიაგნოსტიკურ-ლაბორატორიული გამოკვლევები ექინოკოკური დაავადების პრევენციისთვის.

## ლიტერატურა

1. *ბუაჩიძე ს.მ.* ადამიანის ექინოკოკი. საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1964, გვ. 405.
2. *ვრიგოლია ნ.ფ., თოდუა ფ., ბერიძე ა.* საქართველოს სამედიცინო მოამბე, 1993, 1, გვ. 28-35.
3. *ლომიძე ნ., შანშიაშვილი ვ.* ექინოკოკოზის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. სამხრეთ კავკასიის ქირურგთა მე-14 ყრილობა, 2004, ტ. 2, გვ. 264-265.
4. *ფიფია ე.კ.* თანამედროვე მედიცინა, 1936, 8-12.
5. *Агаев Р.М.* Хирургия, 2001, 2, 32-36.
6. *Гухов А.А., Мошуров И.П.* Вестник хирургии, 2000, 98.
7. *Дадвани С.А., Шкроб О.С.* Хирургия, 8, 27, 32.
8. *Мовчун А.А.* Хирургия, 1997, 2, 28-30.
9. *Ho A., Urban C.* Japan J. of Parasitology, 2003, 2, 12, 63-66.
10. *Tiseo D., Borel F. J.* of Ital. Parasitology, 2004, 6 (1-2), 45-51.

## СОЧЕТАННЫЙ ЭХИНОКОККОЗ (ДИАГНОСТИКА И ЛЕЧЕНИЕ)

*Н. Григолия, М. Нанейшвили*

Тбилисский государственный медицинский университет; НИИ клинической медицины; ООО Тбилисская железнодорожная центральная клиническая больница

### РЕЗЮМЕ

С 1950 г. до 2007 года под наблюдением авторов находились 277 оперированных больных по поводу эхинококкоза. Осложненные формы эхинококкоза – распределение эхинококковых цист в разных органах (сочетанные формы) – отмечены в 45 случаях. Авторы отмечают увеличение случаев эхинококковых цист в различных органах. В статье описаны методы, применяемые для диагностики эхинококкоза, дан анализ осложнений заболевания, детально рассмотрены и описаны случаи сочетанного эхинококкоза, приведены некоторые летальные случаи и причины их возникновения. Авторы рассматривают значение компьютерной томографии как для диагностики, так и для лечения больных до и после операции. Описаны виды операции, рассмотрены причины осложнения и пути их устранения, значение разных диагностических методов. Приведен новый метод открытой эхинококэктомии тоннельной контрапертуры.

**COMBINED ECHINOCOCCOSIS  
(DIAGNOSIS AND TREATMENT)**

*N. Grigolia, M. Naneishvili*

Tbilisi State Medical University; Scientific-Research Institute of Clinical Medicine; Central Clinical Hospital of Ltd. "Georgian Railway"

**SUMMARY**

Total of 277 patients operated after echinococcosis were under our observation from 1950 to 2007. Complicated forms of echinococcosis – spread of echinococcal cysts in different organs (combined echinococcosis) are described in 45 cases. The methods of surgical treatment used in our investigation and analysis of complications of this disease are considered in this paper. Also the reasons of lethal cases and their analysis are given. The importance of computer tomography for the diagnosis of human echinococcosis and determination of postoperation state is considered. The method of half-closed echinococcectomy in the modification of tunnel counteropening for the improvement of near and far results of the treatment are described.

## ონტოგენეზის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუტური აბრეისიული ქცევის უნდავლა და 50 პერცენტი სისხშირის მაგნიტური ველის გავლენა თეთრი და რუხი ფერის (ოჯახის) ვირთაგვების აბრეისიულობაზე

ვ. იორდანიშვილი, თ. მუსელიანი, ა. ხარბეგაშვილი,  
ქ. ბუტრაიშვილი, თ. ჯარიაშვილი, ქ. ნუციშვილი, მ. ნიკოლაიშვილი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რადიობიოლოგიისა და რადიაციული ეკოლოგიის ს/კ ცენტრი, თბილისი

მიღებულია 25.09.2009

ონტოგენეზის ადრეულ ეტაპზე ინსტიტუტური აგრესიული ქცევისა და 50 პერცენტი სისხშირის მაგნიტური ველის გავლენის შესწავლამ თეთრ და რუხი ფერის (ოჯახის) ვირთაგვების აგრესიულობაზე გვიჩვენა, რომ არააგრესიული რუხი და თეთრი ვირთაგვების შთამომავლობაში აგრესიულობა ვლინდება დაბადებიდან მე-80-91 დღეს 42,8%-ში, როდესაც მათი მასა 145-150 გ აღწევს. თეთრ ვირთაგვები კი აგრესიულები ხდებიან ოდნავ მოგვიანებით (100-115 დღე 20,0%-ში). რაც შეეხება არააგრესიული რუხი და აგრესიული თეთრი ვირთაგვების შეჯვარებით მიღებულ რუხი ფერის ნაშიერებში აგრესიულობა ვლინდება 57,0%-ში, ხოლო თეთრი ფერის ნაშიერებში კი - 36,0%-ში, რაც შეიძლება აიხსნას მდგრადი ვირთაგვის აგრესიულობის გენოტიპით.

50 პერცენტის სისხშირის (1,5 მთ) ინდუქტიურობის ელექტრომაგნიტური ველით ზემოქმედებამ გვიჩვენა, რომ მშპ-ის მოქმედებით თეთრ უჯიშო არააგრესიულ ვირთაგვებში აგრესიული ქცევა არ ვლინდება, ხოლო რუხი ფერის არააგრესიულ ვირთაგვებში აგრესიულობის გამოვლენა ხდება 60% -ში.

საკვანძო სიტყვები: ელექტრომაგნიტური ველი, აგრესიულობა, ონტოგენეზი, თეთრი და რუხი ვირთაგვები

უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში მეცნიერთა ყურადღებას იმსახურებს ელექტრომაგნიტური გამოსხივების გავლენის შესწავლა ცოცხალ ორგანიზმზე [2,6]. ნაჩვენებია, რომ მშპ-ის ბიოლოგიური აქტიურობა აისახება ცხოველთა სხვადასხვა ქცევით აქტებში [2, 10, 11]. თუმცა მისი გავლენა ონტოგენეზში ნაკლებადაა შესწავლილი.

ცნობილია, რომ ვირთაგვის ადრეულ ონტოგენეზში ვითარდება მოტორული და ნეიროქიმიური ასიმეტრია, რომელიც შეესაბამება ნეონატა-

ღურ ფუნქციურ ასიმეტრიასთან [1, 3]. ნაჩვენებია, რომ ვირთაგეგმში დასწავლა დამოკიდებულია ცხოველთა კვლევით აქტიურობასა და მოტივაციაზე [7, 8]. თუმცა, ერთ-ერთი მოტივაციური ქცევა, როგორცაა აგრესიული ქცევა, ინტოგენეზში თითქმის შეუსწავლელია. გამომდინარე ლიტერატურაში არსებული და ჩვენი ადრეული მონაცემებიდან [3, 11], ნაჩვენებია იყო, რომ რიგი სტრეს-ფაქტორები: X-სიხევის სხვადასხვა დონა, იმობილიზაცია, ფარმაკოლოგიური ნივთიერებები, ელექტრული გალიზიანება და ა.შ. ბუნებით არააგრესიულ ვირთაგეგმებს გარკვეული პერიოდით აგრესიულ ცხოველად გარდაქმნის. ამიტომ საინტერესო იყო გაგვეჩვენა, რომელ ეტაპზე ყალიბდება ინსტინქტური აგრესიული ქცევა თეთრ და რუხი (ოჯახის) ვირთაგეგმების შეჯვარების შედეგად მიღებულ შთამომავლობაში და როგორია ცხოველის ინდივიდუალური განვითარების ადრეულ ეტაპზე 50 ჰერცი სიხშირის მაგნიტური ველის გავლენა ცხოველის აგრესიული ქცევის გამოვლენაზე.

### მასალა და მეთოდები

ქსელის სიხშირის (50 Hz) მძვ-ის მოდულირებას ვახდენდით ჩვენს ცენტრში შემუშავებული ორიგინალური ინდუქციურობის კოჭის საშუალებით [2].

შთამომავლობის მისაღებად ვაჯვარებდით თეთრ ლაბორატორიულ და რუხ (ოჯახის) ვირთაგეგმებს, ისინი იმყოფებოდნენ ვივარიუმის ჩვეულებრივ პირობებში. საკვები და წყალი ეძლეოდათ შეუზღუდავი რაოდენობით.

ვირთაგეგმების აგრესიულობის შესახებ ვმსჯელობდით კარლის მიერ მოწოდებული მეთოდით [9].

### შედეგები და მათი განხილვა

ცნობილია, რომ ვირთაგეგმების მაკეობის ხანგრძლივობა მერყეობს 25-30 დღეს, ხოლო ძუძუსწოვის პერიოდი გრძელდება ერთ თვეს. ამიტომ აგრესიულობის შემოწმებას ვიწყებდით მე-45-50 დღეს, როდესაც ცხოველთა მასა უტოლდებოდა 65-70 გ. დადგინდა, რომ არც რუხი და არც თეთრი ვირთაგეგმების ნაშიერები ინდივიდუალური განვითარების ამ პერიოდში არ ამჟღავნებდნენ აგრესიულ ქცევას (აგრესიულობის შემოწმება ხდებოდა ყოველი მომდევნო 10 დღის შემდეგ). ექსპერიმენტით დადგინდა, რომ პირველად აგრესიულობა გამოვლინდა რუხი ვირთაგეგმების შთამომავლობაში დაბადებიდან 80-91 დღეს (საშუალოდ 3 თვე), როდესაც მათი მასა 145-150 გ აღწევდა. შემჩნეულია, რომ ზრდის ტემპითა და მასის სიდიდით რუხი ვირთაგეგმების ნაშიერები ყოველთვის აღემატებოდნენ თანაბარი ასაკის თეთრი ვირთაგეგმების ნაშიერებს, რასაც, ალბათ, აგრესიულობის გამოვლენაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ენიჭებოდეს [5, 7, 8].

რაც შეეხება თეთრი ვირთაგეგმების შთამომავლობას, მათ აგრესიული ქცევა განუვითარდათ ოდნავ მოგვიანებით, დაბადებიდან 100-115 დღეს (საშუალოდ 4-5 თვე). არააგრესიული რუხი ვირთაგეგმების შეჯვარებით არა-

აგრესიულ თეთრ ვირთაგვებთან მიღებული შთამომავლობის აგრესიულობის მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

არააგრესიული რუხი ვირთაგვების შეჯვარებით არააგრესიულ თეთრ ვირთაგვებთან მიღებული შთამომავლობის აგრესიულობის მაჩვენებელი

ნაშიერთა საერთო რიცხვი	ვირთაგვები				
	რუხი	თეთრი	აგრესიული რუხი	აგრესიული თეთრი	აგრესიული საერთო
36	21 (58,3%)	15 (41,6%)	9 (42,8%)	3 (20,0%)	12 (33,0%)

როგორც ცხრილიდან ჩანს, არააგრესიული რუხი ვირთაგვების შეჯვარებით თეთრ არააგრესიულ ვირთაგვებთან მიღებული იყო 36 ნაშიერი, რომელთაგანაც 21, ანუ 58,3% აღმოჩნდა რუხი შეფერილობის. ვირთაგვებიდან აგრესიულობა გამოავლინა 9 ვირთაგვამ, ანუ 42,8%. თეთრი ვირთაგვების საერთო რიცხვი იყო 15 ანუ 41,6%, რომელთაგანაც 3 ვირთაგვა, ანუ 20% აღმოჩნდა აგრესიული. ცხრილიდან აგრეთვე ირკვევა, რომ 36 ჰიბრიდიდან 12-მა ანუ 33,0%-მა, გამოავლინა აგრესიული ქცევა. ამრიგად, რუხი ვირთაგვების შთამომავლობაში აგრესიული ქცევის გამოვლენა 80-91 დღეს ხდება, როცა მათი მასა 145-150 გრამს აღწევს, ხოლო თეთრი ვირთაგვების ჰიბრიდებში იგი ვლინდება 100-115 დღეს და მასობადაც ისინი მაშინ უახლოვდებიან რუხ ვირთაგვებს. ლიტერატურიდან ცნობილია [5,7,8], რომ აგრესიულობის გამოვლენის ერთ-ერთი მიზეზი აგრეთვე არის ცხოველის სიდიდე და მასა რადგან ამ შემთხვევაში იგი გვევლინება როგორც დომინანტი ამ ასაკის მქონე ნაშიერებში.

ცხრილი 2 გვიჩვენებს რუხი არააგრესიული ვირთაგვის შეჯვარებით აგრესიულ თეთრ ვირთაგვებთან მიღებული შთამომავლობის ფენოტიპურ შედგენილობას და აგრესიულ ცხოველების რიცხვს და მათ პროცენტს.

ცხრილი 2

რუხი არააგრესიული 5 ვირთაგვის შეჯვარებით აგრესიულ თეთრ ვირთაგვებთან მიღებული შთამომავლობის ფენოტიპური შედგენილობა და აგრესიული ცხოველების რიცხვი

ნაშიერთა საერთო რიცხვი	ვირთაგვები				
	რუხი	თეთრი	აგრესიული რუხი	აგრესიული თეთრი	აგრესიული საერთო
25	14 (56,0)	11 (44,0%)	8 (57,0%)	4 (36,0%)	12 (48,0%)

ცხრილიდან ირკვევა, რომ რუხი არააგრესიული ვირთაგვის თეთრ მდღერ აგრესიულ ვირთაგვებთან შეჯვარებით მიღებული 25 ნაშიერიდან

14 ვირთაგვას, ე.ი. 56,0%-ს აღმოაჩნდა რუხი შეფერილობა, რაც ოდნავ ნაკლებია წინა ექსპერიმენტში მიღებული შედეგის 58,3%-ის. რუხი 14 ვირთაგვიდან 57,0% ანუ 8 ინდივიდმა გამოავლინა აგრესიული ქცევა. ეს მონაცემები მნიშვნელოვნად აღემატება წინა ექსპერიმენტში მიღებულ შედეგებს (57,0% ნაცვლად 42,8%-ისა). აგრესიულობის რიცხვმა მოიმატა აგრეთვე თეთრი შეფერილობის ნაშთებშიც, რაც 16-ჯერ აღემატება წინა ექსპერიმენტის შედეგებს. ასევე მნიშვნელოვნად გაიზარდა შთამომავლობაში აგრესიული ქცევის დამემკვიდრების პროცენტული მაჩვენებელი (ნაცვლად 33-ისა 48,0%), რაც შეიძლება აიხსნას მდებრი ვირთაგვის აგრესიულობის გენოტიპით.

ცდების შემდგომ ნაწილში დადგინდა ქსელის სიხშირის ელექტრომაგნიტური ველის გააღვანა აგრესიული ქცევის გამოვლენასა და შემონახვაზე. ცდებს ვატარებდით არააგრესიულ თეთრ და რუხ ვირთაგვებზე დაბადებიდან 100-120 დღის შემდეგ ამ ცხოველებზე ემოქმედებდით ერთი საათის განმავლობაში 50 ჰერცის სიხშირის 1,5 მთ ინდუქტიურობის მძვით. ექსპერიმენტებმა გვიჩვენა, რომ მძვ-ის მოქმედებით თეთრ უჯიშო ვირთაგვებში აგრესიული ქცევა არ გამოვლინდა, ხოლო, რაც შეეხება რუხი ფერის ვირთაგვებს, აქ ასეთი სურათი მივიღეთ: 10 ვირთაგვიდან 6-მა გამოავლინა აგრესიული ქცევა, პირველ დღეებში თავგეზე თავდასხმის ლატენტური პერიოდი საკმაოდ დიდი იყო – დაახლოებით 8-9 წუთი. თუმცა, მომდევნო დღეებში ლატენტური პერიოდი მნიშვნელოვნად შემცირდა (3-4 წუთამდე), ხოლო შემდგომში ვირთაგვები სულ უფრო და უფრო მცირე დროის განმავლობაში ავლენდნენ აგრესიულ ქცევას. ვირთაგვების ქცევა დღით დღე სულ უფრო და უფრო ემსგავსებოდა ბუნებით აგრესიული ვირთაგვების ქცევას, მოულოდნელად ვირთაგვა თავს ესხმოდა თავს და კლავდა მას. ექსპერიმენტში მიღებული განსხვავებული შედეგი შეიძლება აიხსნას იმით, რომ თეთრი ფერის ცხოველები ლაბორატორიული ვირთაგვებია, რომლებიც ყოველდღიურად განიცდიან მძვ-ის ზემოქმედებას ლაბორატორიაში (განათებისა და გამათბობელი ხელსაწყოების სახით). სავარაუდოა, რომ ორგანიზმმა განიცადა გარკვეული სახის ადაპტაცია ამ ფაქტორის ზემოქმედების მიმართ, რასაც რუხი ფერის ვირთაგვები მოკლებულნი არიან, ნაკლებად ადაპტირებულები აღმოჩნდნენ ამ ფაქტორის მიმართ და ამიტომ მათ აგრესიული ქცევა გამოავლინეს.

## ლიტერატურა

1. აივაზიშვილი ი., გელიტაშვილი-პაპიძე დ. საქ. ფიზიოლოგთა მე-2 ყრილობა, თბილისი 1995წ., 14 გვ.
2. მაისურაძე ი., მაღრაძე ვ., ციციქიშვილი ლ. რადიაციული გამოკვლევები, 1998, 8, 93-104.
3. Надарейшвили К.Ш., Месхиашиვილი И.И., Надарейшвили Д.К., Ормоцадзе Г.Л., Николашвили М.М., Норданишვილი Г.С., Саидодзе В.Я., Читанова Е.Г. Радиационная биология. Радиозоология, 2005, 45, 2, 133-145.
4. Andrea J.A., Chou C.K., Johnston S.A., Adair E.R. Bioelectromagnetics, 2003, 6 (Suppl.), S107-147.

5. Connor J.L. J. Comp. Physiol. Psychol., 1974, 87, 215-222.
6. Cosquer B., Galani R., Kuster N., Cassel J.C. Behavioural Brain Research, 2005, 156, 65-74.
7. Haller J., Kruk M.R. Neurosci. Biobehav. Rev., 2006, 30, 292-303.
8. Hauser H., Gandelman R. Horm. Behav., 1985, 19, 454-468.
9. Karli P. Behaviour, 1956, 10, 1, 81-103.
10. Miczek K.A., Fish E.W., DeBold J.F., de Almeida R.M.M. Psychopharmacology, 2002, 163, 434-458.
11. Nadareishvili K., Nikolaishvili M., Iordanishvili G., Melitauri N. Bull. Georgian Acad. Sci., 1998, 157, 1, 79-82.
12. Toutou Y., Lambrozo J., Camus F., Charbuy H. Am. J. Physiol. Regul. Integr. Comp. Physiol., 2003, 284, R1529-R1535.

## ИЗУЧЕНИЕ АГРЕССИВНОГО ПОВЕДЕНИЯ В ОНТОГЕНЕЗЕ И ВЛИЯНИЕ ЭЛЕКТРОМАГНИТНОГО ПОЛЯ СЕТЕВОЙ ЧАСТОТЫ НА ПРОЯВЛЕНИЕ АГРЕССИВНОСТИ В ПОТОМСТВЕ СЕРЫХ И БЕЛЫХ КРЫС

*Г.С. Иорданияшвили, Т.В. Муселиани, А.С. Харибегашвили,  
Е. Пेत्रиашвили, Т. Джариашвили, К. Хуцишвили, М.И. Николашвили,*

Центр радиационной биологии и экологической радиологии, Академия наук Грузии

### РЕЗЮМЕ

Изучение агрессивного поведения в онтогенезе и влияние электромагнитного поля сетевой частоты на проявление агрессивности в потомстве серых и белых крыс показало, что агрессивность серых крыс проявляется у 42,8% на 80-91 день, когда масса животных достигала 145-150 г. А у белых крыс агрессивность проявляется несколько позже – на 100-115 день (20,0%)

При скрещивании неагрессивных серых и агрессивных белых крыс в потомстве проявляется агрессивность у серых 57,0% а у белых 36,0%, что объясняется генотипом агрессивностью белых крыс-самок. Воздействие ЭМП с частотой 50 герц в течение 1 часа (1,5 мТ) на потомстве белых крыс не оказывает влияния, в то время как у серых крыс агрессивность проявляется на 60%.

## EFFECT OF POWER-FREQUENCY ELECTROMAGNETIC FIELD (EMF) ON AGGRESSIVE BEHAVIOR AT EARLY STAGES OF ONTOGENESIS

*G. Jordanishvili, T. Museliani, A. Kharibegashvili, E. Petriashvili, T. Jariashvili,  
K. Khutsishvili, M. Nikolaishvili*

Center for Radiation Biology and Ecological Radiology, Georgian Academy of Sciences

### SUMMARY

The study of effects of power-frequency (1,5 mT) EMFs on the manifestation of aggressive behavior has shown that one-hour exposure does not cause induction of aggressiveness in white rats, while 60% of non-aggressive gray rats become aggressive after the exposure.

The manifestation of mouse-killing aggressiveness during ontogenesis was studied in the offspring of white and gray rats. It was shown that the aggressiveness was manifested sooner in gray rats, at 80-90 days after birth, when their weight was 145-150 g; while in white rats the aggressiveness was manifested at 100-115 days.

In the offspring obtained by crossing the non-aggressive gray rats with non-aggressive white ones the aggressiveness was manifested in 42,8 % of gray rats and in 20,0% of white animals.

## აქტინომიცეტების უჯრედის ამინომჟავური შემადგენლობის თავისებურება

ნ. კოტია, ზ. ლომთათიძე

ბოტანიკური ბაღი და ბოტანიკის ინსტიტუტი

მიღებულია 06.11.2009

გამოკვლევულ იქნა აქტინომიცეტების უჯრედის ამინომჟავური შემადგენლობა კულტურების ზრდა-განვითარების პირობებში. დადგინდა იქნა, რომ საკვლევე აქტინომიცეტებში ამინომჟავების რაოდენობა იცვლება ზრდის ფაზების მიხედვით – მაქსიმალურია ზრდის ლოგარითმულ ფაზაში, შემდეგ უმნიშვნელოდ მცირდება და კვდომის ფაზაში მინიმუმამდე დადის.

უჯრედის ამინომჟავური შემადგენლობა განსხვავებულია სხვადასხვა გვარისა და ერთი და იმავე გვარის სხვადასხვა სახეობებში.

საკვანძო სიტყვები: აქტინომიცეტები, კულტივირების პირობები, ამინომჟავები, ზრდის ფაზები

ამინომჟავები წარმოადგენს მიკროორგანიზმთა უჯრედის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს, რომელიც გავლენას ახდენს მათ ზრდა-განვითარებაზე. მიკროორგანიზმებში ამინომჟავური ცვლა დაკავშირებულია მრავალ ფიზიოლოგიურ პროცესთან და ძალზე ლაბილურია [1, 7]. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა აქტინომიცეტების გარდამავალი ფორმები ბაქტერიებსა და სოკოებს შორის, რომლებიც ანტიბიოტიკების აქტიური პროდუცენტები არიან [2, 4, 5].

აქედან გამომდინარე, ჩვენი სამუშაოს მიზანს წარმოადგენდა შეგვესწავლა სხვადასხვა გვარისა და სახეობის აქტინომიცეტის უჯრედის ამინომჟავური შემადგენლობა და ამ კომპონენტების თვისობრივი და რაოდენობრივი ცვლილება კულტურების ზრდის დინამიკაში.


### კვლევის მასალა და მეთოდები

საკვლევად გამოყენებულ იქნა აქტინომიცეტების სუფთა კულტურები, დაცული ბოტანიკის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის განყოფილების მიკროორგანიზმთა მუზეუმში: *Actinomyces violaceus*, *Actinosporangium violaceus*, *Streptomyces albobriseolus*, *Streptomyces violaceus*.

აქტინომიცეტებს ვზრდიდით კრასილნიკოვის სინთეზურ არეზე, 27-30 °C, სანჯღრეველაზე 200 ბრ/წთ პირობებში. ზრდის მრუდის დასადგენად ბიომასის რაოდენობას ვსახვდრავდით წონითი მეთოდით. ამინომჟავების თვისობრივ და რაოდენობრივ ანალიზს ვატარებდით ი. ზაიცევას მიერ შემოთავაზებული მეთოდით [3, 6].

### შედეგები და მათი განხილვა

ჩატარებულ იქნა ცდები აქტინომიცეტების ბიომასაში ამინომჟავების საერთო რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილების გამოსაგენად კულტურის განვითარების პერიოდში. ცდის შედეგებმა გვჩვენა, რომ ბიომასის საერთო ამინომჟავების რაოდენობა მცირდება კულტურების ზრდა-განვითარების პროცესში.



სურ. 1. აქტინომიცეტების უჯრედის ამინომჟავური შედგენილობა ზრდის ფაზების მიხედვით. □ - *Actinosporangium violaceus*, ▨ - *Nocardia dassonvillei*, ▤ - *Streptomyces violaceus*, ▥ - *Streptomyces albogriseolus*

ცდის შედეგების ანალიზი გვჩვენებს, რომ ლოგარითმულ ფაზაში აქტინომიცეტების უჯრედში ამინომჟავების რაოდენობა შეადგენს *Actinosporangium violaceus*-ში 7,4%, *Nocardia dassonvillei*-ში 6,8%, *Streptomyces violaceus*-ში 5,5%, *Streptomyces albogriseolus*-ში 5%, ექსპონენციალურ ფაზაში - 7,2%, 5,9%, 4,7%, 4,2%, სტაციონარულ ფაზაში - 6,0%, 9,0%, 5,0%, 3,97%, 3,5%, კვდომის ფაზაში - 5,5%, 4,5%, 3,0%, 3,0%, შესაბამისად.

ამრიგად, საკვლევი მიკროორგანიზმების უჯრედებში ამინომჟავების რაოდენობა არ არის მუდმივი სიდიდე და განიცდის უმნიშვნელო რაოდენობრივ ცვლილებას კულტურის ზრდის ფაზების მიხედვით.

სამუშაოს შემდგომ ეტაპზე განისაზღვრა საკვლევი აქტინომიცეტების უჯრედის ამინომჟავების თვისობრივი შედგენილობა. კვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

**ზოგიერთი აქტინომიცეტის უჯრედის იდენტიფიცირებული ამინომჟავები**

Streptomyces albogriseolus	Streptomyces violaceus	Nocardia dassonvillei	Actinosporangium violaceus
ალანინი გლიცინი გლუტამინის მჟავა მურამის მჟავა ლეიცინი იზოლეიცინი სერინი ლიზინი ვალინი	ალანინი გლიცინი გლუტამინი მურამის მჟავა გლუტამინის მჟავა პროლინი სერინი ლიზინი	ალანინი გლიცინი ვალინი მურამის მჟავა მეთიონინი ლიზინი	ალანინი გლიცინი მურამის მჟავა გლუტამინის მჟავა სერინი ლიზინი პისტიდინი

საკვლევი აქტინომიცეტები განსხვავდება ამინომჟავური შემადგენლობით როგორც გვარის, ისე სახეობის დონეზე. იდენტიფიცირებული ამინომჟავების რაოდენობა არ არის მუდმივი სიდიდე და იცვლება კულტურების ზრდის ფაზების მიხედვით. შედეგები მოცემულია ცხრილებში 2, 3, 4 და 5.

ცხრილი 2

**Actinosporangium violaceus-ის უჯრედში ამინომჟავების პროცენტული თანაფარდობა (ზრდის ფაზების მიხედვით)**

იდენტიფიცირებული ამინომჟავები	ლოგარითმული ფაზა	ექსპონენციალური ფაზა	სტაციონარული ფაზა	კვდომის ფაზა
სერინი	12,43	10,52	19,69	12,81
ალანინი	14,32	11,4	15,9	10,86
გლიცინი	15,13	10,96	10,22	15,59
პისტიდინი	13,51	13,59	10,98	11,97
ლიზინი	15,4	23,24	11,74	13,37
მურამის მჟავა	9,72	9,64	9,84	11,97
გლუტამინის მჟავა	18,64	11,84	13,25	8,63

ცხრილი 3

**Streptomyces albogriseolus-ის უჯრედში ამინომჟავების პროცენტული თანაფარდობა (ნახშირბადის წყარო – გლუკოზა)**

იდენტიფიცირებული ამინომჟავები	ლოგარითმული ფაზა	ექსპონენციალური ფაზა	სტაციონარული ფაზა	კვლევის ფაზა
სერინი	16,26	14,17	16,22	6,42
ლეიცინი	9,33	9,95	13,03	10,64
ალანინი	6,69	7,69	7,18	7,83
გლიცინი	10,76	13,27	15,69	1,62
ლიზინი	6,69	6,93	11,43	5,82
მურამის მჟავა	6,93	8,89	11,43	5,82
გლუტამინის მჟავა	5,26	6,18	9,3	6,82
ვალინი	8,13	5,42	7,18	6,62
იზილეიცინი	7,89	8,74	6,111	9,63

ცხრილი 4

**Nocardia dassonvillei-ის უჯრედში ამინომჟავების პროცენტული თანაფარდობა (ზრდის ფაზების მიხედვით)**

იდენტიფიცირებული ამინომჟავები	ლოგარითმული ფაზა	ექსპონენციალური ფაზა	სტაციონარული ფაზა	კვლევის ფაზა
ალანინი	10,65	10,63	10,13	20
გლიცინი	7,9	11,17	11,52	12
მეთიონინი	12,71	17,02	10,13	9,5
ლიზინი	17,18	14,36	14,28	20,5
მურამის მჟავა	12,02	15,95	16,12	12,5
ვალინი	14,08	19,14	12,9	15,5

ცხრილი 5

**Streptomyces violaceus-ის უჯრედში ამინომჟავების პროცენტული თანაფარდობა**

იდენტიფიცირებული ამინომჟავები	ლოგარითმული ფაზა	ექსპონენციალური ფაზა	სტაციონარული ფაზა	კვლევის ფაზა
გლუტამინი	9,09	12,71	5,97	6,87
პროლინი	8,05	7,9	6,96	10,6
სერინი	10,12	3,05	3,98	18,05
ალანინი	15,58	7,62	12,93	10,6
გლიცინი	15,58	7,9	29,8	8,02
ლიზინი	9,35	16,6	15,92	8,8
მურამის მჟავა	10,12	16,1	9,95	8,59
გლუტამინის მჟავა	21,55	18,9	6,96	8,3

ამრიგად, ცდის შედეგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საკვლევი აქტინომიცეტები განსხვავდება ერთმანეთისგან უჯრედში ამინომჟავების როგორც რაოდენობრივი, ისევე თვისობრივი შემადგენლობით.

**ლიტერატურა**

1. *ქოცია ნ., ლომთათიძე ზ.* ზოგიერთი აქტინომიცეტის პოლისაქარიდული ცვლის თავისებურებაში. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, ბილ სერია A, 2006, 32, 6, 1187-1194.
2. *Гаузе Г.Ф., Преображенская Т.П.* Определитель актиномицетов. Москва. Наука. 1983, с. 25-29.
3. *Герхард К.В.* Методы общей бактериологии. М., Изд. "Мир". 1984, т. 2, 120 с.
4. *Гусев М.В., Минеева Л.А.* Микробиология. М. Изд. АН России. 2003, с. 221.
5. *Ленгелер Й., Дрвс Г., Шлегель Г.* Современная микробиология, прокариоты. М., Изд. "Мир", 2005, с. 256.
6. *Теттер Е.З., Шильникова В.К., Переверзева Г.И.* Практикум по микробиологии. Москва. Изд-во "Мир", 2003, с. 81-87.
7. *Тейлор Д., Грин Н., Стаут У.* Биология. М., Изд. "Мир", 2002, с 44, 50, 53.

**АМИНОКИСЛОТНЫЙ СОСТАВ КЛЕТОК НЕКОТОРЫХ АКТИНОМИЦЕТОВ**

*Н. Котия, З. Ломтათიძე*

Ботанический сад и Институт ботаники

**РЕЗЮМЕ**

Исследован аминокислотный состав клеток некоторых актиномицетов. Установлено, что количество аминокислот меняется в соответствии с фазами роста микроорганизмов – оно максимально в логарифмической фазе роста и постепенно уменьшается (доходя до минимума) в фазе умирания. Аминокислотный состав клетки актиномицетов различается как на уровне рода, так и вида.

**AMINO ACID COMPOSITION OF CELLS IN SOME ACTYNOMYCES**

*N. Kotia, Z. Lomtathidze*

Botanical Garden and Institute of Botany

**SUMMARY**

Amino acid composition of cells of some actinomycetes has been studied. It has been established that quantity of amino acids changes in the ratio of growth phases of microorganisms. It is maximal in logarithmic phase of growth and gradually decreases coming down to the minimum in the phase of dying. According to the qualitative composition of amino acids the cells of actinomycetes differ at the level of family and species.

## ბრონქის ტაკვის უკმარისობის პროფილაქტიკის გზები ფილტვის კიბოს დროს

*ზ. ლომიძე, რ. ვაგუა, ვ. კუჭავა*

ა. დევიჩიავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრი

მიღებულია 18.11.2009

ბრონქის ტაკვის უკმარისობა ოპერაციის შემდგომი გართულებების სპექტრში თავისი სიმძიმითა და სიხშირით წარმოადგენს თორაკალური ქირურგიის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას. 3,5-16% შემთხვევაში იგი ოპერირებულ ავადმყოფთა ლეტალობის მიზეზია.

ცნობილია ბრონქის ტაკვის დამუშავების და გაკერვის არა ერთი მეთოდი. ბევრი მათგანი დაბალი ეფექტურობის გამო აღარ გამოიყენება. ბოლო პერიოდში დიდი გავრცელება პოვა ბრონქის ტაკვის აპარატით გაკერვის მეთოდი. ასევე შემუშავებულ იქნა ბრონქის უტაკო დამუშავების და "ფლორტი" დაფარვის მეთოდები.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ ფართოდ გამოიყენება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით ბრონქის ტაკვის დაფარვა, კერძოდ, ჟელას-პონით (ჰემოსტაზური ღრუბლით), რომელიც უდავოდ უნდა ჩაითვალოს ერთ-ერთ პერსპექტიულ მეთოდად, ვინაიდან თავისი ანტისეპტიკური თვისებების წყალობით იგი ანტიბაქტერიულ ეფექტს ავლენს ინფიცირებული ტაკვის მიდამოში, ღრუბელი თხელი აკის სახით მთლიანად შემოეხვევა ტაკვის მუფთასავით და ავსებს გაკერვის შედეგად წარმოქმნილ მიკროდეფექტებს, ხელს უშლის ინფექციის გამოსროლას პლევრის ღრუში, მნიშვნელოვნად ამცირებს უკმარისობის სისხირეს, არ ზრდის ოპერაციის ხანგრძლივობას და ტრავმულობას.

საკვანძო სიტყვები: ფილტვის კიბო, ბრონქის ტაკვი, უკმარისობა, პროფილაქტიკა, ჰემოსტაზური ღრუბელი

ბრონქის ტაკვის უკმარისობა ოპერაციის შემდგომი გართულებების სპექტრში თავისი სიმძიმითა და სიხშირით წარმოადგენს თორაკალური ქირურგიის ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემას. ის 3,5-16% შემთხვევაში ოპერირებულ ავადმყოფთა ლეტალობის მიზეზია [1-5]. ბრონქის ტაკვის უკმარისობის სისხირის მაქსიმალურად შემცირებისთვის საჭიროა შემდეგი პირობების დაცვა: 1) ბრონქი უნდა გადაიკვარტოს ჯანმრთელი ქსოვილების ფარგლებში; 2) ბრონქის ტაკვი მაქსიმალურად მოკლე უნდა იყოს; 3) ბრონქის კედლები არ უნდა იყოს ზედმეტად გაშიშვლებული

(სკელეტიზირებული); 4) ბრონქის ტაკვი მაქსიმალურად იზოლირებული უნდა იყოს პლევრის ღრუსგან; 5) გამოყენებული საკერი მასალა უნდა იყოს არაჰიგროსკოპული; 6) ბრონქის ტაკვის ჰერმეტიზაციისთვის გამოყენებული საკერი საშუალება მინიმალურ დეფექტს უნდა ტოვებდეს გასაკერ ქსოვილში.

ლიტერატურაში აღწერილია ბრონქის ტაკვის დამუშავების და გაკერვის არა ერთი მეთოდი. ბევრი მათგანი დაბალი ეფექტურობის გამო აღარ გამოიყენება. ბოლო პერიოდში ფართო გავრცელება ჰპოვა ბრონქის ტაკვის აპარატით გაკერვის მეთოდმა [1-5], რომელმაც მნიშვნელოვნად შეამცირა ბრონქის ტაკვის უკმარისობა, თუმცა ამ ნაკერმაც ბოლომდე ვერ გაამართლა: მექანიკური ნაკერის დადების შემდეგ რჩება შედარებით გრძელი ტაკვი (განსაკუთრებით მარცხენამხრივი პნევმოექტომიისას). ასევე აპარატის ბრანშებს შორის ბრონქის კედლები ზედმეტად ტრავმირდება, რაც მათი ტროფიკის დარღვევისა და უკმარისობის განვითარების მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ იქნა ბრონქის უტაკვო დამუშავების მეთოდი [1-5]. აღნიშნულის მიხედვით, ბრონქი იკვეთება ერთი ხრტილოვანი ნახევარგოლის დატოვებით და ცალ-ცალკე იკერება მისი შემბრანული და ხრტილოვანი ნაწილები. ასეთი გაკერვით გამოირიცხებოდა ბრონქის ტაკვის ყრუ ტოპრაკის ჩამოყალიბება, ხოლო მისი კედლები მინიმალურად ტრავმირდება. ხელით დამუშავების ამ მეთოდმა მკვეთრად შეამცირა ოპერაციის შემდგომი ბრონქო-პლევრული გართულებები (7,9%-დან 1,8%-მდე).

ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის თორაკალურ განყოფილებაში 1986 წლიდან ვიყენებდით ბრონქის ტაკვის დამუშავების შემდეგ ხერხებს: 1) მექანიკური (აპარატებით YO; YKB; YKL), 2) ბრონქის უტაკვოდ დამუშავების მეთოდი და 3) საკუთარი ე. წ. “ყლორტის” მეთოდი, რომელსაც ნაწილობრივი მსგავსება აქვს ბრონქის უტაკვო დამუშავების მეთოდთან [1, 2].

ბრონქის ტაკვის უკმარისობის განვითარების სისშირე მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული ქირურგიული ჩარევის მასშტაბზე. მაღალი ტრავმული გაფართოებული და კომბინირებული ოპერაციების შემდეგ, რაც ძირითადად სრულდება ფილტვის ადგილობრივად გავრცელებული კიბოს დროს, ოპერაციის შემდგომი ტაკვის არაჰერმეტიკულობის რისკი შედარებით მაღალია. შესაბამისად, მოცემულ ნაშრომში განხილულია მხოლოდ გაფართოებული და კომბინირებული ოპერაციების შედეგები.

**მასალა და მეთოდები**

ჩვენ მიერ ოპერირებული 1368 ავადმყოფიდან ბრონქის ტაკვის აპარატული გაკერვა განხორციელდა 945 შემთხვევაში (69,0% ± 1,9), უტაკვო დამუშავების მეთოდით - 159 (11,6% ± 1,7), ყლორტის მეთოდით კი - 159 (11,6% ± 1,7), ხოლო დარჩენილ 105 (7,7% ± 1,9) შემთხვევაში ბრონქის ტაკვის დასაფარად გამოიყენებოდა კემოსტაზური ღრუბელი.

ჩვენთან ბრონქის დამუშავების უტაკო მეთოდი გამოიყენება 1986 წლიდან. მეთოდის არსი მდგომარეობს შემდეგში: სკალპულით იკვეთება მთავარი ბრონქი ერთი ხრტილოვანი ნახევარგოლის დატოვებით. თავიდან ნაკერის დადება ხდება ლორწოქვეშა შრეში მემბრანულ ნაწილზე, იქმნება დუბლიკატურა მემბრანული კედლის გამოყენებით. შემდეგ ტაკვი იკრება კვანძოვანი ატრავმული ნაკერებით ტრაქეო-ბრონქული კუთხის გავლით ტრაქეის ბოლო და ბრონქის პირველ ხრტილოვან რგოლებს შორის. შემდეგ, ამ ნაკერების თანმიმდევრული დაჭიმვისა და გაკვანძვის პარალელურად, პინცეტის მეშვეობით ხორციელდება ქსოვილების პრეციზიული შეკავშირება. ამ დროს გამოირიცხულია "ერუ ტოპრაკის" ჩამოყალიბება, ასევე არ აღინიშნება ბრონქულ ნაკერთა დაჭიმულობა, რაც ნაკერთა ჩაჭრის საფრთხეს ამცირებს და ხელს უწყობს კარგ ადაპტაციას. ბრონქის დამუშავების უტაკო მეთოდი აღმოჩნდა ჩვენთვის ყველაზე მისაღები. ამ მეთოდით ბრონქი გაკერილია 159 შემთხვევაში.

მეორე მეთოდი, რომელიც ჩვენი კლინიკის მიერ არის მოწოდებული, გამოყენებული იყო 159 ავადმყოფზე. აღნიშნული მეთოდით მიღებულმა საიმედო შედეგებმა მისი ფართოდ გამოყენების საშუალება მოგვცა.

ფილტვის კარის სისხლძარღვების გადაკვანძვის და ლიმფოდისექციის შემდეგ მთავარი ბრონქის მობილიზება ხდება ტრაქეამდე. ტრაქეიდან 1,5-2,0 სმ-ის დისტალურად ბრონქზე ედება ბრონქოფიქსატორი ან "ფიოდოროვის" მოჭკერი. სკალპულით იკვეთება ბრონქი პირველ და მეორე ხრტილოვან ნახევარგოლებს შორის მემბრანულ ნაწილამდე. იკვეთება ხრტილოვანი ნახევარგოლები ცენტრიდან პერიფერიისკენ ბრონქის ფიქსატორამდე. მემბრანული ნაწილი იკვეთება მოჭკერთან. პრეპარატის ამოღების შემდეგ რჩება მთავარი ბრონქის ერთი ნახევარგოლი და მემბრანული ნაწილის ყლორტი სიგრძით 1,0-1,5 სმ.

ბრონქის ღიად დამუშავების შემდეგ პლევრის დრუს ინფიცირების ეტაპის და მემბრანული ნაწილისგან ყლორტის ჩამოყალიბების გამო სიმსივნის რეციდივის თავიდან აცილების მიზნით მიემართავდით შემდეგ მანიპულაციებს: 1) პრეპარატის ამოღების შემდეგ ბრონქის სანათურის ვამუშავებით ქლორპექსიდინში დასველებული დოლბანდის ბურთულით, რომელსაც სანათურში 3-5 წონის ვანიკოლოსაში ვტოვებდით, 2) მემბრანული ყლორტის სიგრძის შერჩევასა და ვითვალისწინებდით შემდეგ ფაქტორებს: ა) ბრონქის სანათურის დამატერს, ბ) სიმსივნის ლოკალიზაციას და ზრდის ფორმას, გ) კიბოს ადგილობრივი და რეგიონული გავრცელების ხარისხს, დ) ბრონქისა და მემბრანული ყლორტის რეზექციის ხაზის მორფოლოგიური გამოკვლევის მონაცემებს. ტაკში რეციდივის თავიდან ასაცილებლად ყლორტის გამოყოფა ხდებოდა პერიფერიული სიმსივნეების დროს ცენტრალიზაციის გარეშე და იმ შემთხვევაში, როცა სიმსივნე ლოკალიზებული იყო სუბმენტური ან წილოვანი ბრონქების დისტალურ ნაწილებში. თითქმის ყველა შემთხვევაში ხდებოდა რეზექციის ხაზის სასწრაფო ჰისტოლოგიური შესწავლა. მხოლოდ ამის შემდეგ სრულდებოდა ტაკის გაკერვა და პლასტიკა ყლორტით.

ყლორტი იკრებოდა 2-3 კვანძოვანი გოფირებული ნაკერით. პირველი ჩხვლეტით ნემსი გადიოდა ხრტილოვანი და მემბრანული ნაწილების შუა

და უკანა მესამედის საზღვარზე, მეორე ჩხველტით ნემსი გაგვყავდა მემბრანის შუა და წინა მესამედების საზღვარზე, ხოლო გამოდიოდა მემბრანის ხრტილოვან ნაწილზე გადასვლის ადგილას. ყველა ლიგატურა იკვანძებოდა ისე, რომ ყალიბდებოდა მემბრანული ნაწილის გარეთა დუბლიგატურა. 3-4 კვანძოვანი ნაკერით ცალკე კეპრავლით ხრტილოვან ნაწილს შემდეგ ვასრულებდით ყლორტის დემუკოსაციას, განმეორებით ვაშუშავებდით მას ანტისეპტიკური ხსნარებით და ვაფიქსირებდით ტაკვის მთელ სიგრძეზე ისე, რომ ყლორტი მუფთვის მსგავსად ეხვეოდა ბრონქის ტაკვს.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჩვენ მიერ ფართოდ გამოიყენება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით ბრონქის ტაკვის დაფარვა. ამ მიზნით შერჩეულ იქნა კელატინის და კოლაგენის შემცველი ჰემოსტაზური დრუბელი (კელასპონი), რომლის შემადგენელი აქტიური ნივთიერება მზადდება დროის კანისა და მსხვილი რქოსანი პირუტყვის სასახსრე ჩანთის სითხისგან. მას დამატებული აქვს ბორის მჟავა და ფურაცლინი. დრუბელს გაანჩია ჰემოსტაზური და ანტისეპტიკური ფეჟქტი, ასტიმულირებს ქსოვილთა რეპარაციას და რეგენერაციას. ჭრილობაში, დრუში, თავისუფალ სივრცეში მოხვედრისას ის მთლიანად შეიწოვება და თხელი აპკის სახით გადაეკურება დაზიანებულ ადგილებს.

Ni-ATP-ის შესწავლისას გამოყენებულ იქნა მრავალუნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდები [8]. კერძოდ, რთული კინეტიკური მრუდების გეომეტრიული ფორმის ანალიზის მეთოდი, რაც „მინიმალური მოდელის პრინციპთან“ ერთად, იძლევა რთული გეომეტრიული მრუდების მქონე ფერმენტული სისტემების მოლეკულური მექანიზმის გაშიფრის საშუალებას.


### შედეგები და განხილვა

Ni-ATP-ის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, შესწავლილ იქნა ATP-ის აქტიურობა სარეაქციო არეში შესაბამისი კონცენტრაციის ATP-ის

გარდა, მხოლოდ  $Ni^{2+}$ -ის დამატებისას. აღმოჩნდა, რომ  $Ni^{2+}$  კონცენტრაციის საკმაოდ დიდ ფარგლებში ( $0,00005 \text{ mM} \leq [Ni] \leq 0,05 \text{ mM}$ ) ATP-ის აქტიურობა არ შეინიშნებოდა ( $0,502 \pm 0,300 - 0,451 \pm 1,35$  მიკრომოლი Pi/სთ მგ ცილა), ე.ი. Ni-ATP-ის სუბსტრატს წარმოადგენს Ni-ATP-ის კომპლექსი ან თავისუფალი ATP. Ni-ATP-ის აქტიურობა შეინიშნება მხოლოდ სარეაქციო არეში  $Ni^{2+}$ -ისა და  $Mg^{2+}$  თანაარსებობისას [11]. ამ დროს ვაწყდებით სირთულეს, რადგანაც სარეაქციო არეში  $Mg^{2+}$ -ის შეყვანისას ATP-ის აქტიურობა ნულისგან განსხვავებულია, რადგანაც მუშაობს Mg-ATP-ზე. მაგრამ სარეაქციო არეში  $Mg^{2+}$ -თან ერთად  $Ni^{2+}$ -ის დამატებისას ადგილი აქვს აქტიურობის მატებას და ფაქტობრივად შეისწავლებოდა ATP-ისა და  $Ni^{2+}$ -ით გამოწვეული აქტივაციის ნაწილი.

Ni-ATP-ის მოქმედების მოლეკულური მექანიზმის დადგენისთვის აუცილებელია ფერმენტული რეაქციის სინქარის დამოკიდებულების შესწავლა ხუთი ლიგანდის (თავისუფალი  $Ni^{2+}$ -ის ( $Ni_r^{2+}$ ), თავისუფალი  $Mg^{2+}$ -ის ( $Mg_r^{2+}$ ), MgATP კომპლექსის, თავისუფალი ATP-ისა (ATP) და Ni-ATP კომპლექსის) კონცენტრაციიდან.

სურათზე 1 წარმოდგენილია Ni-ATP-ის აქტიურობის დამოკიდებულება MgATP კონცენტრაციაზე ორმაგ შებრუნებულ კოორდინატებში. სურათიდან ნათლად ჩანს, რომ  $1/V = f(1/Mg-ATP)$  ფუნქცია არაწრფივია.




სურ. 1. Ni-ATP-ის აქტიურობის დამოკიდებულება MgATP-ის კონცენტრაციაზე ორმაგ შებრუნებულ კოორდინატებში, NiATP-ის, თავისუფალი ATP-ისა და  $Ni^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში:

- $[Ni^{2+}] = \text{const} = 0,0001 \text{ mM}$ ;
- $[ATP] = \text{const} = 0,23 \text{ mM}$ ;
- $[NiATP] = \text{const} = 0,002421 \text{ mM}$

არგუმენტის მცირე მნიშვნელობებისას შეინიშნება ფერმენტული სისტემის ინჰიბიცია, ხოლო არგუმენტის მაღალი მნიშვნელობისას - აქტივაცია. ამასთან, არგუმენტის მაღალი მნიშვნელობისას  $1/V = f(1/MgATP)$  ფუნქციას გააჩნია ასიმპტოტა, ხოლო არგუმენტის საშუალო მნიშვნელობებისას შეინიშნება ერთი მოტრიალებისა და ერთი გადაღუნვის წერტილი. არგუმენტის მაღალი მნიშვნელობებისას  $1/V = f(1/MgATP)$  ფუნქციის წრფივობა აუცილებელი და საკმარისი პირობაა ითქვას, რომ MgATP წარმოადგენს სუბსტრატს ფერმენტული სისტემისათვის და მისი, როგორც აუცილებელი აქტივატორებისთვის განკუთვნილი უბნების რიცხვი -  $n = 1$ . უნდა აღინიშნოს, რომ MgATP-ის, როგორც სრული ინჰიბიტორებისთვის განკუთვნილი უბნების რიცხვი -  $m = 1$ . ამ პირობებში  $1/V = f(1/MgATP)$  მრუდზე არგუმენტის საშუალო მნიშვნელობებისას ერთი მოტრიალებისა


და ერთი გადაღუნვის წერტილის არსებობა მიუთითებს, რომ MgATP-ისთვის, როგორც ნაწილობრივი ეფექტის მქონე მოდიფიკატორებისთვის, განკუთვნილი უბნების რიცხვი  $p \geq 1$  [8]. აღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან Na,K-ATPას მსგავსად ერთ სუბსტრატულ უბანზე არის სუბსტრატის დაკავშირების ერთი ცენტრი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ Ni-ATPას მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემაა, რომლის ფუნქციურ ერთეულს წარმოადგენს მინიმუმ დიმერი.

სურ. 2-ზე წარმოდგენილია Ni-ATPასური აქტიურობის დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე MgATP-ის, თავისუფალი ATP-ისა და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში ( $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$ ). აღებული იყო  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციის საკმაოდ დიდი ფარგალი ( $0,00003 \text{ mM} \leq [Ni^{2+}] \leq 0,005 \text{ mM}$ ). სურათზე უკეთ წარმოჩენის მიზნით, აბსცისაზე მოცემულია  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციის ათობითი ლოგარითმი, რადგან ჩვენი მიზანი იყო  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე Ni-ATPასური აქტიურობის დამოკიდებულების ამსახველი მრუდის გეომეტრიული ფორმის შესწავლა. ამ შემთხვევაში კი მრუდის გეომეტრიული ფორმა არ იცვლება.




სურ. 2. Ni-ATPასური აქტიურობის დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე MgATP თავისუფალი ATP-ისა და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში:  
 $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  
 $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  
 $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$

სურათიდან 2 ნათლად ჩანს, რომ Ni-ATPასური აქტიურობის დამოკიდებულებას  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე აქვს გუმბათისებური ფორმა. კერძოდ,  $Ni^{2+}$ -ის მცირე კონცენტრაციებისას აღვილი აქვს ფერმენტული სისტემის აქტივაცია, ხოლო  $Ni^{2+}$ -ის მაღალი კონცენტრაციებისას ფერმენტული სისტემა ინჰიბირდება.  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე Ni-ATPასური აქტიურობის დამოკიდებულების ამსახველი მრუდის აღნიშნული ფორმა აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობაა იმის დასამტკიცებლად, რომ Ni-ATPასა აწარმოებს  $Ni^{2+}$ -ის ტრანსპორტს, რადგან, როდესაც ხდება იონთა გადატანა, მაშინ ATPასასთვის თვისობა ამ იონისადმი უნდა იყოს მაღალი, ხოლო როცა იონის გადატანა მთავრდება, მისი თვისობაც მცირდება [9], რაც კინეტიკურად გამოისახება ამ იონის დაბალი კონცენტრაციისას აქტიურობის მაგნიტუდით, ხოლო მაღალი კონცენტრაციისას – კლებით. ამასთან, ცხადია, რომ იონის გადატანისას, მისი როგორც აუცილებელი აქტივატორებისთვის (n) და სრული ინჰიბიტორებისთვის (m) განკუთვნილი უბნების რიცხვი ერთმანეთს უნდა ემთხვეოდეს.



სურ. 3. Ni-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე ორმაგშებრუნებულ კოორდინატებში, თავისუფალი ATP-ისა და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში:  
 $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  
 $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  
 $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$

სურათზე 3 წარმოდგენილია ორმაგშებრუნებულ კოორდინატებში Ni-ATPაზური აქტიურობის დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის კონცენტრაციაზე MgATP-ის, თავისუფალი ATP და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში ( $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$ ). აღებული იყო  $Ni^{2+}$ -ის მცირე კონცენტრაციები ( $0,000015 \text{ mM} \leq [Ni^{2+}] \leq 0,000060 \text{ mM}$ ). სურათიდან ნათლად ჩანს, რომ  $1/V = f(1/Ni^{2+})$  ფუნქციის სარწმუნო დინამიკა მიიღწევა იმ შემთხვევაში, როცა  $r = 1$ , რაც ნიშნავს, რომ  $Ni^{2+}$ -ის, როგორც აუცილებელი აქტივატორებისთვის განკუთვნილი უბნების რიცხვი,  $n = 1$  [8]. (აუცილებელი აქტივატორების ჭეშმარიტი მნიშვნელობა  $N = 1.0001 \pm 0,0187$ ; პირველ მიახლოებაში ჭეშმარიტი მნიშვნელობიდან გადახრა  $(R-n) = -0,133$ , ხოლო რეგრესიის კოეფიციენტებია:  $a = 0,0391 \pm 0,0015$ ;  $b = 0,0014 \pm 0,00004$ ).



სურ. 4. Ni-ATPაზური აქტიურობის (შებრუნებულ კოორდინატებში) დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის მაღალ კონცენტრაციებზე ( $0,007 \text{ mM} \leq [Ni^{2+}] \leq 0,009 \text{ mM}$ ), MgATP-ის, თავისუფალი ATP-ისა და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში:  
 $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  
 $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  
 $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$

სურათზე 4 წარმოდგენილია Ni-ATPაზური აქტიურობის (შებრუნებულ კოორდინატებში) დამოკიდებულება  $Ni^{2+}$ -ის მაღალ კონცენტრაციებზე ( $0,007 \text{ mM} [Ni^{2+}] 0,009 \text{ mM}$ ), MgATP-ის, თავისუფალი ATP-ისა და  $Mg^{2+}$ -ის მუდმივი კონცენტრაციების პირობებში ( $[MgATP] = 1,6 \text{ mM}$ ;  $[Mg^{2+}] = 0,4 \text{ mM}$ ;  $[ATP] = 0,2412 \text{ mM}$ ). სურათიდან ნათლად ჩანს, რომ  $1/V = f(Ni^{2+})$  დამოკიდებულება წრფივია, რაც მიუთითებს, რომ  $Ni^{2+}$ -ის, როგორც სრული ინჰიბიტორებისათვის განკუთვნილი უბნების რიცხვი  $m = 1$  [8] (სრული

ინჰიბიტორების ჭეშმარიტი მნიშვნელობა  $M = 1.0001 \pm 0,0212$ ; პირველ მიახლოებაში ჭეშმარიტი მნიშვნელობიდან გადახრა  $(R-m) = -0,060$ , ხოლო რეგრესიის კოეფიციენტებია:  $a = 0,0391 \pm 0,0079$ ;  $b = 0,0137 \pm 0,0016$ .

ამრიგად, Ni-ATP-ის შესწავლის შედეგად ნათელი გახდა, რომ იგი არის მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემა, რომლის სუბსტრატია MgATP კომპლექსი. Ni-ATP-ის, სავარაუდოდ, ახორციელებს  $Ni^{2+}$ -ის ტრანსპორტს, რადგან სრულდება იონთა ტრანსპორტის დამადასტურებელი აუცილებელი კინეტიკური პირობა. თუმცა, ეს პირობები აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია და  $Ni^{2+}$ -ის ტრანსპორტირებაში საბოლოოდ დარწმუნება შესაძლებელია მხოლოდ იზოტოპური მეთოდის გამოყენებით, თუ თვალს მივადევნებთ Ni-ATP-ის მოქმედებისას მემბრანაში  $Ni^{2+}$ -ის ტრანსპორტს.

## ლიტერატურა

1. *Гузушвили И.* Человек и его здоровье, 2000, 25.
2. *Ноздзюхина Л.Р.* Биологическая роль микроэлементов в организме животных и человека. Москва, изд. "Наука," 1977.
3. *Fiske G., Subbarow Y. J.* Biol. Chem., 1925, 66, 375-400.
4. *Hou Z., Mitra B. J.* Biol. Chem., 2000, 278, 28455-28461.
5. *Iacimirsky K., Kriss, Gvasdovskaia V.* Dissociation constants of metal and bioligand complexis. Kiev, Naukova Dumka, 1972, p.134.
6. *Kazanov A., Maslova M.* Zhur. Evol. Biokh. Piziol., 1980, 16, 5, 81-87.
7. *Kometiani Z., Tsakadze L., Jariashvili T. J.* Neurochem., 1984, 42, 5, 1246-1250.
8. *Kometiani Z.* Methods for kinetic analysis of multi-sited enzyme systems. 2005, Publ. House "Tbilisi," Georgia.
9. *Kometiani Z., Nozadze E.* Bull. Georgian Natl. Acad. Sci., 2007, 1 (175), 4, 106-109.
10. *Lowry O.H., Rosenbrogh N.J. J.* Biol. Chem., 1951, 193, 265-275.
11. *Nozadze E., Chkadua G., Kometiani Z. J.* Neurosciences (Georgian), 2005, 1, 4, 49-53.
12. *Snavely M.D., Florer J.B., Miller C.G., Maguire M.E. J.* Bacteriol., 1989, 171, 4761-4766.

## $Ni^{2+}$ АКТИВИРОВАННАЯ $Mg^{2+}$ -ЗАВИСИМАЯ АТРаза

*Е. Нозадзе, Н. Арутюнова, М. Кирия*

ო. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

### РЕЗЮМЕ

$Ni^{2+}$  является необходимым микроэлементом для всех живых организмов. Его транспорт в микроорганизмах осуществляется переносчиком и Р-АТРазами. Нами обнаружена Ni-АТРазная активность, обусловленная ионами  $Ni^{2+}$ . Изучение молекулярного механизма действия данного фермента показало, что он представляет собой, по меньшей мере, димер, и его субстратом является комплекс NiATP. Возможно Ni-АТРаза осуществляет транспорт  $Ni^{2+}$ . Также установлено число участков как для необходимых активаторов, так и полных ингибиторов.

## $\text{Ni}^{2+}$ -ACTIVATED $\text{Mg}^{2+}$ DEPENDANT ATPase

*E. Nozadze, N. Arutiunova, M. Kiria*

I. Beritashvili Physiology Institute

### SUMMARY

$\text{Ni}^{2+}$  is important microelement for every living organism. Transport of this element in microorganisms is accomplished by transporters and P type ATP-ases. We have founded  $\text{Ni}^{2+}$  induced NiATPase activity change in rat brain fractions. Study of NiATPases molecular mechanism revealed that system is minimum dimmer and substrate of this system is MgATP complex. It may be that NiATPase is  $\text{Ni}^{2+}$  transporter. The number of  $\text{Ni}^{2+}$  sites for essential activators and full inhibitors has been defined.

## კომბინირებული ფუნგიციდის CURZAT R-ის ემბრიოტოქსიკური მოქმედების შეფასები ექსპერიმენტში

თ. თნიანი, ი. ღვინერია, ვ. სააკაძე, ჯ. თნიანი

ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მიღებულია 28.11.2009

კომბინირებული სპილენძის შემცველი ფუნგიციდის Curzat R-ის თეთრი ვირთავების ორგანიზმში განმეორებითი შეყვანის პირობებში ემბრიოტოქსიკური თვისების დადგენის მიზნით ჩატარებულია ექსპერიმენტული კვლევა.

Curzat R-ი (სპილენძის ქლორჟანგი 689,5 გ/კგ + ციმოქსანილი 42 გ/კგ) ფართოდ გამოიყენება საქართველოს მცენარეთა დაცვის ინტეგრირებულ სისტემებში. ეს, თავის მხრივ, ქმნის გარემოს ობიექტების (პაერი, წყალი, ნიადაგი) დაბინძურების, მასთან კონტაქტში მყოფ ადამიანებზე და თბილისის ხლიან ცხოველებზე მავნე გავლენის რეალურ საშიშროებას.

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ კომბინირებული პრეპარატი Curzat R-ი მიეკუთვნება ნაკლებად ტოქსიკურ ნივთიერებათა ჯგუფს, საშიშროების III კლასს (ჯანმრ.-ს კლასიფიკაცია). მრავალჯერადი ზემოქმედების იგი ხასიათდება ემბრიოტოქსიკური ეფექტით, დოზებით 1/20 და 1/50 LD<sub>50</sub> გამოვლენილი ცვლილებები შეიძლება აიხსნას სპილენძის მავნე გავლენით ცხოველების ემბრიოტოქსიკურ განვითარებაზე.

საკვანძო სიტყვები: კომბინირებული პესტიციდი (Curzat R), ემბრიოგენეზი, ტოქსიკურობა, ვირთავა

საქართველოში მცენარეთა დაცვის მიზნით გამოყენებულ სპილენძის შემცველ კომბინირებულ ფუნგიციდებს შორის მნიშვნელოვანია პრეპარატი Curzat R-ი. იგი შედგება სპილენძის ქლორჟანგისა (689,5 გ/კგ) და ციმოქსანილისაგან (42 გ/კგ).

სპილენძის ქლორჟანგის და ციმოქსანილის კომბინირებულ პრეპარატებს იყენებენ სოფლის მეურნეობაში სხვადასხვა მავნებლებზე მოქმედების ბიოლოგიური სპექტრის გაფართოებისა და დამცავი მოქმედების გახანგრძლივების მიზნით. მათი გამოყენება ამცირებს ხარჯვის ნორმებს, ნაკლებია ნარჩენები და მისაღებია პიგიურული თვალსაზრისითაც. ამასთან

ერთად, კომბინირებული პესტიციდების გამოყენების შემთხვევაში, განსაკუთრებით უსაფრთხოების წესების და პიგიენური რეგლამენტების დარღვევისას, ბინძურდება გარემოს ობიექტები (ჰაერი, წყალი, ნიადაგი). პრეპარატის აქტიური ინგრედიენტები და მათი მეტაბოლიტები გადადიან ნიადაგიდან მცენარეში და ხედებიან კვებით ჯაჭვში. საკვების საშუალებით კი ისინი აღწევენ და გროვებიან თბილსისხლიანი ცხოველების და ადამიანის ორგანიზმში. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კომბინირებული პრეპარატები შეიცავენ კომპონენტებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ქიმიური სტრუქტურითა და მოქმედების მექანიზმით, ბუნებრივი, განსხვავებული იქნება მათი ზემოქმედების საშიშროების ხარისხი, კუმულაციური თვისებები, ქრონიკული ინტოქსიკაციის განვითარების თავისებურება. ამდენად, არასამიზნე ორგანიზმზე სხვადასხვა ჯგუფის პრეპარატების ერთდროული ზემოქმედება, საშიშროების მხრივ, არაპროგნოზირებადია და ქმნის სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების და შორეული შედეგების განვითარების საფრთხეს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ორგანიზმის რეპროდუქციულ ფუნქციასზე და შთამომავლობაზე ზემოქმედება.

მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების ძირითადი საშუალებაა კომბინირებული პრეპარატის ორგანიზმზე ზემოქმედების თავისებურებების დრმა შესწავლა, უმოქმედო დონეების დადგენა, არსებულ პიგიენურ რეგლამენტებთან მათი შეჯერება და შესაბამისი პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება.

თანახმად ლიტერატურის მონაცემებისა, სპილენძის შენაერთები ხასიათდება მაღალი აქტიურობით. იგი, როგორც ესენციალური მიკროელემენტი, შეუცვლელია. მისი სტაბილური შემცველობა აუცილებელია მცენარის, აგრეთვე ცხოველისა და ადამიანის ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონისთვის. ორგანიზმში სპილენძი კომპლექსური ორგანული შენაერთების სახით არის და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სისხლის წარმოქმნის, თმის პიგმენტაციის და კერატინიზაციის, ოსტეოგენეზის, მელანინის ფორმირების, რეპროდუქციული და ენდოკრინული ჯირკვლების ფუნქციონის, ჟანგვა-აღდგენით და სხვა ფერმენტების აქტიურობაში [8] მასთან ერთად, ამ მიკროელემენტის როგორც დეფიციტი, ასევე ჭარბი რაოდენობა, გამოწვეული ეკოლოგიური, პროფესიული, გეოგრაფიული, კლიმატური და სხვა ფაქტორებით, განაპირობებს ორგანიზმში რთული პათოლოგიური პროცესების განვითარებას [3, 10].

მნიშვნელოვანია სპილენძისა და მათი შენაერთების როლი ემბრიოგენეზის პროცესში. ორსულ ორგანიზმში მაღალია სპილენძის შემცველობა, განსაკუთრებით გესტაციის ბოლო პერიოდში. ეს ითვლება ფიზიოლოგიურ მოვლენად და დაკავშირებულია სპილენძზე, როგორც მიკროელემენტზე, ნაყოფის მოთხოვნილებასთან [6, 9].

ამავე დროს, სპილენძის შენაერთების ზემოქმედება ორგანიზმზე და მისი ჭარბი დაგროვება ორგანიზმში იწვევს ემბრიოტოქსიკურ ეფექტს, ცნობილია სპილენძის სულფატის, სპილენძის ქლორჟანგის და თავისუფალი სპილენძის ემბრიოტოქსიკური მოქმედება [9, 11, 12, 5, 1].

აქედან გამომდინარე, წინამდებარე შრომის მიზანს შეადგენდა მევენახეობაში ფართოდ გამოყენებული კომბინირებული ფუნგიციდის Curzat R-ის შესაძლო ემბრიოტოქსიკური ზემოქმედების შესწავლა ექსპერიმენტში.

კვლევის პირველ ეტაპზე ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა პრეპარატ Curzat R-ის ორგანიზმზე მოქმედების თავისებურებები მწვავე ცდაში. მიღებული შედეგების მიხედვით, Curzat R-ი მიეკუთვნება ნაკლებად ტოქსიკურ ნივთიერებათა ჯგუფს, LD<sub>50</sub> შეადგენს 2000 მგ/კგ, მიეკუთვნება საშიშროების III კლასს (წანმ(უ)-ს კლასიფიკაცია). ამ პარამეტრებით იგი მწვავე ტოქსიკურობის ხარისხით არ აღემატება შემადგენელი კომპონენტების სპილენძის ქლორჟანგისა და ციმოქსანილის ტოქსიკურობას. განმეორებითი ექსპოზიციის პირობებში (1/20 და 1/50 LD<sub>50</sub>) პრეპარატ Curzat R-ის ინტოქსიკაციის პათოგენეზში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნივთიერებათა ცვლის მოშლა (სხეულის მასის ზრდის შეფერხება), პერიფერიული სისხლის შემადგენლობის ცვლილება (ანემია, ლეიკოციტოზი), ღვიძლის ნახშირწყლოვანი ფუნქციის დაზიანება (ჰიპერგლიკემია), ღვიძლსა და თირკმლებში დისტროფიული და ჰემოდინამიკური ცვლილებები.

**მასალა და მეთოდები**


ექსპერიმენტული კვლევა Curzat R-ის შესაძლო ემბრიოტოქსიკური მოქმედების შესწავლის მიზნით ჩატარებულია 50 ზრდასრულ თეთრ ვირთაგვაზე, სხეულის მასით 180-200 გ. ნორმალური ესტრალური ციკლის მქონე მდედრ ვირთაგვებს ვაწყვილებდით მამრებთან (შეფარდებით 2♀ :1♂) სპერმატოზოიდების არსებობა საშოს ნაცხში ითვლებოდა გესტაციის პირველ დღედ. პირველი დღიდან 20 დღემდე ცხოველებში ენტერალურად შეგვეყვება Curzat R-ი წელიანი სუსპენზიის სახით, დოზებით 1/20 LD<sub>50</sub> (100 მგ/კგ) და 1/50 LD<sub>50</sub> (40 მგ/კგ). გესტაციის 21-ე დღეზე ვახდენდით ნარკოზის ქვეშ მყოფი ცხოველების დეკაპიტაციას და ემბრიონების დათვალიერებას. ემბრიოტოქსიკურ მოქმედებას ვაფასებდით შემდეგი მანვენებლების მიხედვით: იმპლანტაციის ადგილები, საკვერცხეებში ყვითელი სხეულების რაოდენობა, პლაცენტის მდგომარეობა და მასა, ნორმალურად განვითარებული, განუვითარებელი და რეზორბციული ემბრიონების რაოდენობა, მათი განვითარების პარამეტრები – მასა და სიგრძე, საშვილოსნოს რქებში განაწილება და განვითარების ხილული ანომალიები.

მიღებული მონაცემების საფუძველზე გამოითვლებოდა იმპლანტაციამდელი, იმპლანტაციის შემდგომი და ემბრიონების საერთო სიკვდილიანობის მაჩვენებელი (%) [4, 7].


**შედეგები და მათი განხილვა**

ჩატარებული კვლევის შედეგად დადგინდა იქნა, რომ Curzat R-ის შეყვანა ენტერალურად ვირთაგვების ორგანიზმში დოზით 100 მგ/კგ (1/20 LD<sub>50</sub>) გესტაციის 1-დან 20 დღემდე იწვევდა იმპლანტაციის ადგილების, ემბრიონების საერთო რაოდენობის, სიცოცხლისუნარიანი ემბრიონების და

ნორმალურად განვითარებული ემბრიონების რიცხვის სარწმუნო შეფასებას. ამასთან ერთად, აღინიშნებოდა განუვითარებელი და რეზორბციული ემბრიონების რიცხვის მომატება. აგრეთვე აღინიშნებოდა ემბრიონების განვითარების პარამეტრის - სიგრძის შემცირება. ამასთან ერთად, იმატებდა ემბრიონების საერთო (28%), იმპლანტაციამდელი (17%) და იმპლანტაციის შემდგომი (13%), სიკვდილიანობის მაჩვენებელი, საკონტროლო შესაბამისად იყო 14, 2 და 6%. დათვალიერებისას აღინიშნებოდა: საშვილოსნოს რქებში ემბრიონების არათანაბარი განაწილება, უმეტესად ცალმხრივი ჩასახვა, რეზორბცია, სისხლჩაქცევები და განვითარების შეუსაბამობა გესტაციის პერიოდთან (სურ. 1, 2), ხშირად საშვილოსნოს რქები შეშუპებულია, სისხლსავსე, ჩანასახის გარეშე ან ემბრიონი დაშლილია და გაწოვის ფაზაშია, პლაცენტა ჩირქოვანი არშითაა.




სურ. 1. თეთრი ვირთავის საშვილოსნო: გესტაციის 21-ე დღე. ორივე რქაში ჩასახული ემბრიონები, ემბრიონები რეზორბციის ფაზაში, განუვითარებელი (Curzat R-ის ზემოქმედება გესტაციის 1-20 დღემდე, დოზა 1/20 LD<sub>50</sub>)




სურ. 2. თეთრი ვირთავის საშვილოსნო: გესტაციის 21-ე დღე. რქებში ემბრიონების არათანაბარი ჩასახვა, ემბრიონების განვითარება არ შეესაბამება გესტაციის პერიოდს. ატროფირებულია საშვილოსნო მარჯვენა რქის დასაწყისში (Curzat R-ის ზემოქმედება გესტაციის 1-დან 20 დღემდე, დოზა 1/20 LD<sub>50</sub>)

Curzat R-ის დოზა 40 მგ/კგ (1/50 LD<sub>50</sub>) იწვევდა ემბრიოტოქსიკური ეფექტის შემცირებას, თუმცა ყველა შესწავლილი მანუენებლის ცვლილებების ხასიათი და ტენდენცია არ განსხვავდებოდა წინა ჯგუფისგან. ამ ჯგუფის ცხოველებში აღინიშნებოდა საშვილოსნოს რქებში არათანაბარი ჩასახვა, სისხლჩაქცევები, მაგრამ ნაკლები იყო რეზორბციის რაოდენობა და ნაყოფის განუვითარებლობის დონე (სურ. 3, 4).



სურ. 3. თეთრი ვირთაგვის საშვილოსნო: გესტაციის 21-ე დღერქებში ემბრიონების არათანაბარი ჩასახვა, ემბრიონების განვითარება არ შეესაბამება გესტაციის 21-ე დღეს (Curzat R-ის შემოქმედება გესტაციის 1-დან 20 დღემდე, დოზა 1/50 LD<sub>50</sub>)



სურ. 4. თეთრი ვირთაგვის საშვილოსნო: გესტაციის 21-ე დღერქებში ემბრიონების არათანაბარი ჩასახვა, რეზორბცია (Curzat R-ის შემოქმედება გესტაციის 1-დან 20 დღემდე, დოზა 1/50 LD<sub>50</sub>).

ამრიგად, ჩატარებული კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ კომბინირებული ფუნგიციდის Curzat R-ის შემოქმედება მდებრი თეთრი ვირთაგვების ორგანიზმზე გესტაციის 1-დან 20 დღემდე დოზებით 100 და 40 მგ/კგ (1/20 და 1/50 LD<sub>50</sub>, შესაბამისად) ახდენდა უარყოფით გავლენას ცხოველის ნაყოფიერებასა და ემბრიოგენეზის მიმდინარეობაზე. ემბრიოტოქსიკური ეფექტებიდან აღსანიშნავია იმპლანტაციის ადგილების, საკვერცხეში ყვითელი სხეულების, ემბრიონების რაოდენობის შემცირება, არათანაბარი განაწილება საშვილოსნოს რქებში, განვითარებაში ჩამორჩენა და რე-

ზორბცია. აღინიშნებოდა ემბრიონების საერთო, იმპლანტაციამდელი და იმპლანტაციის შემდგომი სიკვდილიანობის მაჩვენებლის მომატება. Curzat R-ის ემბრიოტოქსიკური ეფექტი პირდაპირ დამოკიდებულებაშია გამოყენებულ დოზასთან.

მცირე დოზის 100 მგ/კგ გამოყენების შემთხვევაში სარწმუნო ცვლილებები აღინიშნებოდა ნორმალურად განვითარებული და განუვითარებელი ემბრიონების რაოდენობის, აგრეთვე საერთო და იმპლანტაციის შემდგომი სიკვდილიანობის მაჩვენებლის მხრივ. მიღებული მონაცემების საფუძველზე მოქმედად (NOAE) უნდა ჩაითვალოს Curzat R-ის დოზა – 100 მგ/კგ, ხოლო უმოქმედოდ (NOEL) – 100 მგ/კგ-ზე მცირე დოზე.

მიღებული მონაცემები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ Curzat R-ის ზემოქმედებისას ადგილი აქვს ემბრიოტოქსიკური ეფექტის გაძლიერებას, შემადგენელი კომპონენტების სპილენძის ქლორჟანგისა და ციმოქსანილის იზოლირებულ მოქმედებასთან შედარებით. რადგან ციმოქსანილი არ ხასიათდება ემბრიოტოქსიკური ეფექტით [1], ხოლო სპილენძის ქლორჟანგის ზემოქმედებისას ანალოგიური ეფექტი მიღებულია გაცილებით მაღალი დოზის გამოყენების პირობებში [2].

## ლიტერატურა

1. ფირმა „დუ პონტ“-ის დოხიე, 2003.
2. *ღვინერია ი., ხაკაძე ვ., შიშნიაშვილი ბ.* საქ. მეცნიერებთა ეროვნული აკადემიის შობაბე, 2006, 173, 2.
3. *Бабенко Г.А.* Биологическая роль меди. М., Наука, 1970, 239 с.
4. *Гофмеклер Ж.* Гигиена и санитария, 1969, ст. 47-51.
5. *Гришь Н.В., Говорунова Н.И.* Гигиена и санитария, 1986, 8, 38-39.
6. *Коломийцева М.Г., Габович Р.Д.* Микроэлементы в медицине. М., Медицина, 1970, 287 с.
7. *Саноцкий И.В.* Медицина, 1979, сс. 20-30.
8. *Скальный А.В.* Микроэлементы в медицине, 2000.
9. *Klevay L.M. J.* Am. Coll. Nutr., 1998, 8, 322-326.
10. Toxicometry of chemical substances polluting the environment. 1986.
11. *Ferm Vergil H., Hãnlon David P.* Biol. Reprod., 1974, 1, 97-101.
12. *O'Shea K.S., Kaufman M.H.* Arch. Develop. Biol., 1970, 4, 297-308.

## РЕЗУЛЬТАТЫ ЭМБРИОТОКСИЧЕСКОГО ДЕЙСТВИЯ КОМБИНИРОВАННОГО ФУНГИЦИДА CURZAT R В ЭКСПЕРИМЕНТЕ

*Т.Ж. Ониани, И.С. Гвинерия, В.Х. Саакадзе, Д.А. Ониани*

Институт медицины труда и экологии им. Н.И. Махvilадзе; Тбилисский государственный университет им. И.А. Джавахишвили

### РЕЗЮМЕ

Проведены экспериментальные исследования по изучению эмбриотоксических свойств комбинированного медьсодержащего фунгицида Curzat-R в условиях перорального введения белым крысам.

Curzat R (хлорокись меди 689,5 г/кг + цимоксанил 42 г/кг) широко применяется в интегрированной системе защиты растений в Грузии. Это, в свою очередь, создает реальную опасность загрязнения объектов окружающей среды (вода, воздух, почва) и вредного влияния препарата на контактирующих с ними людей и животных.

В результате проведенных исследований установлено, что Curzat-R является мало-токсичным веществом III класса опасности (по классификации ВОЗ), оказывающим эмбриотоксическое действие при повторном воздействии на уровне 1/20 и 1/50 LD<sub>50</sub>.

## RESULTS OF THE EXPERIMENTAL EMBRIOTOXIC ACTION OF THE COMBINED FUNGICIDE CURZAT R

*T. Oniani, I. Gvineria, V. Saakadze, D. Oniani*

The N. Makhviladze Medical Institute of Labour and Ecology; Tbilisi Iv. Javakhishvili State University

### SUMMARY

Embryotoxic characteristics of per os administered combined copper-bearing fungicide *Curzat R* has been studied in experiments in white rats.

*Curzat R* (copper oxychloride 68,9 g/kg + cymoxanile 42 g/kg) is widely applied in the integrated protection systems for plants in Georgia. This creates an actual danger for environmental objective pollution (water, air, ground), as well as the detrimental action of this preparation on human beings and animals.

As a result of our research, the following has been ascertained: *Curzat R* is the III class risk level substance (in accordance with WHO classification), having an embryotoxic influence in case of its repeated action at the level of – 1/20 and 1/50 LD<sub>50</sub>.

## არის თუ არა შანგვითი სტრესი ტიპობრივი პათოლოგიური პროცესი?

*ვ. ყიფიანი, თ. სანიკიძე, ნინო ყიფიანი, თ. ბეტრიაშვილი,  
 ნ. ბავლიაშვილი, ნანა ყიფიანი, შ. ნამოროაძე, თ. შიშნიაშვილი*

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 03.10.2009

საკუთარი გამოკვლევების შედეგებსა და ლიტერატურის მონაცემებზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულია დებულებები ჟანგვითი სტრესის განვითარების მექანიზმის შესახებ.

ნაჩვენებია, რომ ჟანგვითი მეტაბოლიზმის დარღვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს სუბუჯრედულ დონეზე განვითარებულ პათოლოგიურ პროცესს, რომელიც ვლინდება ელექტრონების ტრანსპორტის დარღვევით მიტოქონდრიების სუნთქვითი ჯაჭვის უბისემიქინონოქსიდრედუქტაზულ უბანზე. ეს პათოლოგიური პროცესი უნდა განიხილებოდეს, როგორც ზოგადპათოლოგიური ფენომენი, რომელსაც ტიპობრივი პათოლოგიური პროცესის ხასიათი აქვს, ვინაიდან ვითარდება მექანიზმებით და გამოვლინებებით სრულიად განსხვავებული დაავადებების და პათოლოგიური პროცესების (ათეროსკლეროზი, პაროდონტიტი, შაქრიანი დიაბეტი, პეპტიკები, ჰიპერბარული ოქსიგენაციის ზემოქმედება, შოკური მდგომარეობები) დროს და საფუძვლად უდევს ჟანგვითი სტრესის ჩამოყალიბებას. აღწერილია პროოქსიდაციური პროცესების გაძლიერების, პრო- და ანტიოქსიდაციური ფაქტორების, აზოტის ოქსიდის წარმოქმნის და გარდაქმნის გზები.

სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჟანგვითი სტრესის პათოგენეზში აზოტის ოქსიდის სინთეზის და მეტაბოლიზმის დარღვევას, არარაციონალური ანტიოქსიდაციური თერაპიის გამოყენებას და “უნივერსალური” ანტიოქსიდაციური მეურნალობის გაუმართლებლობას.

**საკვანძო სიტყვები:** ოქსიდაციური სტრესი, ტიპობრივი პათოლოგიური პროცესი, აზოტის ოქსიდი

თავისუფალრადიკალური ჟანგვა ცოცხალი უჯრედებისთვის არა მარტო ნორმალური ცხოველმყოფელობის აუცილებელი პროცესი, არამედ მათი დაზიანების უნივერსალური მექანიზმიცაა [7]. მოლეკულური ჟანგბადი, როგორც ელექტრონების ტერმინალური აქცეპტორი, მრავალრიცხოვანი აერობული პროცესის გადამწყვეტი ფაქტორია [7, 21]. ჟანგბადის თავი-

სუფალი რადიკალები განუწყვეტლად წარმოიქმება ორგანიზმში აერობული მეტაბოლიზმის პროცესში.

მიტოქონდრიების ელექტრონულ სატრანსპორტო ჯაჭვში მუდმივად მიმდინარეობს ელექტრონების გადატანა მაღალენერგეტიკული სუბსტრატების და წყლის წარმოქმნით. ამავე დროს, შესაძლებელია ელექტრონების „გაჟონვა“ სუპერ-ოქსიდრადიკალების და წყალბადის ზეჟანგის წარმოქმნით. ფიზიოლოგიურ პირობებში ხდება თავისუფალი რადიკალების გენერაცია ჟანგბადის მხოლოდ 1-5%-დან.

ნორმაში აზოტის და ჟანგბადის თავისუფალი რადიკალები წარმოიქმნება ნეიტროფილების, ფაგოციტური უჯრედების ფუნქციონის პროცესში [23, 25]. მონოციტები აზოტის და ჟანგბადის თავისუფალ რადიკალებს იყენებს დაბალი სიმკვრივის ლიპოპროტეიდების ათეროგენულ ფორმად გარდასაქმნელად.

ჟანგბადის თავისუფალი რადიკალები იმ რეაქციების პროდუქტია, რომელთა კატალიზატორები ცვალებადი ვალენტობის მეტალის იონებია. სუპერ-ოქსიდრადიკალები წარმოიქმნება, აგრეთვე, კატეკოლამინების მეტაბოლიზმის, პროსტაგლანდინების სინთეზის და ა.შ. დროს. სუპეროქსიდი და აზოტის მონოოქსიდი გამოიყენება ბუნებრივი ციტოტოქსიკური რეაქციების რეალიზებისა და სისხლძარღვთა ტონუსის რეგულირებისთვის. მათ აქვთ ბაქტერიციდიული და ანტიკანცეროგენული მოქმედება [11, 12, 21].

ფიზიოლოგიურ პირობებში აზოტის ოქსიდსა და სუპეროქსიდრადიკალს შორის ბალანსის შენარჩუნება ხდება ანტიოქსიდაციური ფერმენტის – სუპერ-ოქსიდდისმუტაზას საშუალებით [18, 19, 22]. ამ ფერმენტის უკმარისობის პირობებში აზოტის ოქსიდი სწრაფად რეაგირებს სუპეროქსიდრადიკალთან და წარმოქმნის მაღალტოქსიკურ პეროქსინიტრიტს [8, 26].

თავისუფალრადიკალური ჟანგვის პოზიტიური და ნეგატიური ეფექტი დამოკიდებულია მის ინტენსივობაზე [13]. ჟანგვის დაბალი დონე ქსოვილების და უჯრედების ნორმალური ფუნქციონის აუცილებელი კომპონენტია, მაგრამ მისი უმნიშვნელო ცვლილებაც კი უკვე უჯრედული მეტაბოლიზმის დარღვევის და გენების ექსპრესიის მოდულაციის მიზეზი შეიძლება გახდეს.

რეაქციული ჟანგბადის და აზოტის ოქსიდის შემცველობის დინამიკური ცვლილება შეიძლება იყოს პოტენციური სასიგნალო მექანიზმი, რომელიც არეგულირებს ჟანგვა-აღდგენითი პროცესების მიმართ მგრამნობიარე გენების ექსპრესიას და აქტივაციას [24], ტრანსკრიპციულ ფაქტორებს (NFκB) [25], აპოპტოზის სასიგნალო მოლეკულებს, ანთებითი ციტოკინების და პროტეინების პოსტტრანსკრიპციულ მოდიფიკაციას [14].

შიგაუჯრედული რედოქს-სტატუსი რეგულირებადი სისტემაა. ცოცხალი აერობული ორგანიზმები აღჭურვილია ცხოველმყოფელობის პროცესში გამომუშავებული ჟანგვითი მეტაბოლიზმის მართვის და მისი წონასწორობის შემანარჩუნებელი ადაპტაციური მექანიზმებით. ფიზიოლოგიურ პირობებში თავისუფალი რადიკალების წარმოქმნასა და ანტირადიკალური დაცვის სისტემებს შორის არსებობს გარკვეული ბალანსი. მისი დარღვევა და უჯრედებში ჟანგვითი პროცესების ინტენსივობის მკვეთრი

მატება ჟანგვითი სტრესის ჩამოყალიბებას იწვევს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ღწმ-ის და პროტეინების დაზიანების, ლიპიდების ზეჟანგური ჟანგვის ინტენსიფიკაციის მიზეზი ხდება.

ჩვენ მიერ მდიდარი მასალა მოპოვებული სხვადასხვა დაავადების თუ პათოლოგიური პროცესის დროს ჟანგვითი სტრესის განვითარების შესახებ [1-5, 10, 15-17, 20]. ჩვენი გამოკვლევების მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჟანგვითი სტრესი დიდ როლს ასრულებს ათეროსკლეროზის, პაროდონტიტის, შაქრიანი დიაბეტის, ჰეპატიტების, შოკური მდგომარეობების, ქირურგიული ჩარევით გართულებული მოოკარდიუმის დაზიანების ზოგადპათოლოგიურ მექანიზმებში. დადგენილია ჟანგვითი სტრესის განვითარება ჰიპერბარული ოქსიგენაციის პირობებშიც.

ზემოაღნიშნული დაავადებების და პათოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას ჟანგვითი სტრესის განვითარების მექანიზმი და მნიშვნელობა დეტალურადაა განხილული და წარმოდგენილი შესაბამის სტატიებსა და მონოგრაფიებში. წინამდებარე სტატიაში კი შევეცადეთ გადმოგვეცა ამ პრობლემის ზოგადპათოლოგიური ასპექტები და იმ დაავადებების მეკურნალობის სტრატეგია, რომელთა პათოგენეზში ჟანგვითი სტრესი მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

საკუთარი გამოკვლევების და ლიტერატურის მონაცემების ანალიზის საფუძველზე [1-5, 9, 10, 15-17, 20, 6-8, 12-14, 18, 19, 21-26], ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა დებულებები ჟანგვითი მეტაბოლიზმის დარღვევის მექანიზმების შესახებ, რომელთაც ქვემოთ წარმოვადგენთ.

1. ჟანგვითი მეტაბოლიზმის დარღვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიტოქონდრიული ელექტრონული სატრანსპორტო ჯაჭვის დაზიანება. სხვადასხვა გენეზის პათოლოგიური პროცესებისას ირღვევა ფერმენტული სისტემის – NAD-H-უბიქინონოქსიდრედუქტაზას ფუნქციონება. დადგენილია, რომ სუნთქვითი ჯაჭვის სწორედ ეს მონაკვეთია ყველაზე მოწყვლადი და მისი დაზიანება ზოგადპათოლოგიური ხასიათისაა: ელექტრონების ტრანსპორტის დარღვევა NAD-H-უბიქინონოქსიდრედუქტაზულ უბანზე სუბუჯრედულ დონეზე მიმდინარე ტიპობრივი პათოლოგიური პროცესია.

2. ჟანგვითი სტრესი შეიძლება განვითარდეს ჟანგბადის როგორც სიჭარბის, ისე მისი ნაკლებობის დროს. ამ აირის დეფიციტისას მიტოქონდრიული მეტაბოლიზმის ჰიპოქსიური რეჟიმი განაპირობებს ენერგოპროდუქციული პროცესების ინტენსივობის დაქვეითებას და რეაქციული ჟანგბადის გენერატორების – ქსანტინოქსიდაზას, უბისემიქინონების, Mn<sup>2+</sup>-იონების დაგროვებას. ჟანგბადის სიჭარბისას კი ჟანგვითი სტრესის განვითარება დაკავშირებულია ჟანგბადის გამოყენების უნარის შეზღუდვასა და ანტიოქსიდაციური პროცესების დაქვეითებასთან.

3. პათოლოგიური პროცესების განვითარებისას ხშირად ძლიერდება აზოტის ოქსიდის სინთეზი, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია NOS აქტივაციითა და iNOS-ის ექსპრესიის გაძლიერებით. პროცესის ქრონიზებისას სისხლში დაფიქსირებული NO-ს შემცველობის დაქვეითება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა ფაქტორით (მაგალითად, ქოლე-

სტეროლით) iNOS-ის ინჰიბირებით ან ფერმენტ ტექრაჰიდროპტერინის დაჟანგვით, სუპეროქსიდრადიკალების სიჭარბით ან ანტიოქსიდაციური სისტემის დეპრესიით გამოწვეული NO-ს გარდაქმნით პეროქსინიტრიტად, აზოტის ოქსიდის სუბსტრატის L-არგინინის დეფიციტით, NO-ს ნიტრო-ზილირებით მიტოქონდრიული სუნთქვის მოშლისას.

4. დარღვეული მეტაბოლიზმის მუავე პროდუქტების დაგროვება და აციდოზის განვითარება ჰემოგლობინის ჟანგბადთან დაკავშირების დაქვეითებასთან ერთად კიდევ უფრო აღრმავებს ქსოვილურ ჰიპოქსიას ჟანგბადის ნორმალური შემცველობის პირობებშიც კი, შემდგომ კი ხელს უწყობს სისხლში  $pO_2$ -ის მატებას და ჟანგბადის რეაქციული ფორმების გენერაციის გაძლიერებას.

5. დეოქსიჰემოგლობინის დაგროვება აძლიერებს ჰემოგლობინის ნიტროზილირებას, რაც კიდევ უფრო აუარესებს ქსოვილების ჟანგბადით მომარაგებას, ზღუდავს აზოტის ოქსიდის პოტენციურ ანტიოქსიდაციურ ეფექტს, იწვევს თავისუფალრადიკალური პროცესების გაძლიერებას და პათოლოგიური პროცესის მიმდინარეობის გაღრმავებას.

6. მიუხედავად ანტიოქსიდანტების ქსოვილებთან შეთავსებადობის მიხედვით კლასიფიცირებისა, ეჭვს არ იწვევს უნივერსალური ანტიოქსიდაციური მკურნალობის შეუძლებლობა – არსებობს მხოლოდ ისეთი სუბსტანციები, რომლებიც მიმართულია ცალკეული თავისუფალი რადიკალის წინააღმდეგ და იცავენ უჯრედს ან მოლეკულას მისი მოქმედებისგან.

7. შესაძლებელია ზოგიერთი ანტიოქსიდანტის პროოქსიდანტად გარდაქმნა სხვა ანტიოქსიდანტებთან მათი კომპლექსურად გამოყენებისას. ასეთ შემთხვევაში ანტიოქსიდანტები გარდაიქმნება თავისუფალი რადიკალების წყაროდ.

8. გასათვალისწინებელია რა სხვადასხვა დაავადების პათოგენეზში ჟანგვითი სტრესის მრავალმხრივი და სხვადასხვაგვარი მნიშვნელობა და, ზოგ შემთხვევაში, ანტიოქსიდანტების გაუთვალისწინებელი ნეგატიური მოქმედება, სამკურნალო მიზნით ანტიოქსიდანტების გამოყენება საჭიროებს ზედმიწევნით დიდ სიფრთხილეს. ჟანგვითი სტრესის ინტენსიფიკაციის პათოფიზიოლოგიური მექანიზმების განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს უჯრედებში მიტოქონდრიული ელექტრონული სატრანსპორტო ჯაჭვის და ჟანგვითი ფოსფორილირების ურთიერთდამოკიდებულება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილია, რომ ზოგიერთი პათოლოგიური პროცესისას ორგანიზმში ჟანგვითი პროცესების რეგულირების მიზნით ანტიოქსიდანტებთან ერთად გამოყენებული იქნას ისეთი მეტბრანმარტექტირებელი, რომელიც ხელს შეუწყობს მიტოქონდრიული სუნთქვითი ჯაჭვის ფუნქციონის სტაბილიზებას და, შესაბამისად, ქსოვილებში ჟანგვითი მეტაბოლიზმის ნორმალიზებას.

მივინვეთ, რომ სუბუჯრედული ორგანელების, უჯრედების, ქსოვილების და მთელი ორგანიზმის რედოქს-სტატუსის სტაბილიზება უზრუნველყოფს აზოტის ოქსიდის სინთეზის და მეტაბოლიზმის სტაბილიზებას, რედოქს-სტატუსის წონასწორობის და ჟანგვითი მეტაბოლიზმის მართვის ადაპტაციური მექანიზმების რეგულირებას.

## ლიტერატურა

1. *Бахуташиვილი З.В., Датунашвили И.В., Саникидзе Т.В., Бахуташиვილი В.И.* Georgian Medical News, 2004, 11, 68-72.
2. *Джавახишვილი Н., Цагарели З., Саникидзе Т., Мачавარიანი М., Бахуташиვილი З., Энукидзе М., Харებაва Г.* Эксперимент. и клин. медицина, 2001, 6, 11-14.
3. *Накашидзе И., Чиковани Т., Саникидзе Т., Бахуташиვილი В.* Анестезиология и реаниматология, 2003, 5, 22-25.
4. *Кипиани Н.В.* Изменения мембран эритроцитов при пародонтите. Международный конгресс стоматологов, Тб., 2000, 331-332.
5. *Пахлиашиვილი Н.С., Сохадзе Э.Г., Петриашиვილი Т.Г.* Georgian Medical News, 1999, 3, 20-21.
6. *Bai J., Rodriguez A.M., Melendez J.A., Cederbraum A.I.* J. Biol. Chem., 1999, 274, 263-217.
7. *Beyer R.E.* Biochem. Cell Biol., 1992, 70, 390.
8. *Bringold U., Ghafourifar P., Richter C.* Free Rad. Biol. Med., 2000, 29, 343.
9. *Chavchanidze D., Sanikidze T., Bakhutashvili V., Managadze L.* Bull. Georgian Acad. Sci., 1998, 158, 332-335.
10. *Delibashvili D.* Annals of Biomedical Research and Education, 2002, 2, 145-148.
11. *Druge W.* Physiol. Rev., 2002, 82, 47-95.
12. *Dubacq C., Chevalier A., Courbeyrette R., Petat C., Gidrol X., Mann C.* Mol. Genet. Genomics, 2005, 3, 1-11 [Epub ahead of print].
13. *Finkel T.* FEBS Let., 2000, 176, 52.
14. *Ghibelli L., Fanelli C., Rutilio G., Lafavia E., Coppola S., Cohassi C., Civitareale P., Ciriolo M.R.* FASEB J., 1998, 12, 479.
15. *Kakulia S., Antelava A., Antelava N., Gongadze M., Sanikidze T.* XI-th International Conference "Magnetic resonance in chemistry and biology". – Chernogolovka, 2001, 175.
16. *Kipiani N.V.* Proc. Georgian Acad. Biol. Seg., 1999, 25, 1-3, 77-81.
17. *Lezhava G., Todadze Kh., Mikeladze D., Sanikidze T.* Innovative Strategien in der Therapie psychiatrischer Erkrankungen. Postdam, 2000, p. 54.
18. *Michiels C., Raes M., Toussaint O., Remacle J.* Free Rad. Biol. Med., 1994, 17, 235.
19. *Murphy T.H., De Long M.J., Coyle J.T.* J. Neurochem., 1991, 56, 990.
20. *Namoradze M., Chelidze N., Katsadze M.* Changes in EPR centers of different organs during the Hyperbaric oxygenation. International Congress of Pathophysiology, Lahti, 1998, 117.
21. *Nathan C.* J. Clin. Invest., 1997, 100, 24-17.
22. *Paker M.A., Porteous C.M., Murphy M.P.* Biochem. Mol. Biol. Int., 1996, 40, 527.
23. *Tammariello S.P., Quinn M.T., Estus S.* J. Neurosci., 2000, 20, 53.
24. *Tomita M., Okuyama T., Katsuyama H., Hidaka K., Otsuki T., Ishikawa T.* Int. J. Mol. Med., 2006, 17 (1), 37-44.
25. *Wu Y., Cui J., Bao X., Chan S., Young D.O., Liu D., Shen P.* Int. J. Mol. Med., 2006, 17 (1), 141-50.
26. *Zhang X., Sharma R.K., Agarwal A., Falcone T. J.* Assist. Reprod. Genet., 2005, 22 (11-12), 415-417.

## ЯВЛЯЕТСЯ ЛИ ОКИСЛИТЕЛЬНЫЙ СТРЕСС ТИПОВЫМ ПАТОЛОГИЧЕСКИМ ПРОЦЕССОМ?

*В.А. Кипиани, Т.В. Саникидзе, Нино В. Кипиани, Т.Г. Петриашвили,  
Н.С. Павлиашвили, Нана В. Кипиани, М.Ш. Наморадзе, Т.Э. Шишниашвили*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

На основании анализа результатов собственных исследований и данных литературны, сформулированы положения о механизмах развития окислительного стресса.

Показано, что в нарушении окислительного метаболизма весьма важную роль играет патологический процесс, развившийся на субклеточном уровне – нарушение транспорта электронов на убихинооксидредуктазном участке дыхательной цепи митохондрий, которое, видимо, является типическим, так как развивается при совершенно различных по механизму и проявлениям заболеваниях и патологических процессах (атеросклероз, пародонтит, сахарный диабет, гепатит, гипербарическая оксигенация и шоковые состояния). Отмеченный типический патологический процесс следует рассматривать как общепатологический феномен, лежащий в основе окислительного стресса. Описаны пути и механизмы усиления пероксидационных процессов, изменения про- и антиоксидантных факторов, образования и превращения NO.

Особое внимание уделяется изменениям синтеза и метаболизма оксида азота в патогенезе оксидационного стресса, нерациональному применению антиоксидантной терапии и неоправданности “универсального” антиоксидантного лечения.

## IS OXYDATIVE STRESS A TYPICAL PATHOLOGICAL PROCESS?

*V. Kipiani, T. Sanikidze, Nino Kipiani, N. Pavliashvili, T. Petriashvili,  
Nana Kipiani, M. Namoradze, T. Shishniashvili*

Department of Pathophysiology, Tbilisi State Medical University

### SUMMARY

It was shown that disorders of oxidative metabolism play an important role in the pathological processes which was developed at subcellular level – disorder of electron transport at ubiquinonoxidoreductase locus of respiratory chain in mitochondria. The latter could be discussed as common pathological phenomenon characterized to be as a typical pathological process progressing by mechanisms and signs at different diseases and pathological processes (atherosclerosis, parodontitis, diabetes mellitus, hepatitis, influence of hyperbaric oxygenation, shocks) and is considered to be the basis for development of oxidative stress. The ways and mechanisms of disorders of NO synthesis and conversion were detected.

The special attention was given to the disturbance of NO synthesis and metabolism in pathogenesis of oxidative stress, using the irrational antioxidative therapy and unreasonable “universal” antioxidative treatment.

## აპოპტოზის როლი ვირუსული ჰეპატიტების განვითარებაში

ნინო ყიფიანი, მ. თოფურია, ნანა ყიფიანი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

მიღებულია 21.11.2009

შემოთავაზებულ მიმოხილვაში ჰეპატოციტების აპოპტოზი წარმოდგენილია, როგორც ღვიძლის უნივერსალური პასუხი, დაცვითი რეაქცია დაზიანებაზე, მათ შორის – ვირუსულზე, რომელიც ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღვიძლის დაავადებათა მექანიზმში. ჰეპატოციტების აპოპტოზი შეიძლება გამოწვეული იყოს ჰეპატოტროპული ვირუსის როგორც პირდაპირი მოქმედებით, ისე მის მიერ პროვოცირებული იმუნური რეაქციით. ვირუსების პირდაპირი ზეგავლენით აპოპტოზის განვითარების გზები განსხვავებულია, მოიცავს მინიმუმ ორ მექანიზმს: 1. ვირუსის რეპლიკაციის პროცესში სპეციფიკური ცილების – B ვირუსის X პროტეინის და C ვირუსის cor-პროტეინის წარმოქმნა; 2. ჰეპატოციტების მემბრანაზე ამ პროცესის ინდუქციის გადაცემაში რეცეპტორების ზეექსპრესია, მაგალითად, Fas-რეცეპტორებისა და უჯრედების მგრძობელობის მომატება პროაპოპტოზური სტიმულებისადმი, კერძოდ – TNF-ისადმი. იმუნური რეაქციით პროვოცირებული აპოპტოზისას T-ლიმფოციტებს პროცესის გამოწვევა ძალუბთ ასევე ორი გზით: 1. T-უჯრედებიდან პერფორინების გამოსროლით, რომელიც ქმნიან ფორებს ჰეპატოციტების პლაზმურ მემბრანაში და მათი საშუალებით უჯრედებში შედის პროტეაზების შემცველი გრანზიმები; 2. პროტეაზების მიერ უჯრედშიგა ფერმენტების, მათ შორის – კასპაზების, დაშლა, რაც ბიძგს აძლევს აპოპტოზურ კასკადს. სტატიაში განხილულია მოყვანილ პროცესთა მოლეკულური მექანიზმებიც.

საკვანძო სიტყვები: აპოპტოზი, ვირუსული ჰეპატიტი, კასპაზები, T-ლიმფოციტები

აპოპტოზი ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს როგორც ორგანიზმის ნორმალური ზრდა-განვითარების და ფუნქციონის პროცესში, ისე მრავალი და სრულიად განსხვავებული ბუნების დაავადების დროს [1, 4, 7, 10, 12, 14, 33, 38, 41]. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ამ პროცესის მნიშვნელობა ვირუსული ჰეპატიტებისთვის, მით უფრო, რომ ჰეპატოციტების აპოპტოზის მოლეკულურ-ბიოქიმიურ შემადგენლებს ახასიათებს თავისებურებები, რომლების მექანიზმი ჯერ მთლიანად ნათელი არ არის.

წარმოდგენა აპოპტოზის შესახებ სწორედ ღვიძლზე დაკვირვების შე-

დეგად აღმოცენდა – კარის ვენის გადაკანძვის შედეგად განვითარებული ღვიძლის ატროფიის დროს კერმა (Kerr J.F.R., 1965) დაადგინა უჯრედების ლისკრეტული, საფეხურებრივი ნეკროზი. უფრო გვიან (1971) მან ამ პროცესს პირველმა უწოდა “აპოპტოზი”. ტერმინი 1972 წლიდან მკვიდრად დაფიქსირდა სპეციალურ ლიტერატურაში [21]. დღეს ცნობილია, რომ აპოპტოზი ნორმაში აღმოცენდება იმ ჰეპატოციტებში, რომლებიც განლაგებულია ცენტრალური ვენის ირგვლივ. ადამიანში აპოპტოზის ნიშნები აქვს ამ ლოკალიზების უჯრედების 80%-ს, ვირთაგვებში – 85%-ს [8]. აპოპტოზის ასეთ ტოპოგრაფიას განიხილავენ, როგორც “მდინარი ღვიძლის” ცნობილი კონცეფციის დადასტურებას [9], რომლის მიხედვით პერიორტულ ზონაში გაყოფის გზით წარმოქმნილი უჯრედები მოძრაობს პერიცენტრალური ზონისკენ, სადაც ნადგურდება [38].

მიუხედავად იმისა, რომ ნორმაში აპოპტოზურად შეცვლილი ჰეპატოციტების რიცხვი (1:2000) მცირეა, მათი რაოდენობა საკმარისია იმ საკმაოდ დაბალი მიტოზური აქტიურობის გასაწონასწორებლად, რომელიც ჯანმრთელი ღვიძლის ჰეპატოციტებს აქვს.

ჰეპატიტის მრავალი ფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი სადიაგნოზო და პროგნოზული ნიშანია პარენქიმის კვდომა, რომელიც, ამავე დროს, მნიშვნელოვნად განსხვავდება ნეკროზის იმ ტიპობრივი ნიშნებისგან, რომელიც აღინიშნება სხვა ორგანოებში. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ღვიძლში არ ვლინდება ნეკროზული ჰეპატოციტები, ჩანს მხოლოდ ღვიძლის წილაკების მონაკვეთები, ჩანაცვლებული მონონუკლეური ინფილტრატებით. მეორე თავისებურებაა პოლიმორფულბირთვიანი ლეიკოციტების არარსებობა (მწვავე ალკოჰოლური ჰეპატიტის გარდა) – ასეთი ლეიკოციტების სიჭარბე ნეკროზზე სტერეოტიპული რეაქციაა ყველა ქსოვილში. შესაბამისად, ღვიძლის ქრო-ნიკული, მათ შორის – ვირუსული დაზიანების დროს, უჯრედის კვდომის ძირითადი მექანიზმი აპოპტოზია. ამ ფენომენის აღმოჩენამდე მრავალი წლით ადრე აღწერილი იქნა ვირუსული ჰეპატიტის დამახასიათებელი ჰისტოლოგიური ნიშანი – მრავალი ფორმის ჰომოგენური ეოზინოფილური წარმონაქმნები, ხშირად – პიკნოზური ბირთვით. ეს აპოპტოზის მდგომარეობაში მყოფი ჰეპატოციტები [2], ე.წ. კაუნსილმანის სხეულაკებია.

აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელ ღვიძლში სინუსოიდების NK- და CD8-T ლიმფოციტები შეიცავს პერიფერიულ უჯრედებთან შედარებით მეტ IL-15, IL-18, TNF-a-ს, რაც მოწმობს ჰეპატოციტების მაღალ მზაობას აპოპტოზისთვის მათი ცვლილებების, მაგალითად, ვირუსით ინფიცირების დროს [20].

აპოპტოზის ფენომენის დადგენამ აუცილებელი გახადა ქრონიკული და მწვავე ვირუსული ჰეპატიტების პათოგენეზის შესახებ არსებული ცოდნის ძირეული გადახედვა. დღეს დომინირებს აზრი, რომ ჰეპატოციტების კვდომის ძირითადი მექანიზმი ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტების დროს აპოპტოზია [3, 12]. ცხადი გახდა, რომ: 1. B და C ვირუსული ჰეპატიტებით დაავადებულებს აპოპტოზური ჰეპატოციტების რაოდენობა ბევრად მეტი აქვთ, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანებს; 2. Fas-R-ის ექსპრესია ბევრად მაღა-

ლია B და C ვირუსებით ინფიცირებული ჰეპატოციტების მეტაბოლიზმზე; 3. Fas-ანტიგენის ექსპრესია კორელირებს ღვიძლის ანთების ხარისხთან; 4. ფულმინანტური ჰეპატიტი ხასიათდება ჰეპატოციტების ძალზე ინტენსიური აპოპტოზით.

ბოლო წლებში გამოქვეყნებული ნაშრომები მეტყველებს, რომ აპოპტოზი უნივერსალური პასუხია ღვიძლის დაზიანებაზე, მათ შორის – ვირუსულზე. ის დაცვითი რეაქციაა ვირუსით ინფიცირებაზე და ფრიად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ღვიძლის ამ გენეზის დაზიანების განვითარების და მისი ქრონიზების მექანიზმში, თუმცა ნახსენები მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასარკვევი და პრობლემის ინტენსიური კვლევა გრძელდება. მაგრამ უკვე დღეს შეიძლება მეტ-ნაკლები სისრულით და სიზუსტით გაანალიზდეს ვირუსული ეტიოტროპული ფაქტორის, ავადმყოფობის კლინიკური მიმდინარეობის და აპოპტოზური აქტიურობის ურთიერთკავშირი.

არსებული მონაცემებით, ვირუსებს აქვს აპოპტოზის როგორც გაძლიერების, ისე ბლოკირების უნარი. ასეთ უნარს უზრუნველყოფს შემოქმედება აპოპტოზის განსაზღვრულ კრიტიკულ ეტაპზე მისი აქტივაციით ან ინჰიბირებით, მაგალითად, Fas-R-რეცეპტორების ბლოკირება ინფიცირებული უჯრედის ზედაპირზე. ვირუსული ჰეპატიტების დროს აპოპტოზი შეიძლება გამოწვეული იყოს ვირუსის როგორც პირდაპირი მოქმედებით, ისე მის მიერ პროვოცირებული იმუნური რეაქციით.

დღეისთვის ცნობილია მინიმუმ ორი მექანიზმი, რომელთა საშუალებით B და C ჰეპატიტის ვირუსები პირდაპირ ინიცირებას უწევს აპოპტოზს. ერთი მათგანის არსია ვირუსის რეპლიკაციის პროცესში სპეციფიკური ცილების – B ვირუსის X-ცილის და C ვირუსის Cor-ცილების წარმოქმნა [17, 22, 35]. B და C ჰეპატიტის ვირუსების მიერ აპოპტოზის პირდაპირი ინიცირების მეორე გზაა ჰეპატოციტების მეტაბოლიზმზე ამ პროცესის ინდუქციის გადამცემი რეცეპტორების ზეექსპრესია, მაგალითად, Fas-რეცეპტორებისა (Fas-R, APO -1/CD95) და უჯრედების მგრძობიანობის მომატება პროაპოპტოზური სტიმულებისადმი, კერძოდ TNF-ისადმი [34].

სხვადასხვა ვირუსით (A, B, C) გამოწვეული ჰეპატიტის კლინიკური სურათი განსხვავებულია. ვირუსის მოხვედრა უჯრედში არღვევს აპოპტოზის ნორმალურ რეგულაციას. ზოგ ვირუსს ძალუძს ინფიცირებული უჯრედის აპოპტოზის შეკავება Bcl-2-ის გენის ჰომოლოგის გამოყენებით, რომელსაც ვირუსის გენომი შეიცავს. სხვა ვირუსებს აქვს Bcl-2-ის ნატიური გენის აქტიური ინდუქციის უნარი. მაგალითად, აპოპტოზის უშუალოდ ბლოკირების უნარი აქვს ადენოვირუსის E1A ცილას და სხვ.

A ჰეპატიტის ვირუსის გენომი ლოკალიზდება ჰეპატოციტის ციტოპლაზმაში და ახასიათებს პირდაპირი ციტოტროპული ეფექტი, მაგრამ უჯრედის დესტრუქციის გარეშე. ვირუსის რეპლიკაცია ჰეპატოციტში არღვევს უჯრედის მეტაბოლიზმს, აძლიერებს ლიპიდების სეჟანგურ ჟანგვას, ზრდის უჯრედის მემბრანების განვლადობას, აზიანებს ლიზოსომებს, არღვევს ენერგეტიკულ ცვლას. ხდება ვირუსის გავლენით და-

ზიანებული ჰეპატოციტების აპოპტოზი, მიმდინარეობს ინფიცირებული ჰეპატოციტების ადეკვატური განადგურება. ამიტომ, A ჰეპატიტის მიმდინარეობა, ჩვეულებრივ, კეთილსაიმედოა. თუმცა, არსებობს მონაცემები A ჰეპატიტის ვირუსის მიერ ჰეპატოციტების აპოპტოზის დათრგუნვის შესაძლებლობის შესახებაც.

C ჰეპატიტის ვირუსი უფრო მაღალი ციტოტოქსიკურობით ხასიათდება. ინფიცირებული ჰეპატოციტების აპოპტოზი მეტად ინტენსიურია, ღვიძლში ჩნდება ნეკროზის კერები. პროცესის ქრონიზების შემთხვევაშიც კი უჯრედის სიკვდილის პროგრამა ხშირად არ იცვლება.

C ჰეპატიტის ვირუსის მიერ Fas-რეცეპტორის ექპრესიის შემდგომი ჰეპატოციტის შემდგომი აპოპტოზის შესახებ მეტყველებს ის ფაქტი, რომ წარმატებული მკურნალობის შემდეგ Fas-დადებითი უჯრედების რაოდენობა მკვეთრად მცირდება და კორელირებს ტრანსამინაზების აქტიურობის დაქვეითებასთან [33].

B ჰეპატიტის ორსპირალიანი ღმ-ის მქონე სფეროსებური ვირუსის გარსი ორსპირალია. მის გარე ლიპოპროტეინულ ფენაში, რომელიც ინფიცირებული ჰეპატოციტის ციტოპლაზმაში თავსდება, “ჩაშენებულია” ზედაპირული ანტიგენის (BsAg) მოლეკულები. ვირუსის შიგა გარსი, რომელიც განჭოლავს ჰეპატოციტის ბირთვს, შეიცავს ნუკლეოკაპსიდის შიგა ანტიგენს. თავისი ჰეპატიტის მაგალითზე ნაჩვენებია, რომ HBsAg შეიძლება არაპირდაპირ ტოქსიკურ მოქმედებას იწვევს ჰეპატოციტის მიმართ, რადგან ამ უჯრედის მიმართ T-ლიმფოციტების აგრესიის გამოწვევი სიგნალია. შემდგომში მწვავე B ჰეპატიტის კლინიკური სურათი დამოკიდებულია ამ ურთიერთობის ინტენსიუობაზე. ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტები ხელს უწყობს ჰეპატოციტებში სხვადასხვა სინქარის და ინტენსიუობის აპოპტოზის განვითარებას (იხ. ქვემოთ). ეს ლიმფოციტები აპოპტოზს იწვევს უჯრედებზე უშუალო ზემოქმედებით და  $\gamma$ -ინტერფერონის გამოთავისუფლებით, რომელიც პროაპოპტოზურ და ჰეპატოტოქსიკურ მოქმედებას იწვეს.

B ჰეპატიტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ვირუსი უშუალოდ ციტოპათიურ ეფექტს არ ახდენს, ღვიძლზე მისი დამაზიანებელი მოქმედება იმუნურადაა პირობადებული. HBV ინფექცია განიხილება, როგორც თანმიმდევრული იმუნოპათოლოგიური რეაქციების საწყისი მქანისში, ბიძგი.

B და C ჰეპატიტის ვირუსები სხვადასხვა სიტუაციაში იწენს როგორც პრო-, ისე ანტიაპოპტოზურ ეფექტს. ნაჩვენებია HBV და HCV ვირუსების მიერ ჰეპატოციტების აპოპტოზის ინჰიბირება პროაპოპტოზური ცილის p53-ის და კასპაზების დათრგუნვით, აპოპტოზის ინჰიბიტორების Bcl-2-ოჯახის ექსპრესიის გაძლიერებით [13, 45]. მაგალითად, ცნობილია, რომ HCV-ის ცილა იწვევს ინფიცირებული უჯრედის აპოპტოზის დაბრკოლებას, რითაც ხელს უწყობს სიმსივნეების განვითარებას.

იმის გამო, რომ არ არის კორელაცია ვირუსის კონცენტრაციასა (ვირემიის ხარისხს) და ღვიძლის მდგომარეობის მარკერების (ჰისტოლოგია,

ტრანსამინაზების აქტიურობა) ცვლილებებს შორის, ჰეპატოლოგთა ნაწილი ეჭვს გამოთქვავს C და, განსაკუთრებით, B ჰეპატიტის ვირუსის ციტოპათიური აქტიურობის როლის შესახებ ლეიძლის მძიმე დაზიანებაში [14]. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ლეიძლის დაზიანების გზა ჰეპატიტების დროს, ძირითადად, აპოპტოზია, რომელიც არ აზიანებს უჯრედის მემბრანას და არ იწვევს ტრანსამინაზების გათავისუფლებას, შემოსენებული კორელაციური კავშირის არარსებობა ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს. შესაბამისად, აპოპტოზის როლის უარყოფა ჰეპატიტების პათოგენეზში უსაფუძვლოა.

აპოპტოზის პირველი სტადია ლიგანდ-რეცეპტორული ურთიერთქმედებაა. ჰეპატოციტებს აქვს „სიკვდილის რეცეპტორები“: Fas რეცეპტორი (Fas-R), TNF-R1, TNF-R2, „სიკვდილის რეცეპტორი-3“ (DR-3) და ოთხი ე.წ. TNF-ასოცირებული აპოპტოზმინდუცირებელი ლიგანდ-რეცეპტორი [15]. მათგან უკეთაა შესწავლილი Fas-R და TNF-R1. Fas-R-ის ექსპრესია მნიშვნელოვნადაა მომატებული B და C ვირუსით ინდუცირებული ჰეპატიტების შემბრანაზე. როგორც ჩანს, ციტოკინები ასტიმულირებს Fas-ლიგანდის (Fas-L) მოლეკულების რაოდენობის ზრდას T- და NK-ლიმფოციტებზე.

Fas-R-ის შეკავშირება იწვევს მის ოლიგომერიზებას და ადაპტორული FADD ცილის აქტივაციას, რასაც მოყვება სპეციფიკური პროტეოლიზური ფერმენტის – კასპაზა 8-ის აქტივაცია. ეს საფეხურებრივი პროცესია ლეიძლის უჯრედების როგორც ფიზიოლოგიური, ისე პათოლოგიური აპოპტოზის ძირითადი მექანიზმი. ექსპერიმენტში ვირთაგვებზე კასპაზების აქტიურობის დათრგუნვა ამცირებს ჰეპატოციტების აპოპტოზს, მაგრამ მის პარალელურად მატულობდა ამ უჯრედების ნეკროზის გზით დაღუპვა.

უჯრედშიგა დომენი TNF-R1 ინტენსიურად ექსპრესირდება ჰეპატოციტებზე და კუბფერის უჯრედებზე. ეს პროცესი მკვეთრად ინტენსიური ხდება ნებისმიერი ფორმის ჰეპატიტისა. B ჰეპატიტის ვირუსი იწვევს ჰეპატოციტების კულტურის სენსიბილიზებას TNF-a-ინდუცირებული ციტოტოქსიკურობის მიმართ [40].

TNF-α-ს და TNF-R1-ის შეკავშირებით ინდუცირებული აპოპტოზი, Fas-R – Fas-ის ურთიერთქმედების მსგავსად, მოითხოვს რეცეპტორის ოლიგომერიზებას და შეიძლება განვითარდეს FADD-კასპაზა-8-ის გზით, ან მსგავსი ცილით – TRAAD. საყურადღებოა, რომ უკანასკნელის ჰიპერექსპრესია არა მარტო ბიძგს აძლევს აპოპტოზს, არამედ ააქტივებს ბირთვულ ფაქტორ NFKB-საც, რომელიც იწვევს უჯრედის TNF – ინდუცირებულ სიკვდილს.

ჰეპატოტროპული ვირუსებით ინფიცირებისას უფრო ხშირად აპოპტოზის მიხეზია არა მათი ციტოტოქსიკური ეფექტი, არამედ NK- და T-ლიმფოციტების იმუნური რეაქცია ინფიცირებული ჰეპატოციტების ზედაპირზე მყოფ ვირუსულ ანტიგენებზე.

ამრიგად, ჰეპატოგენური ვირუსების მიერ ჰეპატოციტების აპოპტოზის პირდაპირი და არაპირდაპირი გზით გამოწვევის გარდა, არსებობს ამ უჯრედთა აპოპტოზის კიდევ ერთი – იმუნური გზა, რომელშიც უმნიშვნელოვანესია ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტების და NK-უჯრედების როლი [20, 27, 28].

ღვიძლის უჯრედის იმუნური დაზიანება ქრონიკული ვირუსული დაავადებების დროს პირობადებულია მათში ვირუსების ანტიგენების შემცველობით ან/და უჯრედის ტრანსფორმაციით ღვიძლის აუტოანტიგენების მოქმედების შედეგად, რომლებსაც მიეკუთვნება HBV-ის ბირთვისმიერი HBeAg და ზედაპირული ანტიგენი (HBsAg). ჰეპატოციტების იმუნური ციტოლიზის რეალიზება ხდება დაყოფნებული ჰიპერმგრძობელობის სახით. T-ქილერების ლიმფოტოქსიკური აქტიურობა მიმართულია HBeAg-ის წინააღმდეგ. HBsAg-პოზიტიური ჰეპატოციტები, ჩვეულებრივ, გარშემორტყმულია CD8+ ლიმფოციტებით, რომლებიც ასდენენ ინფიცირებული უჯრედების ფოკალურ ნეკროსს.

ითვლება, რომ ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტები, ერთი მხრივ, იწვევენ ინფიცირებული უჯრედების აპოპტოზს, მეორე მხრივ კი, მოქმედებს უჯრედში ვირუსის ტრანსკრიპციის და რეპლიკაციის პროცესებზე, ასტიმულირებენ რა ციტოკინების, მაგალითად, ინტერფერონის, TNF- $\alpha$ -ს და სხვ. სეკრეციას [26], რომელთა მიმართ ინფიცირებული უჯრედების მგრძობელობა მომატებულია [40, 41].

ფიქრობენ, რომ ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტები ინფიცირებულ უჯრედებში აპოპტოზს ორი გზით იწვევენ: პირველი გზაა გრანზიმების მოქმედება, მეორე გზა – Fas-რეცეპტორების ექსპრესია ინფიცირებული უჯრედების მემბრანაზე. ჰეპატოციტების აპოპტოზის და T-ლიმფოციტების ციტოტოქსიკურობის საერთო მედიატორია TNF- $\gamma$ .

T-ლიმფოციტებს აპოპტოზის გამოწვევა ძალუძთ ორი გზით. პირველის რეალიზება ხდება T-უჯრედებიდან პერფორინების გამოსროლით, რომელიც ქმნის ფორებს ჰეპატოციტების პლაზმურ მემბრანაში. ამ ფორების საშუალებით უჯრედებში შედის პროტეაზების შემცველი გრანზიმები. პროტეაზები შლის ზოგ უჯრედშიგა ფერმენტს, მათ შორის – კასპაზებს, რომლებიც ბიძგს აძლევენ აპოპტოზურ კასკადს. T-ლიმფოციტის მიერ აპოპტოზის განხორციელების მეორე გზაა Fas-R – Fas-L ურთიერთქმედება. ვირუსით ინფიცირებული ჰეპატოციტის ზედაპირზე Fas-ლიგანდის მიერთება Fas-რეცეპტორთან ააქტივებს კასპაზა 8-ს, გამოიყოფა გრანზიმ B-ს და პერფორინის შემცველი გრანულები. გრანზიმ B-ს ურთიერთქმედება ჰეპატოციტთან იწვევს უჯრედის მემბრანაში პერფორინ-ინდუცირებული ფორების გაჩენას. ამასთანავე, გრანზიმ B შლის პროკასპაზებს, რაც ბიძგს აძლევს აპოპტოზს.

“ელვისებური” ჰეპატიტის განვითარებისას, რომლის დროს ღვიძლის უჯრედები იხენს ანომალურად მაღალ მგრძობელობას ციტოტოქსიკური T-ლიმფოციტებისადმი და APO-1/Fas-ით ინდუცირებული აპოპტოზისადმი, აღინიშნება APO-1/Fas-ის გაძლიერებული ექსპრესია. ამ დროს, ზედაპირზე ექსპრესირებული B ან C ვირუსის ანტიგენები ხელს უწყობს APO-1/Fas-ლიგანდის ჰიპერპროდუქციას, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება რეცეპტორს და იწვევს უჯრედის სიკვდილს.

აქტიური აპოპტოზის პროცესი კლინიკურად ვლინდება ციტოლიზის სინდრომით. ასეთ შემთხვევაში მკურნალობისთვის ხშირად მიმართავენ

გლუკოკორტიკოიდებს. ცნობილია, რომ ისინი, უპირატესად, იწვევენ ციტოტოქსიკური ლიმფოციტების აპოპტოზს. ლიმფოციტებისკენ მიმართული ეს აპოპტოზური მოქმედება ამცირებს ჰეპატიტის კლინიკური გამოვლინების სიმძაფრეს, მაგრამ, ამავე დროს, ვირუსშემცველი ჰეპატოციტი განაგრძობს თავის უჯრედულ ციკლს, ვირუსული გენომის ფრაგმენტი შეიძლება ჩაიზარდოს მასპინძელი უჯრედის გენომში. ვითარდება ქრონიკული პროცესი, რომლის შედეგი შეიძლება ჰეპატომა იყოს.

აღნიშნულია პლაზმის HBV ღმის მაღალი დონე ქრონიკული ჰეპატიტის დროს [39], რომელიც კორელირებდა აპოპტოზის ხარისხთან. ავტორების აზრით, იმუნიტეტი და ინფექციის პერსისტირება აპოპტოზთანაა დაკავშირებული.

Go Xiao-მ თანაავტორებთან ერთად (2004) D ჰეპატიტით ავადმყოფი ადამიანების ჰეპატოციტებში გამოკვლეულია HDAg-ის ექსპრესია, Bcl-2, Bax, Bak და აპოპტოზი [16]. გამოვლინდა დადებითი კორელაცია HDAg, Bax და Bak-ის ექსპრესიას და აპოპტოზს შორის. საკმაოდ მაღალია კორელაცია, ერთი მხრივ, HDAg, Bax და Bak-ის ექსპრესიას და აპოპტოზს, ხოლო, მეორე მხრივ – დეიდის ანთების სიმძიმეს შორის.

ჰეპატოციტში ვირუსის შეჭრისას აპოპტოზის პროვოცირება ერთგვარი „დაცვითი რეაქციაა“. ნეკროზულ უჯრედებში ვირუსის რეპლიკაცია შეუძლებელია. ამიტომ ვირუსის „ინტერესშია“ აპოპტოზის დათრგუნვა და სიცოცხლისუნარიანი უჯრედების შენარჩუნება. მართლაც, ვირუსების მიერ კოდირებულ ზოგ ცილას აქვს ანტი-აპოპტოზური აქტიურობა, რომელიც რეალიზდება პრო-აპოპტოგენური ცილის p53-ის ფუნქციის დათრგუნვით, კასპაზების ინაქტივაციით, სანადვლე გზების ეპითელიუმში აპოპტოზის მძლავრი ინჰიბიტორის – bcl-2-ის ექსპრესიის გაძლიერებით.

აპოპტოზის მექანიზმში ფრიად მნიშვნელოვანია აზოტის ოქსიდის და თავისუფალ-რადიკალური პროცესების როლი. აპოპტოზის დროს ჰეპატოციტების კვლევისას დადგენილია თავისუფალი რადიკალების მომატება უჯრედებში, კალციუმის უჯრედშია დაგროვება, პროტეაზების აქტივაცია. რაც შეეხება აზოტის ოქსიდს, მისი როლი აპოპტოზის განვითარებაში დუალურია, რაც ვლინდება, ერთი მხრივ, მის მიერ უჯრედის დაცვაში აპოპტოზური სიგნალებისგან, მეორე მხრივ – ამ მოლეკულის მიერ აპოპტოზის გამოწვევის უნარით [29].

აზოტის ოქსიდი და თავისუფალი რადიკალები, მათი წარმოქმნის წყაროს მიუხედავად, ააქტიურებს ბირთვულ ფაქტორ NFKB-ს, რითაც აჩქარებს აპოპტოზს [38]. აზოტის ოქსიდს ძალუძს პრო-აპოპტოზური ცილის p53-ის სინთეზის გაძლიერების ინიცირებაც.

აზოტის ოქსიდის მასინთეზებელის – iNOS-ის რეგულაცია ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმით. ამ ფერმენტის გენის პრომოტორი შეიცავს დამაკავშირებელ ცენტრს ბირთვული ფაქტორის NFKB-თვის [43]. თავისუფალი რადიკალები და აზოტის ოქსიდი ააქტივებენ ამ ფაქტორს და ამით აჩქარებენ ჰეპატოციტების აპოპტოზს [38], რაც შეიძლება განხორციელდეს NFKB-ს მიერ მძლავრი პრო-აპოპტოზური ფაქტორის – TNF-α-ს გამოთავისუფლების გზით. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ კასპაზების აქ

ტიურ ცენტრებში თიოლების ნიტროზილების NO-სეული უნარი აპოპტოზის მოდულაციის პოტენციური გზაა [29, 42].

NO-ს ცვლის არასწორი პროდუქტის – პეროქსინიტრიტი იწვევს უჯრედის სიკვდილს ნეკროზის ან აპოპტოზის გზით [23]. ეს ნივთიერება ზემოქმედებს მიტოქონდრიებზე და შეიძლება გამოიწვიოს მათგან აპოპტოზის მძლავრი გენერატორის – ციტოქრომ C-ს გამოსვლა. მეორე მხრივ, NO ხშირად გამოდის აპოპტოზის ინჰიბიტორის როლში. ის თრგუნავს აპოპტოზს კასპაზებზე ზემოქმედებით [42].

აზოტის ოქსიდის მიერ აპოპტოზის ინჰიბიცია ხორციელდება: Fas-ლიგანდამოკიდებული ტრანსკრიფციული ფაქტორის ექსპრესიის დარღვევა [30], აპოპტოზის TNF- $\alpha$ -ინდუცირებული ფაქტორის და ცმმზ-დამოკიდებული სიგნალების კასკადის ინჰიბირება [21], მიტოქონდრიების ფუნქციის მოდულირება, კასპაზა 3-ის და 8-ის პირდაპირი ნიტროზილირება. NO აპოპტოზის ინჰიბიციას ახდენს როგორც ცმმზ-დამოკიდებული, ისე ცმმზ დამოუკიდებელი მექანიზმით [22].

განსაკუთრებითაა აღსანიშნავი აზოტის ოქსიდის მეტაბოლიზმის დარღვევის და ამის გამო წარმოქმნილი პეროქსინიტრიტის როლი აპოპტოზის ცვლილებათა მექანიზმში ვირუსული ჰეპატიტის დროს. ჩვენს გამოკვლევებში [5] გამოვლენილი აზოტის ოქსიდის სიჭარბე ჰეპატიტით დაავადებულთა სისხლში განპირობებულია ღვიძლში iNOS-ს აქტივაციით და NO-ს სინთეზის ინტენსიფიკაციით. ეს უკანასკნელი ორგანიზმის კომპენსაციური რეაქციის გამოვლინება – ვირუსული ანთეზის პირობებში ის სტიმულირდება ლიმფოციტების სიჭარბით და ოქსიგენური სტრესით.

ორგანიზმში ჟანგბადის თავისუფალი ფორმების აქტიური წარმოქმნის და ანტიოქსიდაციური დაცვის დათრგუნვის ფონზე ჭარბად წარმოქმნილი აზოტის ოქსიდი ურთიერთქმედებს სუპეროქსიდრადიკალთან პეროქსინიტრიტის და ჰიდროქსიდრადიკალის წარმოქმნით, რომელსაც მაღალი თავისუფალრადიკალური ეფექტი ახასიათებს.

NO-ს წარმოქმნის შეღარებით დაბალი ინტენსივობა ჰეპატიტის დროს პირობადებული შეიძლება იყოს კონკურენტული ფერმენტის – არგინაზას აქტივაციით და L-არგინინის გახარჯვით შარდოვანას სინთეზზე [10, 31, 36]. ეს განაპირობებს iNOS სუბსტრატის (L-არგინინის) უკმარისობით გამოწვეული NO-ს სინთეზის დაქვეითებას [6] პეროქსინიტრიტის წარმოქმნის მომატებით [44], რაც განაპირობებს ამ ციტოტოქსიკური ნაერთის ჰეპატოციტებზე დამაზიანებელ მოქმედებას.

მეორე მხრივ, B ვირუსის X პროტეინი იწვევს ცილის – p53-ის ინჰიბირებას, რითაც აფერხებს მუტაციების შედეგად შეცვლილი ჰეპატოციტების აპოპტოზს და ხელს უწყობს ღვიძლის მალიგნიზებას. უკანასკნელი მონაცემები გარკვეულწილად ნათელს ფენს B ვირუსის ონკოგენური მოქმედების მექანიზმს.

C მწვავე ჰეპატიტისგან განსხვავებით, C ქრონიკული + მწვავე ჰეპატიტი ხასიათდება NO-ს განსაკუთრებით მაღალი შემცველობით. C ჰეპატიტისთვის დამახასიათებელია, აგრეთვე,  $Mo^{+}$ -ქსანტინოქსიდაზას მაღალი

შემცველობა სისხლში, რაც განაპირობებს სუპეროქსიდრადიკალების გაძლიერებულ წარმოქმნას და სუპეროქსიდდისმუტაზას დაბალ აქტიურობას. ზემოხამოთვლილი ფაქტორები იწვევს პეროქსინიტრიტის გაძლიერებულ წარმოქმნას C ჰეპატიტის დროს, რომელსაც ახასიათებს უნიკალური ბიოქიმიური თვისებები [30]: ლზშ-ის პროცესების ინიციაცია, მიტოქონდრიული ელექტრონული ტრანსპორტის დარღვევა, ღნმ-ის დაზიანება. არსებობს მონაცემები იმის შესახებაც, რომ პეროქსინიტრიტი ასტიმულირებს ნეიტროფილების პროკოლაგენაზას, რომელიც ასრულებს უმნიშვნელოვანეს როლს ქსოვილის დაშლა-გარდაქმნაში. ცნობილია, რომ ჰეპატიტის დროს პროკოლაგენაზას აქტივაცია ღვიძლის ფიბროზის მიზეზია.

მწვავე B ჰეპატიტის დროს  $Fe^{3+}$  ტრანსფერინის მაღალი დონე (სხვა ეტიოლოგიის ჰეპატიტებთან შედარებით), შესაძლოა განაპირობებელი იყოს NO დაბალი დონის ფონზე (რაც ჩანს ჩვენს გამოკვლევებში) ერთთროპეტინის და ტრანსფერინის გაძლიერებული ექსპრესიით. მეორე მხრივ, აღსანიშნავია, რომ მრავალ ფაქტორთა შორის, რომლებსაც ძალუძთ HIF-1-ის აქტიურობის რეგულირება, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ორვალენტური იონებს, მათ შორის მანგანუმისას ( $Mn^{2+}$ ), რომლის შემცველობა სისხლში, ჩვენი მონაცემებით, მკვეთრად მატულობს მწვავე B ჰეპატიტის დროს და მაღალ დონეზე რჩება რეკონვალესცენციის პერიოდშიც. HIF-1-ს აქვს ჰიპოქსიის პირობებში p-53-ის დეგრადაციის და ბლოკირების უნარი, რაც თავისთავად განაპირობებს აპოპტოზის ინიციბირებას და ხელსაყრელ პირობებს ქმნის ღვიძლის მალიგნიზებისთვის.

აპოპტოზის ინიციბირება ხელს უწყობს ვირუსის შერწყმას უჯრედის ბირთვთან და პროცესის ქრონიზებას, ქმნის ონკოტრანსფორმაციის პერსპექტივას. ეს მით უფრო აქტუალურია, რომ ჰეპატიტით ხშირად ავადღებიან ადამიანები ღვიძლის ტოქსიკური დაზიანებით, რომლის დროსაც, აგრეთვე, აღინიშნება ჰეპატოციტების აპოპტოზი.

ვირუსული ჰეპატიტების მკურნალობისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ჰეპატოციტების აპოპტოზის შესწავლისას მიღებული ინფორმაცია. იმავე დროულად საჭიროა ჰეპატოციტების აპოპტოზური აქტიურობის „რბილი“ მოდულირება ვირუსული პროცესის ქრონიზების და ონკოტრანსფორმაციის პრევენციისთვის.

აპოპტოზის როლი ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტის განვითარებაში სრულად არ არის შესწავლილი. ჰეპატოციტების მასიური აპოპტოზი (20%-ზე მეტი) იწვევს ჰეპატიტის ფულმინანტურ ფორმას, ღვიძლის მწვავე უკმარისობას და სიკვდილს. მეორე მხრივ, აპოპტოზის დაბალი დონე ქრონიკული ჰეპატიტის დროს ასტიმულირებს ღვიძლის ქსოვილის ანთებას და ფიბროზს. პროცესის ქრონიზება ხდება მაშინ, როდესაც უჯრედის გენომში შესული ვირუსი ცვლის ინფიცირებული უჯრედის თვითგანადგურებისკენ მიმართულ პროგრამას.

ჰეპატოციტების აპოპტოზის მექანიზმში ჰეპატოტროპული ვირუსების როლის მოკლე განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ:

1. ვირუსული ჰეპატიტების დროს ჰეპატოციტების კვდომის მექანიზმში დიდია აპოპტოზის მნიშვნელობა, თუმცა მისი განვითარების ყველა შესაძლო გზა ჯერ ცნობილი არაა;

2. ჰეპატოტროპულ ვირუსებს სხვადასხვა სიტუაციაში ძალუძთ როგორც აპოპტოზის ინდუცირება, ისე მისი დათრგუნვა; ჰეპატოციტების ჭარბი აპოპტოზი იწვევს ღვიძლის მძიმე დაზიანებას, ზოგჯერ – მისი უკმარისობის განვითარებით;

3. ვირუსების მიერ ინფიცირებული ჰეპატოციტების აპოპტოზის დათრგუნვა ხელს უწყობს ღვიძლის ანთების ქრონიზებას, ფიბროზს და მალიგნიზებას;

4. A ჰეპატიტის ვირუსის მიერ გამოწვეული აპოპტოზი დაზიანების ადეკვატურია, ამიტომ ავადმყოფობა, უპირატესად, კეთილსაიმედოდ მიმდინარეობს;

5. ვირუსული ჰეპატიტების დროს ჰეპატოციტების აპოპტოზი შეიძლება გამოწვეული იყოს ვირუსის როგორც პირდაპირი მოქმედებით, ისე მის მიერ პროვოცირებული იმუნური რეაქციით;

6. ცნობილია ჰეპატოტროპული ვირუსების ზეგავლენით აპოპტოზის განვითარების ორი გზა, თითოეული მათგანი მოიცავს მინიმუმ ორ მექანიზმს;

7. დღეს ცნობილია ორი მექანიზმი, რომელთა საშუალებით B და C ჰეპატიტის ვირუსები პირდაპირ ინიცირებას უწყებს აპოპტოზს. ერთი მათგანის არსია ვირუსის რეპლიკაციის პროცესში სპეციფიკური ცილების – B ვირუსის X პროტეინის და C ვირუსის core-პროტეინის წარმოქმნა; B და C ჰეპატიტის ვირუსების მიერ აპოპტოზის პირდაპირი ინიცირების მეორე გზაა ჰეპატოციტების მეზრანაზე ამ პროცესის ინდუქციის გადამცემი რეცეპტორების ზეექსპრესია, მაგალითად, Fas-რეცეპტორებისა და უჯრედების მგრძობელობის მომატება პროაპოპტოზური სტიმულებისადმი, კერძოდ TNF-ისადმი;

8. T-ლიმფოციტებს აპოპტოზის გამოწვევა ძალუძთ ორი გზით. პირველი რეალიზდება T-უჯრედებიდან პერფორინების გამოსროლით, რომელიც ქმნის ფორებს ჰეპატოციტების პლაზმურ მემბრანაში. ამ ფორების საშუალებით უჯრედებში შედის პროტეაზების შემცველი გრანზიმები. პროტეაზები შლის ზოგ უჯრედშიგა ფერმენტს, მათ შორის – კასპაზებს, რომლებიც ბიძგს აძლევს აპოპტოზურ კასკადს.

## ლიტერატურა

1. *თოფურიძე მ., ყიფიანი ვ.* საქართველოს მეცნ. აკადემიის მაცნე, ბიოლ. სერია, 2008, 3-4, 221-228.
2. *Аруш Л.И.* Росс. ж. гастроэнтерол., гепатол., колопроктол., 1998, 2, 6-12.
3. *Дмитриева Е.В., Москалева Е.Ю., Северин Е.С.* Росс. журн. гастроэнтерол., гепатол., колопроктол., 2003, 5, 7-12.
4. *Китиани Нана В.* Аллергол. и иммунология, 2004, 5, 3, 381-383.
5. *Китиани Нина В. и соавт.* Докт. Дисс., 1999, 205 с.

6. Петрович Ю.А., Гуткин Д.В. Патофиз. и экспер. терапия, 1986, 5, 85-92.
7. Ярилин А.А. Актуальные проблемы патофизиологии. 2001, 13-56.
8. Arber N., Zajicek G., Arniel I. Liver, 1988, 8, 80-87.
9. Benedetti A., Jezugel A.M., Oriandi F. J. Hepatol., 1988, 7, 319-324.
10. Bjelkovic G. et al. Srpavki Archiv Za Celok ipno le rastvo, 1998, 126 (56), 153, 6.
11. Bortner C.D., Cidowski J.A. J. Biol. Chem., 1999, 274, 21953-21962.
12. Brake A., Gores J., Gores G. Am. J. Physiol., 1997, 273, 1174-1188.
13. Cao Y., Hamada T., Matsui T., Date T., Iwabuchi K. Biochem. Biophys. Res. Commun., 2004, 315, 788-795.
14. Crawford J.M. The liver and the biliary tract. In: Robbins Pathologic Basis of Disease, 6th edition (Cotran R.S. ed.). Philadelphia. 1999, 845-901.
15. Fanbion W. et al. J. Clin. Invest., 1999, 103, 137-145.
16. Go Xiao-Hong, Zhang Yun-Dong, Li Qi-Feng, Wang Yu-Ming D. World Chin. J. Dig., 2004, 12, 7, 1578-1581.
17. Honda M., Kaneko S., Shimazaki T., Matsushita E., Kobayashi K., Ping L.H., Zhang H.C., Lemon S.M. Hepatology, 2000, 31, 1351-1359.
18. Hayashi N., Mita E. J. Gastroenterol. Hepatol., 1997, 12, 223-226.
19. Honda M., Kaneko S., Shimazaki T., Matsushita E., Kobayashi K., Ping L.H., Zhang H.C., Lemon S.M. Hepatology, 2000, 31, 1351-1359.
20. Jonsson J.R., Edwards-Smith C.J., Catania S.C., Morotomi Y, Hogan P.G., Clouston A.D., Bansal A.S., Lynch S.V., Strong R.W., Powell EE. J. Hepatol., 2000, 32, 392-398.
21. Kerr J.F.R., Willie A.H., Currie A.R. Brit. J. Cancer, 1972, 26, 239-257.
22. Kim H., Lee H., Yun Y. J. Biol. Chem., 1998, 273, 381-385.
23. Kim J.S., Qian T., Lemasters J. J. Gastroenterology, 2003, 124, 494-503.
24. Kim J.S., Ryu J., Hwang S.B., Lee S.Y., Choi S.Y., Park J. J. Biochem. Mol. Biol., 2004, 37, 192-198.
25. Kipiani V.A. Annals of Biomed. Research and Education, 2004, 3, 240-247.
26. Koziel M.J. J. Viral Hepat., 1997, 4, 31-41.
27. Lamontagne L., Lusignan S., Page C. Clin. Immunol., 2001, 101, 345-356.
28. Lehoux M., Jacques A., Lusignan S., Lamontagne L. Clin. Exp. Immunol., 2004, 137, 41-51.
29. Liu J., Waalkes M.P. Toxicology, 2005, 15, 208 (2), 289-297.
30. Maeda H., Tanaka S., Akaike T. et al. Br. J. Cancer, 2003, 88 (6), 902-909.
31. Miyaaka K. et al. Histochemical J., 30 (10), 1998, 741-51.
32. O'Connell J. Am. J. Physiol. Gastrointest. Liver Physiol., 2003, 284, 729-733.
33. Okasaki M., Keisuke h., Fujii K et al. Hepatic Fas antigen with chronic hepatitis C // Diges 1, 1996.
34. Oksuz M., Akkiz H., Isiksal Y.F., Saydaoglu G., Serin M., Kayaselcuk F., Abayli B., Tuncer I. Eur. J. Gastroenterol. Hepatol., 2004, 1, 341-345.
35. Pollicino T., Terradillos O., Lecoer H. Gougeon M.L., Buendia M.A. Biomed. Pharmacother., 1998, 52, 363-368.
36. Ranguilov S.V. et al. Biochemistry, 1998, 9, 37 (23), 8539-8550.
37. Searle J., Harmon B.V., Kerr J.F.R. J. Gastroenterol. Hepatol., 1987, 2, 77-96.
38. Simile M.M., Pagnan G., Pastorino F. et al. Carcinogenesis, 2005, 26 (2), 417-427.
39. Song Rui, Wang Yu-Mei, Shi Li-Lan, Feng Guo-He, Ma Li, Dou Xiao, Dou Xiao-Guang. World Chin. J. Dig., 2004, 12, 7, 1574-1577.
40. Su F., Schneider R.J. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 1997, 94, 8744-8749.
41. Terradillos O., Pollicino T., Lecoer H., Tripodi M., Gougeon M.L., Tiollais P., Buendia M.A. Oncogene, 1998, 17, 2115-2123.
42. Torok N.J., Higuchi H., Bronk St., Gores G.J. Cancer Research, 2002, 62, 15, 1648-1653.

43. Vos T.A., Van Goor H., Tiyt L. et al. Hepatology, 1999, 29 (2), 421-426.
44. Xia Y., Zweier J.L. Proc. Natl. Acad. Sci. USA, 94, 6954-6958.
45. Zuckerman E., Zuckerman T., Sahar D., Streichman S., Attias D., Sabo E., Yeshurun D., Rowe J. Br. J. Haematol., 2001, 112, 364-369.

## РОЛЬ АПОПТОЗА В РАЗВИТИИ ВИРУСНЫХ ГЕПАТИТОВ

*Нино В. Кипиани, М. Топуридзе, Нана В. Кипиани*

Тбилисский государственный медицинский университет

### РЕЗЮМЕ

В предлагаемом обзоре апоптоз представлен как универсальный ответ, защитная реакция печени на повреждение. Апоптоз гепатоцитов может быть вызван как прямым действием гепатотропных вирусов, так и провоцированием иммунной реакции. При непосредственном воздействии вирусов выявляются, минимум, две пути развития апоптоза: 1. образование в процессе репликации вируса специфических белков – X протеина В вируса и сог-протеина С вируса; 2. сверхэкспрессия на поверхности вируса рецепторов индукции процесса, например, Fas-рецепторов, и повышение чувствительности к проапоптотным стимулам, в частности – к TNF. При апоптозе, спровоцированном иммунной реакцией, Т-лимфоциты вызывают апоптоз также двумя путями: 1. выбросом Т-клетками перфоринов, с образованием фор в плазматической мембране, через которые в клетку входят содержащие протеазы гранзимы; 2. разрушением протеазы внутриклеточных ферментов, среди них каспаз, что является толчком для апоптотного каскада. В статье рассмотрены молекулярные механизмы приведенных процессов.

## THE ROLE OF APOPTOSIS IN DEVELOPMENT OF VIRUS HEPATITIS

*Nino Kipiani, M. Topuridze, Nana Kipiani*

Tbilisi State Medical University

### SUMMARY

In the present review hepatocyte apoptosis is represented as a universal response of liver, defensive reaction to the damages, including those initiated by viruses.

Hepatocyte apoptosis may be caused by both hepatotropic virus direct affection, or by the immune reactions initiated by them. Apoptosis development caused by virus direct affection varies and contains at least two mechanisms: 1. Production of specific proteins: B virus – X protein and C virus – cor-protein; 2. Expression of the receptors leading the induction of this process on the hepatocyte membrane, for example, increasing of Fas-receptor and cell sensation to apoptosis stimulus. Cell apoptosis caused by T-lymphocytes during the immune reaction induced apoptosis may also be developed in two ways: 1. By releasing perforines that produce holes through hepatocyte membrane and according to this process granzymes are permitted inside the cells. 2. By destroying of caspases by proteases, that initiate apoptosis cascade. In this article molecular mechanisms of the processes mentioned above are also discussed.

## CF-ATPაზა: ვირთავას თავის ტვინის ტვინის

## პლაზმური მემბრანის ტრანსპორტული ATPაზა

ს. ძნელაძე, მ. ლელაძე, ლ. წაქაძე

ბ. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 27.11.2009

ვირთავას თავის ტვინის პლაზმურ მემბრანაში (სინაპტოსომები და მიკროსომები) დაფიქსირებულია CF-ATPაზა, რომლის სუბსტრატს წარმოადგენს [MgATP] კომპლექსი.

CF-ATPაზა აქმყოფილებს ტრანსპორტული ATPაზების აუცილებელ კინეტიკურ თავისებურებებს. ამდენად, იგი შეიძლება მივაკუთვნოთ ტრანსპორტული ATPაზების ჯგუფს (ე.წ. „P-ტიპის“ ATPაზები).

საკვანძო სიტყვები: სინაფსური მემბრანები, მიკროსომები, CF იონები, ATPაზა

ლიტერატურაში მითითებულია ანიონდამოკიდებული, მაგნიუმით აქტივირებული ATP-ის ჰიდროლიზი, კერძოდ  $\text{HCO}_3^-$  და CF იონებით აქტივაცია. მათი მოქმედება ძირითადად დაფიქსირებულია ბაქტერიებსა და ეუკარიოტებში.

ზოგიერთ ორგანოში, როგორცაა *Aplysia Californica*-ს და გომბემოს (*Bufo Bufo*) წინა ნაწლავის ეპითელიური ქსოვილის ბაზოლატერალური მემბრანა [3, 10], მტკნარი წყლის გველთევზას ფარფლის მემბრანული ფრაქცია [2], *Aplysia*-ს ვეზიკულების პლაზმური მემბრანა და ვირთავას პანკრეასული მილაკები [4], ვირთავას თავის ტვინის მემბრანული ვეზიკულები [8] CF-ის იონებით გამოწვეული აქტივაცია CF-ATPაზურ რეაქციად არის მიჩნეული, რომელიც მონაწილეობს CF-ის აქტიურ ტრანსპორტში. უკანასკნელი წლების ლიტერატურის მონაცემებით არ გამოირჩევა, რომ CF-ATPაზა შესაძლებელია წარმოადგენდეს მემბრანის გარეთა ზედაპირზე მიმართულ CF-ის ტრანსლოკაციურ ელექტროგენურ სისტემას („CF-ის საქაჩავი“).

ჩვენი ნაშრომის მიზანია დადასტოვოთ CF-ATP-აზური აქტიურობის არსებობა ვირთავას თავის ტვინის სუბუჯვრედულ ფრაქციებში და განვსაზღვროთ მისი ადგილი ATPაზების ზოგად კლასიფიკაციაში, რაც შემდგომში საშუალებას მოგვცემს შევისწავლოთ ენზიმის მოლეკულური მექანიზმი პლაზმურ მემბრანაში.

## მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ვირთავკას თავის ტვინიდან დიფერენციალური ცენტრიფუგირების მეთოდით საქაროზას გრადიენტში მიღებული სინაფსური მემბრანების [1,2-0,8 M], მიკროსომებისა [-0,32 M] და მიტოქონდრიების [-14] ფრაქცია [6].

ATP-აზურ აქტიურობას (V) ვიკებდით ATP-ის დაშლით გამოყოფილი არარორგანული ფოსფორის რაოდენობით მგ/ცილაზე საათში [1]. ცილის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით.

CF-ATP-აზა ისაზღვრებოდა  $\text{HCO}_3^-$ -იონის და მის გარეშე არეს შორის სხვაობით. საინკუბაციო არე შეიცავდა Tris-მალატის ბუფერს, 30 mM, pH 7,7, ATP 2 mM, ცილა 22 მკგ,  $\text{MgCl}_2$  2 mM, ოუბაინი 0,2 mM, EDTA 0,4 mM.

ექსპერიმენტული მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკურად.


## შედეგები და მათი განხილვა

პირველ რიგში განვსაზღვრეთ Mg-დამოკიდებული ATP-ის ჰიდროლიზური რეაქცია CF-ის იონების ზეგავლენით თავის ტვინის სხვადასხვა სუბუჯრედულ ფრაქციაში: სინაფსური მემბრანები (Syn), მიკროსომები (Mic) და მიტოქონდრიები. ევექტი დაფიქსირდა მხოლოდ პლაზმურ მემბრანებში (Syn და Mic), მიტოქონდრიალური MgATP-აზა ქლორის იონების მიმართ მგრძობიანობას ვერ ამჟღავნებს.

ჩვენს წინა ნაშრომში [9]  $\text{HCO}_3^-$ -ATP-აზაზე მიღებული შედეგით გამოვლინდა ენზიმის ორი ტიპი: Mg-დამოკიდებული და Mg-არადამოკიდებული. მათ შორის პრინციპური სხვაობა კინეტიკური მრუდის ფორმასა და ჭეშმარიტი სუბსტრატის არსებობით განისაზღვრა. იგივე ლოგიკური მიდგომით ვცადეთ CF-ATP-აზის შესწავლა.

CF-ATP-აზური რეაქციის სუბსტრატის დადგენის მიზნით ვერმენტული აქტიურობა შევისწავლეთ ორ სიტუაციაში, როდესაც  $\text{Mg} = 0$  და  $\text{Mg} \neq 0$ . კატალიზური რეაქცია გამოვლინდა მხოლოდ მაგნიუმის იონების ფონზე, ხოლო როდესაც საინკუბაციო არე თავისუფალია მაგნიუმისაგან, აქტიურობა არასარწმუნოა. ეს ნიშნავს, რომ რეაქციის სუბსტრატი MgATP კომპლექსია და არა თავისუფალი ATP.

სურათზე 1 წარმოდგენილია Mg-დამოკიდებული ATP-ის ჰიდროლიზი CF-ის იონების კონცენტრაციიდან სინაფსური მემბრანებისა და მიკროსომების ფრაქციაში (მიტოქონდრიებში CF-ით სარწმუნო აქტივაცია არ გამოვლინდა როგორც მაგნიუმიდან თავისუფალ არეში, ასევე მაგნიუმის ფონზე).  $V = f[CF]$  მრუდის ფორმა მსგავსია ორივე შემთხვევაში. იცვლება მხოლოდ ვერმენტის ხვედრითი აქტიურობა. სინაფსური მემბრანები CF-ATP-აზის მაღალი აქტიურობით ხასიათდება მიკროსომებთან შედარებით. მრუდის გეომეტრიული ფორმის ანალიზით ნათლად ვლინდება გუმბათისებური ფორმა აღმაველი და დადმავალი ფაზით CF-ის კონცენტრაციიდან დამოკიდებულებით.



სურ. 1. Cl<sup>-</sup>-ATPაზური აქტიურობის (V) დამოკიდებულება Cl<sup>-</sup>-ის იონების კონცენტრაციაზე (ლოგარითმებში) სინაფსურ (Syn) და მიკროსომულ (Mic) ფრაქციაში. ცილა - 0,022 მგ/მლ, ATP 2 mM, Mg 2 mM, Tris-მალატი 30 mM, pH 7,7, ოუბაინი 0,2 mM.

ლიტერატურაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა ATPაზების ზოგიერთი კინეტიკური თავისებურება [7]. კერძოდ, ვეღა ტრანსპორტული ATPაზისთვის ტრანსპორტირებადი იონის კონცენტრაციაზე ფერმენტული რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულების ამსახველ მრუდს აქვს გუმბათისებური ფორმა. აღმავალი ფაზა შეესაბამება იონის დაკავშირებისა და გადატანის პროცესს, ხოლო დაღმავალი - მის გამოსვლის ფაზას.

ჩვენი მონაცემებით, Cl<sup>-</sup>-ATPაზისთვის ეს პირობა სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რეაქცია მიმდინარეობს მაგნიუმის იონების ფონზე. ეს ნიშნავს, რომ ფერმენტული სისტემის ჭეშმარიტ სუბსტრატს წარმოადგენს MgATP კომპლექსი და არა თავისუფალი ATP.

მიღებული შედეგიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ Cl<sup>-</sup>-იონებით აქტივირებული Mg-დამოკიდებული ATPაზა აკმაყოფილებს ტრანსპორტული ATPაზების აუცილებელ კინეტიკურ თავისებურებებს:

1.  $V = f[Cl^-]$  დამოკიდებულების ამსახველი მრუდი გუმბათისებური ფორმისაა;
2. სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი ითვალისწინებს [MgATP] კომპლექსის არსებობის აუცილებლობას;
3. კატალიზური რეაქციის მსვლელობის პროცესში წარმოიქმნება ფოსფორილირებული ინტერმედიატი [5].

ამდენად, Cl<sup>-</sup>-ით აქტივირებული Mg-სტიმულირებული ATPაზა, რომელიც ფუნქციონებს ვირთავას თავის ტვინის პლაზმურ მემბრანაში, შეიძლება მივაკუთვნოთ „P-ტიპის“ ATPაზებს, რომელიც აერთიანებს მხოლოდ ტრანსპორტულ ATPაზებს, მსგავსად პლაზმური მემბრანის მარკერის - Na,K-ATPაზური სისტემისა.

## ლიტერატურა

1. *Казанов А.М., Маслова Т.Н. Ж. Эвол. Биохим. Физиол.*, 1980, 16, 81-87.
2. *Bormancin M., De Renzis G., Maetz J. J. of Comparative Physiology B.*, 1977, 117, 313-322.
3. *Gerensez G.A., Zelezna B. Proc. Natl. Acad. Sci., USA*, 1993, 90, 7970-7974.
4. *Gerensez G.A. Gitical Rev. Biochem. Molecul. Biol.*, 1996, 31, 303-337.
5. *Gerensez G.A., Zhang J. D. Comparative Biochem., Physiology Part A.*, 2003, 134, S1-S237.
6. *Kometiani Z.P., Tsakadze L.G., Jariashvili T.Y. J. Neurochem.*, 1984, 42, 1246-1250.
7. *Kometiani Z.P., Nozadze E. Bull. Georgian Natl. Acad. Sci.*, 2007, 175, 106-109.
8. *Shizoya T. et al. Biol. Chem.*, 1989, 264, 17416-17421.
9. *Tsakadze L., Dzneladze S., Kometiani Z. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. B.* 2007, 5, 9-13.

## СГ-АТРаза: ТРАНСПОРТНАЯ АТРаза ПЛАЗМАТИЧЕСКИХ МЕМБРАН ГОЛОВНОГО МОЗГА КРЫС

*С. Дзnelадзе, М. Леладзе, Л. Цакадзе*

Институт физиологии им. И. С. Бериташвили, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

В плазматической мембране головного мозга крыс (синапсомы и микросомы) зафиксирована СГ-АТРаза, субстратом которой является комплекс MgATP.

СГ-АТРаза удовлетворяет, необходимым для транспортных АТРаз, кинетическим особенностям. Следовательно, её можно отнести к группе транспортных АТРаз (т.н. АТРаза "Р-типа").

## СГ-АТPase: PLASMA MEMBRANE TRANSPORT АТPase OF RAT BRAIN

*S. Dzneladze, M. Leladze, L. Tsakadze*

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi

### SUMMARY

СГ-АТPase was found in the plasma membrane (synaptosomes and microsomes) of rats' brain, and its substrate is [MgATP] complex.

СГ-АТPase satisfies the necessary kinetic peculiarity of АТPases. So, it may be attributed to the group of transport АТPases (the so called "P-type" АТPases).

## HCO<sub>3</sub><sup>-</sup>-იონებით აქტივირებული Mg-დამოკიდებული ATPაზა

ლ. წაქაძე, მ. ლელაძე, ს. ძნელაძე

ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

მიღებულია 01.12.2009

HCO<sub>3</sub><sup>-</sup>-იონებით აქტივირებული Mg-დამოკიდებული ATPაზა აკმაყოფილებს ტრანსპორტული ATPაზების აუცილებელ კინეტიკურ თავისებურებას ( $V = f [HCO_3^-]$ ) დამოკიდებულების ამსახველ მრუდს აქვს გუმბათისებური ფორმა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი ითვალისწინებს ქლორის ანიონებიდან თავისუფალ არეს

საკვანძო სიტყვები: HCO<sub>3</sub><sup>-</sup> იონები, ATPაზა, სინაფსური მემბრანები

ლიტერატურაში მითითებულია ანიონდამოკიდებული, მაგნიუმით აქტივირებული ATP-ის ჰიდროლიზი, კერძოდ HCO<sub>3</sub><sup>-</sup> და Cl<sup>-</sup> იონებით აქტივაცია. მათი მოქმედება ძირითადად დაფიქსირებულია სეკრეტორულ ორგანოებსა და ნაწლავების ეპითელიურ ქსოვილში, ასევე მცენარეულ უჯრედებში [2, 3].

ჩვენი მონაცემებით, Mg-დამოკიდებული HCO<sub>3</sub><sup>-</sup>-ით აქტივირებული ATP-ის ჰიდროლიზი მიმდინარეობს პლაზმურ მემბრანაში (მიკროსომები, სინაპტოსომები) და მიტოქონდრიალურ ფრაქციაში [5, 6]. HCO<sub>3</sub><sup>-</sup> იონების კონცენტრაციიდან დამოკიდებული აქტივაცია ყველა შემთხვევაში ანალოგიურია, მაგრამ დამოკიდებულების ამსახველი მრუდის ფორმა განსხვავდება ტრანსპორტული ATPაზებისთვის დამახასიათებელი ფორმიდან [4]. ისმება კითხვა Mg-დამოკიდებული HCO<sub>3</sub><sup>-</sup> იონებით აქტივირებული ATP-ის ჰიდროლიზის ადგილის შესახებ ATPაზების თანამედროვე კლასიფიკაციაში.

წარმოდგენილი მასალა ეხება აღნიშნული პრობლემის გარკვევას.

### მასალა და მეთოდები

კვლევის ობიექტს წარმოადგენდა ვირთავკას თავის ტვინიდან დიფერენციალური ცენტრიფუგირების მეთოდით საქაროსას გრადიენტში მიღებული სინაფსური მემბრანებისა [1,2-0,8 M] და მიკროსომების [-0,32 M] ნატიური ფრაქცია [5].


ATP-სურ აქტიურობას (V) ვიგებდით ATP-ის დაშლით გამოყოფილი არარეგანული ფოსფორის რაოდენობით მგ/ცილაზე საათში [1]. ცილის კონცენტრაციას ვსაზღვრავდით ლოურის მეთოდით.

$\text{HCO}_3^-$ -ATP-ის ისახლვრებოდა  $\text{HCO}_3^-$ -იონის და მის გარეშე არეს შორის სხვაობით. საინკუბაციო არე შეიცავდა Tris-HCl ან Tris-მალატის ბუფერს, 30 mM, ATP 2 mM,  $\text{MgCl}_2$  2 mM, EGTA 0,4 mM, ოუბაინი 0,2 mM.

ექსპერიმენტული მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკურად.


### შედეგები და მათი განხილვა

სურათზე 1 წარმოდგენილია Mg-დამოკიდებული ATP-ის ჰიდროლიზი  $\text{HCO}_3^-$  იონების კონცენტრაციიდან სინაპსური მემბრანების ფრაქციაში Tris-HCl ბუფერის pH-ის სხვადასხვა მნიშვნელობისას. pH 7.1, 7.7 და 8.3 არეში  $V = f[\text{HCO}_3^-]$  მრუდის ფორმა მსგავსია. იცვლება მხოლოდ ფერმენტის ხვედრითი აქტიურობა (V). მრუდის გეომეტრიული ფორმის ანალიზით მრუდი სამფაზოვანია:  $\text{HCO}_3^-$  იონების დაბალ კონცენტრაციულ ფარგალში (10-50 mM) ადგილი აქვს სისტემის აქტივაციას, ამასთან აქტივაციის უბანში  $1/V = f(1/\text{HCO}_3^-)$  დამოკიდებულება წრფივია, რაც ნიშნავს იმას, რომ  $\text{HCO}_3^-$ -ATP-ისთვის  $\text{HCO}_3^-$  იონები აუცილებელი აქტივატორია და მათი დაკავშირების უბანი ერთია.  $\text{HCO}_3^-$ -ის კონცენტრაციის ზრდით აღინიშნება უმნიშვნელო პლატო, ხოლო კონცენტრაციის შემდგომი მატებით მოსალოდნელი ინიპიციის ნაცვლად კვლავ აქტივაცია ფიქსირდება.



სურ. 1. Mg-დამოკიდებული ATP-ის ჰიდროლიზი  $\text{HCO}_3^-$  იონების კონცენტრაციიდან pH სხვადასხვა მნიშვნელობისას. Tris-HCl-ის ბუფერი. სინაფსური მემბრანების ფრაქცია, ცილა - 0,016 მგ/მლ

$V = [HCO_3^-]$ -გან ფერმენტული რეაქციის მსვლელობა შევამოწმეთ საინკუბაციო არეში ბუფერული სისტემის ცვლილების ფონზე. Tris-HCl ბუფერის ნაცვლად გამოვიყენეთ ქლორის იონებიდან თავისუფალი Tris-მალატის ბუფერი pH-ის იგივე მნიშვნელობებით (სურ. 2). მიღებული შედეგი პრინციპულად განსხვავდება ზემოთ მოყვანილიდან (სურ. 1). მრუდის ანალიზიდან ჩანს, რომ  $HCO_3^-$  იონის კონცენტრაციაზე დამოკიდებულებით მიღებულ აღმავალ ფაზას კონცენტრაციის ზრდით მოყვება დაღმავალი ფაზა pH-ის სამივე მნიშვნელობისას. ანალოგიური სურათი აღინიშნება მიკროსომული მემბრანების ფრაქციაში.



სურ. 2. Mg-დამოკიდებული ATP-ის ჰიდროლიზი  $HCO_3^-$  იონების კონცენტრაციაზე pH სხვადასხვა მნიშვნელობისას. Tris-მალატის ბუფერი. სინაფსური მემბრანების ფრაქცია, ცილა - 0,016 მკ/მლ

ლიტერატურაში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე ჩამოყალიბდა ტრანსპორტული ATP-აზების ზოგიერთი კინეტიკური თავისებურება, კერძოდ, ყველა ტრანსპორტული ATP-აზისთვის ტრანსპორტირებადი იონის კონცენტრაციაზე ფერმენტული რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულების ამხახველ მრუდს აქვს გუმბათისებური ფორმა [4]. აღმავალი ფაზა შეესაბამება იონის დაკავშირებისა და გადატანის პროცესს, ხოლო დაღმავალი - მის გამონთავისუფლებას. ზოგ შემთხვევაში სატრანსპორტო იონის გარკვეულ კონცენტრაციულ ფარგალში აღმავალი ფაზის შემდეგ მრუდი გადადის პლატოში, ე.ი. აღწევს მონევენებით ზღვრულ სიჩქარეს, რასაც მოსდევს დაღმავალი ფაზა.

ჩვენი მონაცემებით,  $HCO_3^-$ -ATP-აზისთვის ეს პირობა სრულდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფერმენტული რეაქცია მიმდინარეობს არეში, სადაც ქლორის იონების კონცენტრაცია მინიმალურია (სურ. 2), ხოლო საინკუბაციო არეში ორივე ანიონის ( $HCO_3^-$  და  $Cl^-$ ) თანაფორმისას

მიიღება ურთიერთსაპირისპირო ეფექტი. კერძოდ, ერთ-ერთი ანიონით გამოწვეული აქტივაციის ფაზა ემთხვევა მეორე ანიონით გამოწვეულ დაღმავალ ფაზას, და საპირისპიროდ, რაც იწვევს ეფექტების გადახურვას.

მიღებული შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ  $\text{HCO}_3^-$  იონებით აქტივირებული Mg-დამოკიდებული ATPაზა აკმაყოფილებს ტრანსპორტული ATP-აზების აუცილებელ კინეტიკურ თავისებურებას ( $V = f[\text{HCO}_3^-]$  დამოკიდებულების ამსახველი მრუდის გუმბათისებური ფორმა) მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სისტემის მუშაობის ოპტიმალური რეჟიმი ითვალისწინებს ქლორის ანიონებიდან თავისუფალ არეს, ხოლო ATPაზას სუბსტრატს წარმოადგენს MgATP კომპლექსი.

## ლიტერატურა

1. *Казанов А.М., Маслова Т.Н. Ж. Эвол. Биохим. Физиол.*, 1980, 16, 81-87.
2. *Ivashenko A.T. Biochemistry*, 1980, 45, 424-429.
3. *Izutsu K.T., Siegel J.A. Biochem. Biophys. Acta.* 1972, 284, 355-578.
4. *Kometiani Z., Nozadze E. Bull. Georgian Natl. Acad. Sci.*, 2007, 175, 106-109.
5. *Tsakadze L., Dzneladze S., Kometiani Z. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. B.* 2007, 5, 9-13.
6. *Tsakadze L., Dzneladze S., Kometiani Z. Proc. Georgian Acad. Sci., Biol. Ser. B.* 2007, 5, 5-7.

## Mg-ЗАВИСИМАЯ, АКТИВИРУЕМАЯ $\text{HCO}_3^-$ -ИОНАМИ АТРаза

*Л. Цакадзе, М. Леладзе, С. Дзnelадзе*

Институт Физиологии им. И.С. Бериташвили, Тбилиси

### РЕЗИОМЕ

$\text{HCO}_3^-$ -активируемая Mg-зависимая АТРаза удовлетворяет тем условиям, которые необходимы для транспортных АТРаЗ (кривая зависимости  $V = f[\text{HCO}_3^-]$  имеет колоколообразный вид) в том случае, если оптимальный режим работы системы подразумевает свободную от хлора среду.

## $\text{HCO}_3^-$ -IONS ACTIVATED Mg-DEPENDENT ATPase

*L. Tsakadze, M. Leladze, S. Dzneladze*

I. Beritashvili Institute of Physiology, Tbilisi

### SUMMARY

$\text{HCO}_3^-$ -ions activated Mg-dependent ATPase satisfies the necessary kinetic peculiarity of ATPases ( $V = f[\text{HCO}_3^-]$  dependence is bell-shaped curve) just in case if the optimal regime of the system's functioning implies the  $\text{Cl}^-$  anions free medium.

## $Mn^{2+}$ -ით აქტივირებული $Mg^{2+}$ -დამოკიდებული ATP-ის

გ. ჭკადუა, ლ. შიოშვილი, ნ. კვიციანიძე

ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

მიღებულია 28.10.2009

$Mn^{2+}$  ყველა ცოცხალი ორგანიზმისთვის მნიშვნელოვან მიკროელემენტს წარმოადგენს. მისი ტრანსპორტი მიკროორგანიზმებში ხორციელდება გადამტანითა და P-ტიპის ATP-ების მეშვეობით. თეთრ ვირთავას თავის ტვინის ფრაქციებში ჩვენ მიერ ნანახი იქნა  $Mn^{2+}$ -ით განპირობებული Mg-ATP-ის აქტიურობის ცვლილება. Mn-ATP-ის მოლეკულური მექანიზმის შესწავლამ აჩვენა, რომ ის წარმოადგენს მინიმუმ დიმერს, რომლის სუბსტრატია MgATP-ის კომპლექსი. Mn-ATP-ის შესაძლოა ახორციელებდეს  $Mn^{2+}$ -ის ტრანსპორტს. დადგინდა  $Mn^{2+}$ -ის როგორც აუცილებელი აქტივატორის, ისე სრული ინიზიტორის უბნების რიცხვი.

საკვანძო სიტყვები: Mn-ATP-ის, ორვალენტიანი იონები, ფერმენტული კინეტიკა

$Mn^{2+}$  მნიშვნელოვან როლს ასრულებს ცოცხალი ორგანიზმების ფუნქციონებაში. ის მრავალი ფერმენტული სისტემის კოფაქტორს წარმოადგენს. ყველაზე კარგად ცნობილი  $Mn^{2+}$ -ის შემცველი პოლიპეპტიდებია არგინინაზა, ბაქტერიის ტოქსინი და  $Mn^{2+}$ -ის შემცველი სუპეროქსიდისმუტაზა (Mn-SOD). ადამიანის ორგანიზმში  $Mn^{2+}$  დაახლოებით 10 მკ-ია და ძირითადად აკუმულირებულია ღვიძლსა და თირკმელებში. ცოცხალი ორგანიზმისთვის, მიუხედავად აღნიშნული მიკროელემენტის დიდი მნიშვნელობისა, მაღალი კონცენტრაციის ფარგალში  $Mn^{2+}$  ტოქსიკური ელემენტია და მისი მომატებული კონცენტრაცია ძუძუმწოვრებში იწვევს  $Mn^{2+}$ ით მოწამვლას, ე.წ. მანგანიზმს. ამრიგად, ცოცხალი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია აღნიშნული ელემენტის კომეოსტაზის შენარჩუნება. ეს შესაძლებელია იმ სატრანსპორტო სისტემების მეშვეობით, რომლებიც ახორციელებს  $Mn^{2+}$ -ის გადატანას. უჯრედში არსებობს სპეციფიკური მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც ხორციელდება  $Mn^{2+}$ -ის ტრანსპორტი მემბრანის გავლით. ბაქტერიებში  $Mn^{2+}$  ტრანსპორტირდება, ერთი მხრივ, სწრაფი და არასპეციფიკური გადამტანის (CorA სისტემა) და, მეორე მხრივ, ნელი და სპეციფიკური P-ტიპის ATP-ის მეშვეობით (MgtA, MgtB) [8] ჩვენ მიერ თეთრი ვირთავას თავის ტვინის

სინაფსური მემბრანების და მიკროსომების ფრაქციაში ნანახი იქნა  $Mn^{2+}$  ით აქტივირებული ATP-აზური აქტიურობა [6, 7]. აღნიშნული ფერმენტული სისტემის მოლეკულური მექანიზმის და თვისებების შესწავლა საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ  $Mn^{2+}$ -ის კონცენტრაციის დონის რეგულაციის მექანიზმი. ინფორმაცია Mn-ATP-აზური სისტემის მოლეკულური მექანიზმის შესახებ თითქმის არ არსებობს. ამის მიზეზია ფერმენტული სისტემის მრავალუბნიანობით გამოწვეული რთული გეომეტრიული ფორმის კინეტიკური მრუდები, რომელთა ანალიზი შეუძლებელია კლასიკური მიხაელის-მენტენის კინეტიკის მეშვეობით. აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ერთადერთ გზას წარმოადგენს ზ. ქომეთიანის მიერ შემუშავებული და აპრობირებული მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდი [4].

$Mn^{2+}$ -ით აქტივირებული ATP-აზის ფუნქციისა და რეგულაციის გზების გაგების მიზნით, აუცილებელია შესწავლიდ იქნას მისი მოქმედების მოლეკულური მექანიზმი. სწორედ Mn-ATP-აზის მოლეკულური მექანიზმის ზოგიერთი საკითხის გარკვევას ეძღვნება ეს ნაშრომი.

## მასალა და მეთოდები

პრეპარატად გამოიყენებოდა თეთრი ვირთაგვას თავის ტვინიდან დიფერენცირებული ცენტრიფუგირების მეთოდით საქაროხას გრადიენტში მიღებული სინაფსური მემბრანების (1,2-0,9 M) [9] და მიკროსომული (0,32 M) ფრაქციები [3]. ცილის კონცენტრაცია ისაზღვრებოდა ლოურის მეთოდით [5], ხოლო არაორგანული ფოსფორი – მიდიფიცირებული ფისკე-სუბაროუს მეთოდით [1].

ATP-აზურ აქტიურობაზე ვმსჯელობდით ფერმენტის მიერ ATP-ის დაშლისას გამოყოფილი არაორგანული ფოსფორის რაოდენობით მილიგრამ ცილაზე საათში. Mn-ATP-აზური აქტიობა ისაზღვრებოდა უშუალოდ  $Mn^{2+}$  ის დამატებით გამოწვეული Mg-ATP-აზური აქტიურობის ცვლილებით. ამრიგად, Mn-ATP-აზური აქტიურობა ისაზღვრებოდა სხვაობით, რომელიც მიიღებოდა, ერთი მხრივ, სარეაქციო არეში  $Mn^{2+}$  ის არსებობის და, მეორე მხრივ, არარსებობის პირობებში, სხვა დანარჩენი პირობების მუდმივობისას (შესაბამისი კონცენტრაციის ATP და  $Mg^{2+}$ , Tris-HCl 30 mM, pH 7,7). ცდები ექვემდებარებოდა მკაცრ სტატისტიკურ დამუშავებას.


თავისუფალი ATP,  $Mg^{2+}$ ,  $Mn^{2+}$ , MnATP და MgATP კონცენტრაციის განსაზღვრა ხორციელდებოდა MnATP და MgATP კომპლექსების დისოციაციის კონსტანტების მნიშვნელობების გათვალისწინებით: MgATP-ისთვის  $K_d = 0,0603$  mM, MnATP-ისთვის  $K_d = 0,0166$  mM [2].

ექსპერიმენტული მრუდების ანალიზისთვის ვიყენებდით მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდს [4].

## შედეგები და მათი განხილვა

Mn-ATP-აზის მოლეკულური მექანიზმის კვლევისას, თავდაპირველად შესწავლილ იქნა ATP-აზური აქტიურობა, სარეაქციო არეში მხოლოდ ATP-ის

და  $Mn^{2+}$ -ის თანაობისას. ცდებმა აჩვენა, რომ  $Mn^{2+}$ -ის კონცენტრაციის საკმაოდ დიდ ფარგალში ( $0,000005 \text{ mM} < [Mn^{2+}] < 0,58 \text{ mM}$ ), ATP-ის აქტიურობა არ შეინიშნებოდა ( $0,3 \pm 0,3 - 0,15 \pm 0,6$  მკმოლი  $Pi$ /სთ მკ ცილა). აქედან გამომდინარე, Mn-ATP-ის სუბსტრატს არ წარმოადგენს MnATP-ის კომპლექსი და თავისუფალი ATP. კვლევამ აჩვენა, რომ ფერმენტული სისტემა არ მუშაობს  $Mg^{2+}$ -ის იონების არარსებობისას და მისი აქტიურობისათვის აუცილებელია სარეაქციო არეში ერთდროულად  $Mg^{2+}$ -ის და  $Mn^{2+}$ -ის იონების დამატება [8], ე.ი ფერმენტული სისტემის სუბსტრატს წარმოადგენს MgATP-ის კომპლექსი. უნდა აღინიშნოს, რომ მარტო ATP-ის და  $Mg^{2+}$ -ის იონების თანაობისას ისაზღვრებოდა MgATP-ის აქტიურობა. ამრიგად,  $Mn^{2+}$ -ის იონების დამატებით ვლდებულობით  $Mn^{2+}$ -ით განპირობებულ MgATP-ის აქტიურობის ცვლილებას, რასაც ვუწოდებთ Mn-ATP-ის აქტიობა. Mn-ATP-ის მოლეკულური მექანიზმის შესწავლა დაიწყო ფერმენტული აქტიურობის (V) MgATP-ის კონცენტრაციაზე დამოკიდებულების ანალიზით. აღნიშნული დამოკიდებულება ორმაგშებრუნებულ კოორდინატა სისტემაში წარმოდგენილია სურათზე 1. სარეაქციო არეს შემადგენლობა იყო:  $Mg^{2+} = 0,4 \text{ mM}$ ,  $Mn^{2+} = 5 \text{ nM}$ ,  $0,3 \text{ mM} < MgATP < 2,3 \text{ mM}$ ,  $0,045 < ATP < 0,35 \text{ mM}$ ,  $0,014 \mu\text{M} < MnATP < 0,11 \mu\text{M}$ .




სურ. 1. Mn-ATP-ის აქტიურობის (V) დამოკიდებულება MgATP-ის (S) კონცენტრაციაზე (mM) შებრუნებულ კოორდინატა სისტემაში.  $Mg^{2+} = 0,4 \text{ mM}$ ,  $Mn^{2+} = 5 \text{ nM}$ ,  $0,3 \text{ mM} < MgATP < 2,3 \text{ mM}$ ,  $0,045 \text{ mM} < ATP < 0,35 \text{ mM}$ ,  $0,014 \mu\text{M} < MnATP < 0,11 \mu\text{M}$

სურათიდან 1 ჩანს, რომ MgATP-ის დაბალი კონცენტრაციების ფარგალში  $MgATP < 1,7 \text{ mM}$  ადგილი აქვს ფერმენტული სისტემის აქტივაციას, ხოლო მაღალი კონცენტრაციებისას  $MgATP > 1,8 \text{ mM}$ , MgATP წარმოადგენს ფერმენტული სისტემის ინჰიბიტორს. სურათზე შეიმჩნევა გადაღუნვის და მოტრიალების წერტილების არსებობა, ხოლო არგუმენტის მაღალი მნიშვნელობის ფარგალში  $1/MgATP > 1 \text{ mM}$ ,  $1/V = f(1/MgATP)$  ფუნქცია იძლევა წრფივ დამოკიდებულებას. მრავალუბნიანი ფერმენტული სისტემების კინეტიკური ანალიზის მეთოდის საფუძველზე, არგუმენტის მაღალი მნიშვნელობის ფარგალში  $1/MgATP > 1 \text{ mM}$ ,  $1/V = f(1/MgATP)$  ფუნქციის წრფივობა აუცილებელი და საკმარისი პირობაა იმისთვის, რათა ითქვას,

data. In contrast, the moment of changing monochromatic, as well as transitory binary colors to achromatic, i.e. the moment when green and red samples were perceived as achromatic gray was well expressed and, there was less discrepancy in data. Therefore, in such cases we have used just this criterion, i.e. determination was made of that level of illumination chromaticity at which a chromatic color changed to achromatic. Although this level of chromaticity in the presence of transitory colors does not represent an absolute threshold for constant perception of the given pigment color, because of this it is given in parenthesis, its value should be mainly determined just by the constant perception threshold for the given color. In any case, a minimal level of illumination chromaticity at which chromatic color of the given pigment color sample changed to achromatic represents the determinant parameter for the functional state of color constancy mechanisms. Thus, once the thresholds are defined, one may determine an individual's constant perception ability ranges for color samples under conditions of illumination alteration in different directions what reflects individual's constant perception possibility and functional state of color constancy mechanisms.

For the purpose of evaluation of color constant perception rate there have been conventionally used the so-called Brunswick ratio, its modified version or the so-called constancy index [7, 18, 10, 9, 20], according to which if the coefficient value equals 1.0, then there is an absolute (full) constancy, while if it equals zero, then no constant perception takes place. On an average, at constant perception the index equals 0.84 [9]. This coefficient is defined by the method when visual stimulus in non-void viewing condition is illuminated by the light whose boundaries coincide with the stimulus edges. The experimental subject can alter with the aid of a special handle the spectral content of the light in such a way that its sum intensity thereat remains unchanged. The subject is asked to set up the illumination spectral content in such a way that the illuminated stimulus would be perceived as achromatic. Experimental subjects are required to accomplish such achromatizing setting of one and the same color sample under two diverse illuminations, in particular, under standard and test illumination. By this method they indirectly measure ratio of shifts of the sample color in color space in the case of standard and test illumination, with and without constancy phenomena and this ratio represents constancy index.




Fig. 1. The adaptation stimuli




Fig.2. The test-stimulus

For quantitative evaluation of constancy degree we use a diverse, relatively simple and, in our opinion, closer to natural conditions method, described above. Under conditions of alteration of illumination chromaticity in a given direction, this method allows determination of that threshold level of chromaticity at which there is default of color constancy mechanisms as a result of which constant perception of the given sample color does not occur.

So the individuals under study were requested to report the moment when during stepwise reddening, greening, or bluing of the illumination, the colored samples became gray and this level of chromaticity of illumination is considered as "thresholds" of color constant perception. After determining the color constancy "thresholds" for red and green pigment color samples, in conditions of stepwise increase of chromaticity, the individuals were subjected to the MCE and then the color constancy "thresholds" were measured anew.

Acquisition of the MCE was carried out with the aid of a computer. The subjects were presented alternatively with vertical black-red and horizontal black-green adaptation gratings (Fig. 1) on the PC monitor (exposition time – 4 s). Inter-exposition dark time was 2 s. Following 25 presentations of each orientation grating the individuals under study were presented with the test stimulus, which represented combined black-and-white grid made of vertical and horizontal stripes (Fig. 2) to determine whether elaboration of MCE took place.

## RESULTS

In 18 individuals out of 24 (75%), following the MCE acquisition, statistically significant alterations of the constant perception "thresholds" for pigment colors did occur (see Table 1). The table shows that majority cases of alterations were noted along the one axis only, i.e. when illumination changes along the red, green or blue axes of color space. Relatively infrequent alterations were found along the two axes and in one case only – along all three axes. In addition, these alterations could be represented in both increase and decrease of the threshold. In table 1 those cases are presented, when the

statistically significant alterations did occur. The (+) shows increase of the threshold, and (-) – its decrease. The table shows that determination of any regularity in the threshold's shift characteristics, at least at the current stage of investigation, is impossible. It should be noted that the thresholds remained altered until the subject maintained the MCE. Following the effect passage, the thresholds returned to initial values.

Table 1

**Alterations of color constant perception “thresholds”, induced by the MCE acquisition, during reddening ( $\Delta R$ ), greening ( $\Delta G$ ), and bluing ( $\Delta B$ ) of the illumination**

S	$\Delta I$		
	$\Delta R$	$\Delta G$	$\Delta B$
D.J.	-	-	0
M.M.	0	+	0
I.L.	0	+	0
M.R.	0	-	0
A.K.	0	0	+
M.K.	0	0	-
N.L.	0	0	-
T.K.	+	-	0
K.A.	+	0	0
M.S.	0	-	0
B.S.	-	0	-
A.B.	+	+	0
D.D.	-	+	+
A.Q.	0	-	-
D.T.	-	-	0
T.A.	+	0	0
R.A.	0	-	0
L.P.	0	+	0

S – Subject,  $\Delta I$  – shift of illumination (details see in the Results)

**DISCUSSION**

The color of the pigment color, i.e. color of non-luminous surface at white illumination usually is named as true color of this surface. The phenomenon of the color constancy implies that in a case of natural viewing conditions during weak and moderate chromatic illumination the pigment colors change their color though they retain their true color category. The pigment colors in that range of illumination chromaticity intensities (weak

and moderate) in which they change their color but retain their true color category properties, due to the color constancy mechanisms may be considered as constant colors. Along with increased chromaticity of illumination some of the pigment colors change their true color category sooner and others – later, and attain a color, which may be designated as non-constant color [3, 4]. In a case of non-constant, as well as in a case of true colors, there is a correlation between the radiation coming from the pigment color sample surface and its color or, in other words, the color determining physical parameter is a SED of light coming from the given region to the eye. In a case of constant color, when the illumination is chromatic, there does not exist any correlation between the radiation coming from the surface and the color of this surface. In this case, the physical parameter which determines surface color is dominantly the reflectance of this surface and in less extent, illumination character. Particularly reflectance of the surface determined color category of color and illumination determined what color will be concretely this color category.

So when illumination is changed, in particular after transition from white illumination to chromatic when chromaticity of illumination is elevated stepwise the pigment color sample changes color but retains its true color category, (category perceived at white illumination) until certain stage of illumination chromaticity elevation, due to color constancy mechanisms and these colors, as stated above, may be considered as constant colors. Then, when constancy mechanisms become unable to make compensatory-correcting shifts of appropriate intensity color sample true color category changes and constant color transits into non-constant color. The moment of transition of constant color into the non-constant color or, in other words, when true color category (which is the same in a case of true and constant colors) is changed while the other represents a threshold of pigment color constant perception, in conditions of alterations in illumination chromaticity, its intensity, or both of these parameters, in the given direction. Just this situation took place in our experiments in which the illumination alteration was displayed in its chromaticity elevation. At first the subject perceived the true colors of samples (at white illumination), which, in case of increased chromaticity, were changed with constant colors (at weak or moderate chromatic illumination), and then transited into non-constant colors (at strong chromatic illumination) which have different color categories than true and constant colors. The level of chromaticity at which true color category is changed by another (or constant color transits in non-constant color) is considered as threshold for constant perception of color in case of changing illumination in a given direction.

The data obtained in our experiments show that in the majority of individuals investigated (75%), following acquisition of the MCE, statistically reliable alteration of the “thresholds” of pigment color constant perception occurs.

So, in accordance with our early investigations, which show that MCE elaboration causes the shifts of spectral [5] and pigment [14] color discrimination thresholds, as in normal, so in naturally [12] and artificially [1] color anomaly human subjects, present investigation once more indicates that MCE generates significant shifts in functional state of color visual subsystem. These shifts according to our view are mainly realized by compensatory-correcting mechanisms, in particular, by color constancy mechanisms and data presented in this paper about alterations of the pigment color constant perception thresholds, due to elaboration of MCE also speak in favor of this theory.

REFERENCES

1. ინწკირველი ი., კეზელი ა., მალანია მ., როინიშვილი მ., ჯანელიძე დ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2002, 28, 65-71.
2. ჯანელიძე დ., კეზელი ა., მალანია მ., როინიშვილი მ., ტარახაშვილი მ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., 2004, 30, 143-150.
3. ჯანელიძე დ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., A, 2005, 31, 777-785.
4. ჯანელიძე დ. საქ. მეცნ. აკად. მაცნე, სერ. ბიოლ., A, 2005, 31, 965-973.
5. Kezeli A.P., Džanelidze D.O., Lebanidze T.D., Ciscakarišvili N.M. Известия АН ГССР, серия биологическая, 1991, 17, 221-226.
6. Kezeli A. P., Džanelidze D. O., Lebanidze T. D., Kezeli T. A. Сенсорные системы, 2001, 15, 36-43.
7. Arend L., Reeves A. Journal of the Optical Society of America, 1986, A3, 1743-1751.
8. Barnes J., Howard R.J., Senior C., Brammer M., Bullmore E.T., Simmons A., David A.S. Neuro Report, 1999, 10, 195-199.
9. Brainard D.H. Journal of the Optical Society of America, 1998, A15, 307-325.
10. Bramwell D.I., Hurlbert A.C. Perception, 1996, 25, 229-241.
11. Dodwell P.C., Humphrey K.G. Psychological Review, 1990, 97, 78-89.
12. Intskirveli I., Kezeli A., Kezeli T., Lebanidze T., Janelidze D. Bull. Georgian Acad. Sci., 2000, 162, 141-143.
13. Ishihara Tests for Colour-Blindness. 24 Plates Edition. Kanehara and Co., Ltd, Tokyo-Japan, 1991.
14. Janelidze D., Intskirveli I., Roinishvili M., Malania M., Sharikadze M. Georgian Journal of Neuroscience, 2001, 1, 35-40.
15. McCollough C. Science, 1965, 149, 1115-1116.
16. Pokorny J., Shevell S.K., Smith V.C. Colour appearance and colour constancy. In: Vision and Visual Dysfunction, 1991, v.6, Ch.4, 43-61, General ed. J. Gronly-Dillon, MacMillan Press.
17. Thompson P., Latchford G. Nature, 1986, 320, 525-526.
18. Troost J.M., Weert C.M. Perception and Psychophysics, 1991, 50, 591-602.
19. Worthey J.A. Journal of the Optical Society of America, 1985, A2, 1014-1026.
20. Yang J.N., Shevell S.K. Vision Research, 2002, 42, 1979-1989.
21. Zeki S.M. Neuroscience, 1983, 9, 741-765.
22. Zeki S.M. Discussions in Neuroscience, 1990, 6, 2.
23. Zeki S.M. A Vision of the Brain. Blackwell Scientific Publications, 1993.

**მაკ-კოლაფის ეფექტის გავლენა პიგმენტური ფერების კონსტანტური აღქმის “ზღურბლებზე”**

დ. ჯანელიძე, მ. მალანია, ა. კეზელი

ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი

**რეზიუმე**

ნაჩვენებია, რომ მაკ-კოლაფის ეფექტი (მკმ) იწვევს სპექტრული [5] და პიგმენტური [14] ფერების აღქმის უნარის ცვლილებებს, რაც განპირობებული უნდა იყოს ფერების აღქმის სისტემის ფუნქციური ცვლილებებით. გამოთქმულ

იქნა მოსახზრება, რომ მამ-ს გამომუშავება და ეს ცვლილებები განპირობებულია ფერების კონსტანტური აღქმის მექანიზმების აქტიურობით [5, 6, 14, 17]. ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შეგვესწავლა, ახდენს თუ არა მამ გავლენას პიგმენტური ფერების კონსტანტური აღქმის ზღურბლებზე. გამოკვლევაში მონაწილეობდნენ ნორმალური ფერადი მხედველობის მქონე ცდის პირები (20-დან 60 წლამდე ასაკის ორივე სქესის 24 ინდივიდი), რომელთაც ჩაბნელებულ ოთახში წარედგინებოდათ ქაღალდის წითელი და მწვანე ფერის ნიმუშები. ნიმუშების განათება თავდაპირველად იყო თეთრი, ხოლო შემდეგ ადგილი ჰქონდა მისი ქრომატულობის თანდათანობით ზრდას ფერითი სივრცის წითელი, მწვანე ან ლურჯი დერძის გასწვრივ. განათების ქრომატულობის ზრდა ხდებოდა ისე, რომ ამ დროს მისი ჯამური ინტენსივობა არ იცვლებოდა. ექსპერიმენტის მსვლელობისას ცდის პირებს უნდა დაეფიქსირებიათ განათების ქრომატულობის ის დონე, რომლის დროსაც წითელი და მწვანე ფერის ნიმუშები იცვლიდა მათ ფერით კატეგორიას, რაც ფაქტურად წარმოადგენდა მოცემული ფერის კონსტანტური აღქმის ზღურბლს, განათების ქრომატულობის მოცემული მიმართულებით ზრდისას. ზღურბლების განსაზღვრის შემდეგ ცდის პირებს ვუპუშავებდით მამ-ს და ხელახლა ვზომავდით ზღურბლებს. დადგენილ იქნა, რომ მამ-ს გამომუშავების შემდეგ ადგილი აქვს ფერების კონსტანტური აღქმის ზღურბლების სარწმუნო ცვლილებებს, თუმცა რაიმე კანონზომიერების დადგენა ამ ცვლილებების ხასიათში ვერ მოხერხდა. მიღებული შედეგები გვიჩვენებს, რომ მამ-ს გამომუშავება იწვევს ფერის კონსტანტური აღქმის მექანიზმების ფუნქციური მდგომარეობის ცვლილებას, რაც მეტკვებებს იმ ჰიპოთეზის სასარგებლოდ, რომლის თანახმად მამ-ს გამომუშავება სწორედ ამ მექანიზმებით უნდა ხორციელდებოდეს.

## ВЛИЯНИЕ ЭФФЕКТА МАК-КОЛЛАФ НА “Пороги” КОНСТАНТНОГО ВОСПРИЯТИЯ ПИГМЕНТНЫХ ЦВЕТОВ

*Д. Джanelidze, М. Malania, А. Kezeli*

Институт физиологии им. И.С. Бериташвили, Тбилиси

### РЕЗЮМЕ

Показано, что эффект Мак-Коллаф (ЭМК) вызывает изменения способности восприятия спектральных [5] и пигментных [14] цветов, что должно быть обусловлено изменением функционального состояния системы цветовосприятия. Было высказано предположение, что выработка ЭМК осуществляется с помощью механизмов константности цветовосприятия [5, 6, 14, 17]. Целью нашего исследования являлось установить, влияет ли выработка ЭМК на пороги константного восприятия пигментных цветов. Опыты проводились на испытуемых с нормальным цветовым зрением (на 24 индивидах обоего пола, в возрасте от 20-ти до 60 лет), которым в затемнённой комнате предъявлялись бумажные образцы красного и зелёного цвета. Образцы вначале освещались белым светом, а затем образло место постепенное увеличение хроматичности освещения вдоль красной, зелёной или синей осей цветового пространства. Увеличение хроматичности освещения происходило таким образом, что при этом его суммарная интенсивность не менялась. В ходе эксперимента испытуемые должны были определить тот уровень хроматичности освещения, при котором

красные или зелёные образцы меняли свою цветовую категорию, что фактически являлось порогом константного восприятия данного цвета при увеличении хроматичности освещения в данном направлении. После определения порогов, испытуемым вырабатывали ЭМК и затем заново измеряли пороги. Было установлено, что после выработки ЭМК имели место достоверные изменения порогов константного восприятия цветов, хотя не удалось выявить какой-либо закономерности в характере этих изменений. Полученные данные показывают, что выработка ЭМК вызывает изменения функционального состояния механизмов константного восприятия цвета, что говорит в пользу гипотезы, согласно которой реализация ЭМК происходит посредством именно этих механизмов.

## თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლების შედარება მაკე და არამაკე ვირთაგვებში

*მ. ჯანელიძე, ე. სუხიშვილი, ე. ბიბილური, ნ. საყვარელიძე,  
ნ. მითავარი*

პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია; ი. ლერიტაშვილის  
ფიზიოლოგიის ინსტიტუტი

მიღებულია 05.12.2009

კვლევის მიზანს წარმოადგენდა მაკე ვირთაგვებში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლების შესწავლა, რაც აუტორეგულაციის სისტემის ცალკეული მექანიზმების თავისებურების გარკვევის საშუალებას მოგვცემდა.

ცდები ჩატარდა გესტაციის მოგვიანო სტადიაში მყოფ და არამაკე საკონტროლო ჯგუფის ცხოველებზე. გამოყენებული იყო აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექციური ინჰიბიტორი ნიტრო-L-არგინინი მეთილ ესტერის ორგანიზმში შეყვანით.

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლების შესწავლა ხდებოდა მწვავე ცდების პირობებში. სისხლის ადგილობრივი ნაკადის რეგისტრაციისთვის ვიყენებდით წყალბადის ელექტროქიმიურ გენერაციის მეთოდს, რომელიც დროში უწყვეტად იძლევა სისხლის ნაკადის თვისობრივი ცვლილების რეგისტრაციის საშუალებას.

მიღებული მახასიათებლების ანალიზი და აუტორეგულაციის ცალკეული მექანიზმების ფუნქციონის ეფექტურობის შეფასება გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მაკე ცხოველების ორგანიზმში, აზოტის ოქსიდის ჭარბი გენერაციის გამო სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის მექანიზმის მოქმედების ეფექტურობა დაქვეითებულია, მაგრამ მისი სრული მოშლა არ ხდება.

საკვანძო სიტყვები: მაკე ვირთაგვები, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია, აზოტის ოქსიდი

ჰიპერტენზული ენცეფალოპათიისას სისხლძარღვშიდა წნევის მკვეთრი და ჭარბი გაზრდა იწვევს სისხლძარღვთა ძალისმიერ დილატაციას და ცერებროვასკულური წინააღობის შესაბამის ამეცირებას. ამას, ბუნებრივად, მოსდევს თავის ტვინის მიკროცირკულაციის სისტემაში სისხლის წნევის

მატება, რის შედეგად შესაძლოა განვითარდეს ვაზოგენური შეშუპება (5). ვინაიდან მშობიარენი, რომელთაც უვითარდებათ ეკლამპსია, ფეხმძიმობამდე უმეტესწილად ნორმოტენზულები იყვნენ, ციპოლამ და თანამშრომლებმა [4] გამოთქვეს მოსაზრება, რომ ფეხმძიმობის პერიოდი განაპირობებს ან ხელს უწყობს ცერებრული არტერიების ძალისმიერი დილატაციის მდგომარეობის აღმოცენებას, რასაც წნევის მომატებისას მიყვავართ ეკლამპსიის სიმპტომატიკამდე. ჩვენ მიერ აღრე გამოქვეყნებულ ექსპერიმენტულ კვლევაში ნაჩვენებია იყო, რომ ვირთაგვებში გესტაციის მოგვიანო სტადიაში (მესამე ტრიმესტრი) საკონტროლო, არამაკე ცხოველებთან შედარებით ხდება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის მრუდის წანაცვლება დაბალი წნეების მიმართულებით [11]. დადგინდა აგრეთვე, რომ აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბიცია იწვევს უკუფექტს – აუტორეგულაციის მრუდის გადანაცვლებას მაღალი წნეებისკენ და, ამასთან ერთად, მაკე და საკონტროლო ვირთაგვების თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის მრუდის მახასიათებლების სტატისტიკურად სარწმუნო სხვაობის მოსპობას. გამომდინარე ზემოთქმულიდან, ჩვენ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ მაკე ვირთაგვებში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლების შესწავლა, რაც აუტორეგულაციის რისტემის ცალკეული მექანიზმების თავისებურების გარკვევის საშუალებას მოგვცემდა.

## მასალა და მეთოდები

ცდები ჩატარდა გესტაციის მოგვიანო სტადიაში (19-21-ე დღე) მეოფ 12 ცხოველზე და არამაკე (2 ექვცხოველიანი საკონტროლო ჯგუფი). გამოყენებული ცხოველების მასა შეადგენდა 270-330 გრამს.

აზოტის ოქსიდის სინთაზას არასელექციური ინჰიბიტორი (L-NAME – ნიტრო-L-არგინინ მეთილ ესტერი) ცხოველებში (6 მაკე და 6 არამაკე, საკონტროლო ვირთაგვა) შეგვყავდა ცნობილი სქემით [7, 10]: 7 დღის განმავლობაში ინჰიბიტორი ემატებოდა სასმელ წყალს (0,5 გ/ლ – არამაკე ცხოველებისთვის და 0,7 გ/ლ მაკე ცხოველებისთვის გესტაციის ბოლო ტრიმესტრში).

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლების შესწავლა ხდებოდა მწვავე ცდების პირობებში (მაკე ცხოველებში გესტაციის 19-21-ე დღეს). ცდების დაწყებამდე, 400 მგ/კგ ქლორალჰიდრატის ნარკოზის ქვეშ მარჯვენა თემოს არტერიიდან მუცლის აორტაში შეგვყავდა გასაბერბოლიანი კათეტერი, რომლის ბოლო ჰერმეტიკულად იყო დაფარული თხელი რეზინით. კათეტერი შეესებოდა იყო ფიზიოლოგიური ხსნარით, ხოლო მეორე, თავისუფალი ბოლო მიერთებული იყო ასევე ფიზიოლოგიური ხსნარით შევსებულ შპრიცზე. კათეტერში ხსნარის დოზირებული შეყვანით იბერება თხელი რეზინი და სხვადასხვა ხარისხით (დამოკიდებული შეყვანილი სითხის მოცულობაზე) ვიწროვდება მუცლის აორტის სანათური, რაც იწვევს სისტემური არტერიული წნევის შესაბამის მკვეთრ მატებას. ანალოგიური კათეტერი შეგვყავდა მარჯვენა


ბარძაყის ვენიდან ღრუ ვენაში, რომლის ოკლუზია იწვევდა სისტემური არტერიული წნევის დაქვეითებას.

სისტემური არტერიული წნევის რეგისტრაციისთვის ჰეპარინიზებული კათეტერი შეგვკავდა მარჯვენა ლავიწქვეშა არტერიაში, ისე, რომ არ ჩაეკეტა მარჯვენა საძილე არტერია. კათეტერის მეორე ბოლო უერთდებოდა წნევის გამზომი ელექტრომანომეტრის გადამწოდს.

თავის ტვინის ქერქში ადგილობრივი სისხლის ნაკადის რეგისტრაციისთვის ვიყენებდით წყალბადის ელექტროქიმიური გენერაციის მეთოდს [9], რომელიც ფაქტიურად წყალბადის კლირენსის მეთოდის [2] მოდიფიკაციას წარმოადგენს. ამ მეთოდის გამოყენებისას წყალბადის გენერაცია ქსოვილში ხდება ლოკალურად. ფარადეის კანონის თანახმად, გენერირებული წყალბადის რაოდენობა გენერაციის წრედში გამავალი დენის სიდიდისა და ხანგრძლივობის პროპორციულია [1]. ცნობილია, რომ ელექტროლიტის ხსნარში წყალბადის იონები აღდგება მოლეკულურ წყალბადამდე პლატინის ელექტროდზე, თუ მას მოვდებთ უარყოფით პოტენციალს. აქედან გამომდინარე, თუ ტვინში მოთავსებულ ორ ელექტროდს შორის გავატარებთ ელექტრულ დენს, მაშინ პლატინის ელექტროდის გარშემო წარმოიქმნება ატომური წყალბადი, რომელიც სწრაფად გადადის მოლეკულურში. თუ ექსპერიმენტის დროს არ შევცვლით დენის ძალას, წარმოქმნილი წყალბადის რაოდენობა ელექტროდის მომიჯნავე ქსოვილში დამოკიდებული იქნება წყალბადის დიფუზიაზე გარემომცველ არეში და სისხლის ნაკადის ინტენსივობაზე, რომელიც უზრუნველყოფს წყალბადის მოლეკულების აქტიურ გამორეცხვას. ვინაიდან პირველი ფაქტორი (დიფუზია) არის მუდმივმოქმედი და მისი პარამეტრები ექსპერიმენტის დროს არ იცვლება, შეიძლება დავუშვათ, რომ წყალბადის მოლეკულების რაოდენობის ცვალებადობა გენერაციის ზონაში ფაქტიურად დამოკიდებულია მხოლოდ სისხლის ნაკადის ინტენსივობაზე. ამრიგად, გენერაციის ზონაში არსებული პლატინის მეორე ელექტროდის საშუალებით შეიძლება გაიზომოს წყალბადის პარციალური წნევის ცვლილება, რაც ფაქტიურად ტვინში სისხლის ნაკადის ცვლილების დინამიკის რეგისტრაციაა. ორივე პროცესი (გენერაცია და გაზომვა) ხორციელდება ორ, ერთმანეთთან ახლოს მყოფ წერტილებში პლატინის ელექტროდების საშუალებით.

აღნიშნული მეთოდი ქსოვილში სისხლის ნაკადის თვისობრივი ცვლილებების გაზომვისთვის გამოიყენება. სხვა მეთოდებისგან განსხვავებით, მას ახასიათებს მცირე ინერციულობა, გაზომვის სტაბილურობა და, რაც მთავარია, უწყვეტობა. ჩამოთვლილი თვისებები აუცილებელია, თუ ექსპერიმენტი მოითხოვს ადგილობრივი სისხლის ნაკადის რეგულაციის დინამიკური მახასიათებლების მიღებას, ანუ იმ მახასიათებლებისა, რომლებიც აღწერს რეგულაციის პროცესს გაღიზიანების მიყენებიდან მარეგულირებელი პარამეტრების ახალ სტაბილურ მნიშვნელობაზე გასვლამდე.

წყალბადის ლოკალური გენერაციისა და მისი ძაბვის გაზომვის პრინციპული სქემა წარმოდგენილია სურათზე 1. წრედის ჩართვა იწვევს მუდმივი დენის (0,3-დან 1,0 მკა-მდე) გავლას და, შესაბამისად, წყალბადის გენერაციას თავის ტვინის ქსოვილში.




სურ. 1. წყალბადის ელექტროქიმიური გენერაციის მეთოდით ადგილობრივი სისხლის ნაკადის რეგისტრაციის სტრუქტურული სქემა. A - მიკროელექტროდის კონსტრუქცია: 60 მიკრონის დიამეტრის ორი ტუფლონირებული მავთული, რომელთა აქტიური ბოლო გაშიშვლებულია 0.5 მმ-ის სიგრძეზე. მავთულები შეწყებულა ერთად და წარმოადგენს ორწვერიან ელექტროდს. ერთი წვერი გამოიყენება, როგორც წყალბადის მაგენერირებელი, ხოლო მეორე - წყალბადის პარციალური წნევის გამზომი ელექტროდი. გამოყენებულია, აგრეთვე, ორი დამხმარე ელექტროდი: პლათინის (P) მაგენერირებელი წრედისთვის და ქლორირებული ვერცხლის (Ag/AgCl) - გამზომის წრედისთვის

ადგილობრივი სისხლის ნაკადის რეგისტრაციისთვის ჩვენ მიერ გამოყენებული იყო ელექტროდი, რომლის კონსტრუქცია ნაჩვენებია იგივე სურათზე. სისტემური არტერიული წნევის და თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დინამიკის აღრიცხვა ხდებოდა პოლიგრაფ “სალუტზე”.

### მიღებული შედეგები

თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის ავტორეგულაციის პროცესი ნორმის პირობებში შევისწავლეთ როგორც არამაკე, ისე მაკე ვირთაგეგებში. ადგილობრივი სისხლის ნაკადის დინამიკა რეგისტრირებულია თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის სომატოსენსორულ უბანში უწყვეტად, წყალბადის ელექტროქიმიური გენერაციის მეთოდის გამოყენებით. სურათზე 2 წარმოდგენილია არამაკე ვირთაგეგების თავის ტვინის სისხლის


მიმოქცევის დინამიკა სისტემური არტერიული წნევის მკვეთრი მომატების (A) და დაქვეითების (B) პირობებში.



სურ. 2. თავის ტვინში ადგილობრივი სისხლის ნაკადის (ICBF) აუტორეგულაცია სისტემური არტერიული წნევის (SAP) ცვლილებისას არამაკე ვირთაგვებში (დინამიკური მახასიათებელი). დროის მასშტაბი: 6 უჯრედი - 1 წუთი. არტერიული წნევის სკალა: ს.ს.მმ

ორივე შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, აუტორეგულაციის მექანიზმი რამდენიმე წამის განმავლობაში ახერხებს თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის საწყისი დონის აღდგენას.

ანალოგიურ ექსპერიმენტულ პირობებში საგრძნობლად განსხვავებულ სურათს ვიღებთ მაკე ვირთაგვებში (სურათი 3).




სურ. 3. თავის ტვინში ადგილობრივი სისხლის ნაკადის (ICBF) აუტორეგულაცია სისტემური არტერიული წნევის (SAP) ცვლილებისას მაკე ვირთაგვებში. დროის მასშტაბი და არტერიული წნევის სკალა იგივეა, რაც წინა სურათებში.

როგორც ვხედავთ, ადგილი აქვს ნაკლებად ეფექტურ, მაგრამ მაინც მოქმედ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის მექანიზმის ფუნქციობას. თავდაპირველად ადგილობრივი სისხლის ნაკადი თავის ტვი-

ნის ქერქში მისდევს სისტემური არტერიული წნევის როგორც მატებას (A), ისე დაქვეითებას (B), ხოლო შემდეგ (არტერიული წნევის შენარჩუნებული შეცვლილი დონის მიუხედავად) ადგილობრივი სისხლის ნაკადი ნელა, მაგრამ მინც უბრუნდება თავის საწყის დონეს.

აზოტის ოქსიდის სინთაზას ინჰიბირებამ არასელექციური ინჰიბიტორით – ნიტრო-L-არგინინ მეთოდ ესტერით (L-NAME), აუტორეგულატორული ტესტების ჩატარებისას მოგვცა რეგისტრირებული მანველებლების შემდეგი დინამიკა (სურათი 4).



სურ. 4. თავის ტვინში ადგილობრივი სისხლის ნაკადის (ICBF) აუტორეგულაცია სისტემური არტერიული წნევის (SAP) ცვლილებისას მაკე ვირთაგეგებში, რომლებსაც წინასწარ L-NAME პქონდათ მიღებული. დროის მასშტაბი და არტერიული წნევის სკალა იგივეა, რაც წინა სურათებში

### შედეგების განხილვა

როგორც ზემოთ მოყვანილი ექსპერიმენტული მონაცემები მოწმობს მაკე ვირთაგეგებში იცვლება მხოლოდ თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის დინამიკური მახასიათებლის პატერნი, ხოლო, რაც შეეხება თვით ამ ფენომენს, იგი შენარჩუნებულია.

ცნობილია, რომ ნორმის პირობებში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის სისტემა მოიცავს, როგორც მინიმუმი, სამი ბუნების (მიოგენური, ნეიროგენური და მეტაბოლური) მექანიზმს [12].

მიოგენური მექანიზმის ამოქმედება სისტემური არტერიული წნევის ცვლილებისას დამოკიდებულია მხოლოდ სისხლძარღვშიდა წნევის ცვლილებით გამოწვეული სისხლძარღვის კედლის დეფორმაციაზე და პრაქტიკულად მყისიერად ხორციელდება. შედარებით მეტ დროს საჭიროებს ნეიროგენური მექანიზმის ჩართვა, ვინაიდან მისი ამოქმედება (თუ ვსაუბრობთ სისხლის ადგილობრივი ნაკადის აუტორეგულაციაზე) დამოკიდებულია იმ რეცეპტორულ სისტემაზე, რომელიც თავდაპირველად აღიქვამს სისხლის ნაკადის დეფიციტით ან სიჭარბით გამოწვეულ ცვლილებებს თავის ტვინის ქსოვილში ეს ინფორმაცია გადაამუშავდება შესაბამის ნერვულ ცენტრებში და მარეგულირებელი სიგნალი აღწევს ცერებრული

სისხლდარღვების გლუვ კუნთებს შესაბამისი ეფერენტული ინერვაციის გზით [6, 8, 12, 13]. ამდენად, მთელ ამ პროცესს ესაჭიროება გარკვეული დრო, რომელიც პრაქტიკულად წამებით განისაზღვრება და თუ მყისიერად მოქმედი მიოგენური მექანიზმი ვერ ახერხებს წარმოქმნილი არასასურველი ცვლილებების სრულ პრევენციას, ნეიროგენური მექანიზმი რამდენიმე წამის განმავლობაში ახორციელებს დამატებით მარეგულირებელ ზემოქმედებას [12]. ყველა შემთხვევაში აქტიურ მოქმედებაში რჩება მხოლოდ სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის სტაბილური და ძნელად მოსაშლელი მეტაბოლური მექანიზმი. იგი გამოირჩევა ყველაზე მეტი სამიმედლობით, მაგრამ ამასთან ერთად ახასიათებს ყველაზე დიდი დროის მუდმივად.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს, რომ აუტორეგულაციის ხსენებული მექანიზმების მოქმედების ეფექტურობა ნორმის პირობებში დამოკიდებულია მოცემულ სისხლდარღვებში დილატაციის ან კონსტრიქციის არსებულ რეზერვზე. ასე, მაგალითად, უკვე გაფართოებული სისხლძარღვის დილატაციური რეზერვი ისევე, როგორც შევიწროებულის კონსტრიქტორული რეზერვი ან მინიმალურია, ან საერთოდ ამოწურული.

აღწერილი კონცეფციის მიხედვით, ჩვენ მიერ მიღებული შედეგები შეიძლება შემდგენილად დაეახასიათოთ. არამაკე ვირთაგვებში, როგორც წარმოდგენილი დიაგრამებიდან ჩანს, სისტემური არტერიული წნევის როგორც მომატების, ისე დაქვეითების პირობებში თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია პრაქტიკულად სრულყოფილად ხორციელდება. წნევის მომატებისას (სურ. 2A) ჩვენ ვხედავთ, რომ მყისიერად ხდება სისხლის ნაკადის შემცირება, რაც შესაძლებელია მხოლოდ მიოგენური მექანიზმის მოქმედებით განხორციელდეს, ხოლო სისხლის ნაკადის შემდგომი დაბრუნება საწყის დონეზე, გამომდინარე ამ პროცესის ხანგრძლივობიდან – ნეიროგენური მექანიზმის ხარჯზე ხდება. ცნობილია, რომ ნორმის პირობებში აუტორეგულაციის სრულყოფილი განხორციელებისთვის საკმარისია მიოგენური და ნეიროგენური მექანიზმების თანმიმდევრული მოქმედება [12]. რაც შეეხება სურ. 2B-ზე წარმოდგენილ შემთხვევას, ჩვენ ვხედავთ, რომ წნევის დაქვეითებისას, სისხლის ნაკადი თავდაპირველად ასევე ქვეითდება, ანუ მიოგენური მექანიზმის ეფექტურობა არ ვლინდება, რაც იმის ვარაუდის საშუალებას გვაძლევს, რომ ზემოქმედებამდე ამ კონკრეტულ შემთხვევაში სისხლძარღვის დილატაციური რეზერვი შემცირებული იყო და წნევის ვარდნით გამოწვეული დეფორმაცია (რაც არის მიოგენური მექანიზმის გამშვები სიგნალი) არ აღმოჩნდა საკმარისი ამ მექანიზმის ამოქმედებისთვის და აუტორეგულაცია განხორციელდა ნეიროგენური მექანიზმის მეშვეობით (ისევე გამომდინარე მისი განხორციელების ხანგრძლივობიდან).

განსხვავებულ სურათს ვიღებთ მაკე ვირთაგვების შემთხვევაში (სურათი 3A და B). ციპოლას [3, 4] მიხედვით მაკეობის მესამე ტრიმესტრში თავის ტვინის სისხლძარღვები იმყოფება სანათურის ფორსირებული ცვლილების მდგომარეობაში, რაც გულისხმობს, რომ სისხლძარღვშია წნევის მომატებისას სისხლძარღვი ფართოვდება, ხოლო წნევის დაქვეითებისას – ვიწროვდება, ანუ ფაქტიურად აუტორეგულაცია არ ხორციელდება. ჩვენი

მონაცემების თანახმად, ასეთი მდგომარეობა მართლაც არის, მხოლოდ დროის განსაზღვრულ პერიოდში, სანამ არ ამოქმედდება აუტორეგულაციის მეტაბოლური მექანიზმი, რომლის მოქმედების ხანგრძლივობა, როგორც ცნობილია, განისაზღვრება არა წამებში, არამედ წუთებში. მითითებულ სურათზე კარგად ჩანს, რომ წნევის როგორც მომატების, ისე დაქვეითების პირობებში, დროში გარკვეული დაყოვნებით მაინც ხორციელდება თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის საწყის დონეზე დაბრუნება. თავის ტვინის სისხლძარღვების ფუნქციონის ასეთ რეჟიმში გადასვლას გესტაციის მესამე ტრიმესტრში ციპოლა [4] მიაწერს გესტაციის დროს ორგანიზმში აზოტის ოქსიდის დიდი რაოდენობით წარმოქმნას, რაც უნდა იწვევდეს სისხლძარღვთა ტონუსის მნიშვნელოვან შემცირებას. ამ მოსაზრების მართებულობის შემოწმების მიზნით, ჩვენ გამოვიყენეთ აზოტის ოქსიდის სინთეზას არასელექციური ინჰიბიტორი L-NAME. სურ. 4-ზე წარმოდგენილი შედეგები აჩვენებს, რომ პრინციპულად შეიცვალა სისხლის ნაკადის რეაქცია წნევის მომატების პირობებში, ხოლო მისი დაქვეითებისას, სისხლის ნაკადის დინამიკა პრაქტიკულად არ განსხვავდება სურათზე 3 წარმოდგენილი შედეგისგან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ასეთი შედეგის მიღების ახსნა შემდგომად შეიძლება. L-NAME-ს მეშვეობით, აზოტის ოქსიდის ყველა სახის სინთეზას ინჰიბიცია მნიშვნელოვნად შეამცირა სისხლძარღვთა დილატაციის რეზერვი, მაგრამ არ იმოქმედა მათ კონსტრიქტორულ რეზერვზე. ამდენად, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაცია სრულყოფილად განხორციელდა წნევის მომატებისას, ხოლო მისი დაქვეითებისას, ზემოთ აღწერილი მიზეზების გამო ვერ განხორციელდა სისხლძარღვთა სწრაფი დილატაცია და ამ ფუნქციის განხორციელება მოხდა ისევე მეტაბოლური მექანიზმის ხარჯზე.

ყოველივე ზემოხსენებული გვაძლევს საშუალებას დავასკვნათ, რომ მაკე ცხოველების ორგანიზმში, აზოტის ოქსიდის ჭარბი გენერაციის გამო, სისხლის მიმოქცევის აუტორეგულაციის მექანიზმის მოქმედების ეფექტურობა დაქვეითებულია, მაგრამ მისი სრული მოშლა არ ხდება.

## ლიტერატურა

1. Adams D.B., Baccelli G., Mancina G., Zanchetti A. Am. J. Physiol., Legacy Content, 1969, 216, 1226.
2. Auklend K., Bower B., Berliner R. Circ. Res., 1964, 14, 164-187.
3. Cipola M.J. Hypertension, 2007, 50, 14-24.
4. Cipolla M.J., Vitillo L., McKimmon J. Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 2004, 286, H2127-H2132.
5. Dinsdale H.B., Mohr J.P. Hypertensive encephalopathy. In: Stroke: Pathophysiology, Diagnosis and Management (3<sup>rd</sup> ed.). Barnett H.J.M., Mohr J.P., Stein B.M., Yatsu F.M. (eds.). NY: Churchill Livingstone, ch.34, 1998.
6. Edvinsson L., Yensen U.I., McCulloch J. Am. J. Physiol. Heart Circ. Physiol., 1986, 251, 824.
7. Euser A.G., Cipolla M.J. Hypertension, 2007, 49, 334-340.
8. Nielsen K., Edvinsson L., Owman C. Cerebral Circ. and Metabolism, Berlin, 1975, 473-475.
9. Stossek K., Lubbers D.W. Determination of microflow of the cerebral cortex by means of electrochemically generated hydrogen. In: Brain and Blood flow. Ed. by R. Russel, London, 1970, 80-84.

10. Schwartz R.B., Feske S.K., Polak J.F., DeGirolami U., Iaia A., Beckner K.M., Bravo S.M., Klufas R.A., Chai R.Y., Repke J.T. *Radiology*, 2000, 217, 371-376.
11. Джанелидзе М. *Georgian Medical News*, 2009, 1, 166, 101-106.
12. Митагвария Н.П. Устойчивость циркуляторного обеспечения функций головного мозга. Мешниереба, Тбилиси, 1983.
13. Мchedlishvili Г.И. Функция сосудистых механизмов головного мозга. Наука, Л. 1968.

## СРАВНЕНИЕ ДИНАМИЧЕСКИХ ХАРАКТЕРИСТИК АУТОРЕГУЛЯЦИИ КРОВΟΣНАБЖЕНИЯ ГОЛОВНОГО МОЗГА У БЕРЕМЕННЫХ И НЕБЕРЕМЕННЫХ КРЫС

*М. Джанелидзе, Е. Сухишвили, Е. Бибилури, Н. Сакварелидзе, Н. Митагвария*

Тбилисская медицинская Академия им. П. Шотадзе;  
Институт физиологии им. И.С. Бериташвили

### РЕЗЮМЕ

Целью исследования было изучение динамических характеристик ауторегуляции кровоснабжения головного мозга у беременных крыс, что должно было дать возможность выявления особенностей отдельных механизмов системы ауторегуляции.

Опыты были проведены на небеременных (контрольная группа) и беременных крысах, на поздней стадии гестации. Была использована неселективная ингибция синтазы оксида азота нитро-L-аргинин метил эстером.

Изучение динамических характеристик ауторегуляции кровоснабжения головного мозга проводилось в условиях острого эксперимента. Регистрацию местного кровотока в коре головного мозга осуществляли методом электрохимической генерации водорода, который дает возможность непрерывной, качественной регистрации изменений интенсивности кровотока.

Анализ полученных характеристик и оценка эффективности функционирования отдельных механизмов ауторегуляции позволяет заключить, что в результате избыточной генерации оксида азота в организме беременных крыс, эффективность ауторегуляции кровоснабжения головного мозга снижена, но полного его нарушения не происходит.

## COMPARISON OF DYNAMIC CHARACTERISTICS OF CEREBRAL BLOOD FLOW AUTOREGULATION IN PREGNANT AND NONPREGNANT RATS

*M. Janelidze, E. Sukhishvili, E. Bibiluri, N. Sakvarelidze, N. Mitagvaria*

P. Shotadze Tbilisi Medical Academy, I. Beritashvili Institute of Physiology

### SUMMARY

The aim of this study was the analysis of the dynamic characteristics of cerebral blood flow autoregulation in pregnant rats and revealing of peculiarities of individual mechanisms of autoregulatory system.

Experiments were carried out in nonpregnant (control group) and pregnant rats in the late stage of gestation. Nonselective inhibitor of inducible NOS nitro-L-arginine methyl ester has been used.

Dynamic characteristics of cerebral blood flow autoregulation were received in acute experiments. Changes in local blood flow in cerebral cortex have been qualitatively, and continually recorded by means of electrochemically generated hydrogen.

The analysis of received characteristics and evaluation of efficiency of individual mechanisms of autoregulation allow concluding, that in pregnant rats efficiency of cerebral blood flow autoregulation is decreased but not impaired completely.

## ინსტრუქცია ავტორთათვის

ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ბიოლოგიის სერია – A” ბეჭდავს ექსპერიმენტული ბიოლოგიისა და მედიცინის დარგის სამეცნიერო წერილებს, რომელთა შინაარსი, მეთოდოლოგია და დასკვნები ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგიის, მორფოლოგიის და ბოქიმის პრობლემებს ეხება. **თეორიული და მიმოხილვითი ხასიათის წერილები იბეჭდება მხოლოდ სარედაქციო კოლეგიასთან წინასწარი შეთანხმებით.**

წერილები მიიღება ქართულ, რუსულ ან ინგლისურ ენებზე (ავტორთა სურვილი-სამებრ). ნებისმიერ ენაზე წარმოდგენილ წერილს უნდა დაერთოს სამ ენაზე (ქართულ, რუსულ და ინგლისურზე) დაწერილი რეზიუმე (არა უმეტეს 250 სიტყვისა, მაგრამ არანაკლებ 10000 ნაბეჭდი ნიშნისა). სამივე რეზიუმე მკაცრად ერთი შინაარსისა უნდა იყოს. რეზიუმე უნდა შეიცავდეს სათაურს, ავტორებს და დაწესებულებას, რომელშიც შესრულებულია ნაშრომი. **რეზიუმე მაქსიმალურად ინფორმატიული უნდა იყოს – მასში უნდა იყოს შრომის მიზანი, მეთოდოლოგია, მიღებული შედეგები და მათი განხილვა.**

წერილის მოცულობა, რეზიუმეების და ილუსტრაციების ჩათვლით არ უნდა იყოს 5 გვერდზე ნაკლები და 12 გვერდზე მეტი. უფრო დიდი მოცულობის წერილის ბეჭდვა უნდა შეთანხმდეს რედაქციასთან. ორიგინალური ექსპერიმენტული გამოკვლევის შედეგები უნდა გაფორმდეს სტანდარტული რუბრიკაციით: **შესავალი და მიზნები, მასალა და მეთოდები, შედეგები და მათი განხილვა, ლიტერატურა.** უკანასკნელი მკაცრად ანბანით (ჯერ ქართული, შემდეგ რუსული და ბოლოს ლათინურ-ანბანოვან ენებზე) უნდა იყოს დალაგებული და დანომრილი. დამოწმებული ლიტერატურა ტექსტში მითითებული უნდა იყოს შესაბამისი ნომრებით, კვადრატულ ფრჩხილებში. თითოეულ წერილს უნდა დაერთოს ე.წ. საკვანძო სიტყვების მოკლე (4-6) სია, ლიტერატურის სიაში უნდა იყოს მითითებული: ავტორები (გვარები, ინიციალები), ჟურნალის (წიგნის) სახელწოდება, წელი, ტომი, პირველი და ბოლო გვერდები. წიგნის ციტირების შემთხვევაში აუცილებელია ქალაქისა და გამომცემლობის მითითება (მაგ.: თბილისი, მეცნიერება). შრომათა კრებულის შემთხვევაში საჭიროა რედაქტორის (რედაქტორების) ინიციალების და გვარების მითითება.

გამოსაქვეყნებელი წერილი რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ქაღალდზე ამობეჭდილი (2 ცალკე), ისე ელექტრონული ფორმით – კომპიუტერულ დისკეტზე კომპიუტერზე ტექსტის აკრეფისას ავტორებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი წესები: ქართული ტექსტი უნდა აიკრიფოს ფონტებით AcadNuxx ან AcadMtvrr (ან სხვა ფონტებით, რომლებიც ლათინურ კლავიატურასზეა დამოკიდებული). რუსული და ინგლისური ტექსტები აუცილებლად Times New Roman-ით უნდა იყოს აკრეფილი. ფონტის ზომის ყველაზე – 12, სტრიქონთაშორის ინტერვალი – 1.5. ცხრილებში დასაშვებია ნაკლები ზომის ფონტი. ცხრილები უნდა დამზადდეს ან Microsoft Word-ში ან Excel-ში, ცხრილებზე აგებული გრაფიკები კი აუცილებლად Excel-ში. უკანასკნელის შემთხვევაში, სათანადო ფაილი (ფაილები) ცალკე უნდა იყოს ჩაწერილი დისკეტზე. მკაფიო შავ-თეთრი გრაფიკები და სხვა სურათები მიიღება ორიგინალების ხასიათაც (არაფლექტრონული). ვერადი სურათები ჟურნალში არ იბეჭდება. დისკეტზე წარმოდგენილი წერილი უნდა შეიცავდეს ტექსტს და ცხრილებს (Word-ში) – ცალკე ფაილად, და სხვა სურათებს – ცალკე ფაილად. ფაილის ან ფოლდერის სახელწოდება წერილის პირველი ავტორის მიხედვით უნდა იყოს წარმოდგენილი. კომპიუტერული დისკეტები მანამდე უხმარია და ვირსებისაგან თავისუფალი უნდა იყოს და არ უნდა შეიცავდეს სხვა დოკუმენტებს. დისკეტები ავტორს არ უბრუნდება. ილუსტრაციების ნაკაბადონება ტექსტში დაუშვებელია. ისინი ცალკე გვერდებზე უნდა იყოს ამობეჭდილი. სურათების წარწერები წერილის ბოლო გვერდზე (გვერდებზე) უნდა იყოს აკრეფილი.

წერილი წარმოდგენილი უნდა იყოს A4 ფორმატის ქაღალდზე, ველებით: ზევით და ქვევით – 2,5 სმ, მარცხნივ – 3 სმ და მარჯვნივ – 2 სმ.

წერილი ხელმოწერილი უნდა იყოს ყველა თანაავტორის მიერ. ბოლო გვერდზე მითითებული უნდა იყოს პასუხისმგებელი თანაავტორის მისამართი და ტელეფონის ნომერი (ნომრები). წერილს თან უნდა ახლდეს წამყვან ავტორთა დაწესებულების ადმინისტრაციის წარდგინება.

ჟურნალის ბეჭდვა ავტორთა ხარჯებით ხორციელდება. ბეჭდვის თანხა რედაქციაში უნდა შემოვიდეს წერილზე დადებითი რეცენზიის მიღებისთანავე, რეცენზენტის მიერ წერილის დაწუნების შემთხვევაში, ავტორს უბრუნდება მისი ხელნაწერის ერთი პირი, ხოლო დისკეტი ინახება რედაქციაში ერთი წლის განმავლობაში.

წერილების სამეცნიერო რეცენზირება ანონიმურია და ავტორს აქვს უფლება მიიღოს ან არ მიიღოს რეცენზენტის შენიშვნები. უკანასკნელ შემთხვევაში წერილი დამატებითი რეცენზირებისთვის გაეგზავნება სარედაქციო საბჭოს ერთ-ერთ წევრს. მეორე უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში წერილი ავტორს უბრუნდება უპირობოდ.

ყველა გამოქვეყნებული წერილის რუსული რეზიუმე იბეჭდება რუსეთის რეფერატული ჟურნალის სათანადო სერიაში.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური რეკვირების სააგენტოს გადაწყვეტილებით, ავტორებს, რომელთაც გამოქვეყნებული ექნებათ სამეცნიერო წერილი ჟურნალში “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცნე ბიოლოგიის სერია – A”, მიენიჭებათ 10 შპბ ქულა (კრედიტ-ქულა), თითოეული წერილის გამოქვეყნებისთვის. აღნიშნული ქულები მიენიჭება წერილის თითოეულ თანაავტორს თანაბრად.

რედაქციაში წერილების ჩაბარება შეიძლება ყოველდღიურად, შაბათისა და კვირის გარდა, დღის 12-სთ-დან 15 სთ-მდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, ლევან გოთუას ქ. 14, ი. ბერიტაშვილის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, IV სართ., ოთახი № 412; პროფ. ნოდარ მთავარია – ტელ. 37-21-50 (სამს.), 69-66-42 (ბ.), 899-304-104 (მობილური) ან ოთახი № 415; პროფ. გურამ ბეჭია – ტელ. 37-42-16 (სამს.), 95-27-75 (ბ.), 899-587-027 (მობილური) ან დოქტორ სოსხე – ტელ. 23-15-93 (სამს.), 899-298-348 (მობილური) (ი. ჭავჭავაძის გამ. 29, III სართ., პ. შოთაძის სახ. თბილისის სამედიცინო აკადემია).

04/20